N 0132-5981

საბჭოთა კინოკრიტიკა

78 1
987 3

1987

1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინ ალ
2002 წ

გთავარი რედაქტორი	Главный редактор
ლერი თალაკვაძე	**Талаквадзе Л. Г.**
სარედაქციო კოლეგია:	Редакционная коллегия:
ლევან ალექსიძე	**Алексидзе Л. А.**
ანგი არსენაშვილი	**Арсенашвили А. Г.**
(მეცნიერ-რედაქტორი)	(научный редактор)
გელა გერძენიშვილი	**Бердзенишвили Г. Д.**
(პასუხისმგებელი მდივანი)	(ответственный секретарь)
ანზორ გაბიანი	**Габиани А. А.**
შოთა გორგოძე	**Горгодзе Ш. В.**
აკაკი კარანაძე	**Джорбенадзе С. М.**
დურმიშხან ლორია	**Каранадзе А. Г.**
ვახტანგ რაზმაძე	**Лория Д. А.**
გრიგოლ როინიშვილი	**Размадзе В. А.**
თამაზ შავგულიძე	**Роинишвили Г. В.**
ალექსანდრე შუშანაშვილი	**Чиковани И. П.**
ირაკლი ჩიქოვანი	**Шавгулидзе Т. Г.**
სერგო ჯორბენაძე	**Шушанашвили А. А.**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 1

იანვარი
თებერვალი
1987 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შინაარსი

მაღალ დონეზე ჩავატაროთ სახალხო მოსამართლეთა არჩევნები 3

ᲬᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲐ

თ. მირესაშვილი — მასების დარაზმვის ეფექტიანი რგოლი 5

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

თ. ლილუაშვილი — ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები 9

ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

ა. ფალიაშვილი — არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების სამართალწარმოების თავისებურებანი 13

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ე. კემულარია — მასალების მომზადების საოქმო ფორმა სისხლის სამართლის პროცესში 18

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲖᲐ: ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ

ნ. მენაბდე — სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა სამოქალაქო საქმეებზე 21

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ

მ. კოტრიკაძე — ილია ჭავჭავაძის ერთი დაცვითი სიტყვის გამო 25

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ნ. არველაძე — სახელოვანი მამულიშვილი 30

ა. შუშანაშვილი — სამი დღე ფინელ კოლეგებთან 32

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ა. არსენაშვილი — გამართლებული გუმანი 38

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

გ. ნადარეიშვილი — სამართლის ისტორიკოსთა შეხვედრა ერევანში 40

ᲬᲘᲗᲠᲘᲒᲘᲜ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ

დიალოგი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან . 43

ვ. კეკენაძე — სასამართლო მჭევრმეტყველების მოდული 46

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ — ᲛᲐᲡᲔᲑᲨᲘ!

გ. შონია — მუშა-მოსამსახურეთა ახალი ტიპობრივი შრომითი შინაგანაწესი . . . 48

სანოტარო პრაქტიკა 51

მ. რადიანი — ჰაგის საერთაშორისო სასამართლო 53

ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“ 55

ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

სპეკულაციასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები 69

ინფორმაცია 71

ბიბლიოგრაფია 78

СОДЕРЖАНИЕ

Проведем выборы народных судей на высоком уровне 3

Перестройка — веление времени

Т. Миресашвили — Эффективное звено мобилизации масс 5

Комментарии нового закона

Т. Лилуашвили — Гражданско-правовые аспекты индивидуальной трудовой деятельности 9

Подросток и преступление

А. Палиашвили — Особенности судопроизводства дел о преступлениях несовершеннолетних 13

Отклики

Э. Кемулария — Протокольная форма подготовки материалов в уголовном процессе 18

Судебная экспертиза: новшества и практика

Н. Менабде — Строительно-техническая экспертиза по гражданским делам . 21

В честь юбилея И. Чавчавадзе

М. Котрикадзе — Об одной защитительной речи Ильи Чавчавадзе . . 25

К 100-летию со дня рождения Сандро Ахметели

Н. Арвеладзе — Корифей грузинского театра 30
А. Шушанашвили — Три дня у финских коллег 32

Люди нашей профессии

А. Арсенашвили — Оправданные надежды 38

Научная жизнь

Г. Надареишвили — Встреча историков права в Ереване 40

Порядок везде и всюду!

Диалог с Председателем Президиума федерации футбола Грузии 43
В. Качахидзе — Модуль судебного красноречия 46

Юридические знания — массам!

Г. Шония — Новый типовой внутренний трудовой распорядок рабочих и служащих 48
Нотариальная практика 51
М. Радиани — Гаагский международный суд 53
Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 55

В помощь лекторам

Уголовноправовые меры по борьбе со спекуляцией 69
Информация 71
Библиография 78

© „საბჭოთა სამართალი“, 1987 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, პლეხანოვის პრ. 108, ტ. 95-88-49, 95-58-87.

გადაეცა წარმოებას 12. 01. 87. წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 02. 87 წ.,
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 82. ტირაჟი 30.000. უე 04354.

სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალ დონეზე ჩავატაროთ სახალხო მოსამართლეთა არჩევნები

1987 წლის 21 ივნისს ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართება სახალხო მოსამართლეთა მორიგი არჩევნები, რომელიც კონსტიტუციით დადგენილი დემოკრატიული საარჩევნო სისტემისა და წესის მიხედვით განხორციელდება.

სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ორგანიზებულად და სრულფასოვნად ჩატარებისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა იუსტიციის სამინისტრო, რომელმაც თავის კოლეგიაზე განიხილა და შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი ამ დიდი პოლიტიკური კამპანიის სათანადო დონეზე ჩასატარებლად.

არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში სახალხო მოსამართლეთათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები, როგორც ორგანიზაციული, ისე სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

დასახულ ღონისძიებათა უკეთ შესრულებისათვის იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსთან ერთად შექმნა სათანადო შტაბი, რომელიც ორგანიზაციას გაუკეთებს ამ ღონისძიებათა რეალიზაციას. შტაბები შეადგენს სახალხო მოსამართლეთა დახასიათებებს, კონკრეტულად გააანალიზებს თითოეული მათგანის მუშაობას, ობიექტურ და პრინციპულ შეფასებას მისცემს მათ საქმიან და პირად თვისებებს. მხოლოდ ასეთ დახასიათებათა საფუძველზე მოხდება განმეორებით ასარჩევ კანდიდატთა შერჩევა. ხელახლა არჩეული იქნებიან მხოლოდ ის მოსამართლეები, რომლებიც თავიანთი მორალურ-პოლიტიკური ნიშნებით ამართლებენ ხალხის ნდობას და სარგებლობენ ავტორიტეტით.

„სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების უფლებათა დაცვის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ოქტომბრის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებებმა სამართალდაცვით ორგანოებს კიდევ უფრო გაზრდილი ამოცანები დაუსახა. გამომდინარე აქედან, საჭიროა მკვეთრად ამაღლდეს სახალხო სასამართლოების როლი და ავტორიტეტი, რადგან ისინი კანონიერების განმტკიცების მეტად პასუხსაგებ საქმეს ემსახურებიან და ყოველგვარი ხელყოფისაგან იცავენ სოციალისტურ საზოგადოებას, ებრძვიან მექრთამეებსა და სპეკულანტებს, ყველა იმ ნეგატიურ მოვლენას, რომელიც მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას, ქვეყნის ეკონომიკას. აქტიური ბრძოლაა გაჩაღებული აგრეთვე ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, არაშრომითი შემოსავლისა და დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ.

სულ მალე სახალხო მოსამართლეები თავიანთი ამომრჩევლების წინაშე წარსდგებიან და ანგარიშს ჩააბარებენ გაწეული მუშაობის შესახებ. მათი საქმიანობის ამსახველი მასალები გამოქვეყნდება რესპუბლიკურ და ადგილობ-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ პრესაში, დადებითი გამოცდილებები განზოგადდება ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე.

იმისათვის, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით სახალხო მოსამართლეთა არჩევნები ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარდეს, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შექმნილია ასარჩევ მოსამართლეთა კანდიდატების რეზერვი. მის შემადგენლობაში არიან ღირსეული, პროფესიულად მომზადებული და პოლიტიკურად განათლებული კომუნისტები, რომელთაც აქვთ სახალხო მოსამართლეთათვის დამახასიათებელი თვისებები, უნარი შესწევთ წარმატებით განახორციელონ მართლმსაჯულება და განამტკიცონ სოციალისტური კანონიერება. დღეისათვის რეზერვში ჩარიცხულია სამასორმოცდათორმეტი კანდიდატი, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემებში, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, სახალხო მეურნეობაში. რასაკვირველია სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებას, ღირსეული კანდიდატების არჩევას და მათ წინასწარ მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ შემდგომში, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, ახლადარჩეულ მოსამართლეებთან საჭიროა სისტემატური და მიზანდასახული მუშაობა, რათა ისინი დროულად და სრულფასოვნად დაეუფლონ მოსამართლის პროფესიას, შეიძინონ ის ნიშანთვისებები, რაც სამართლის მსახურს უნდა გააჩნდეს. ამ მიზნით გამოყენებული იქნება აღზრდის და დახელოვნების ყველა ნაცადი ფორმა, რომლებიც ხელს შეუწყობს ახლადარჩეულ სახალხო მოსამართლეთა პროფესიულ დაოსტატებას.

სახალხო მოსამართლეთა არჩევნებს წინ უსწრებს სახალხო მსაჯულთა არჩევნები, რომლებიც უშუალოდ შრომით კოლექტივებში ეწყობა. ჩვენი კონსტიტუციით მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და ისინი მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. სახალხო მსაჯულებიც იგივე უფლებებით სარგებლობენ, რითაც სახალხო მოსამართლეები და ამიტომ მათი არჩევნების დროსაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მსაჯულებად ასარჩევ პირთა პოლიტიკური მომზადების დონე, ცხოვრებისეული გამოცდილება.

სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ „...დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ სამართალდაცვითი ორგანოების კადრების თვისებრივი შემადგენლობისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის, მკაცრად ვადევნებდეთ თვალს იმას, რომ სასამართლოებში, პროკურატურაში, შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოებში სამუშაოდ იგზავნებოდნენ პოლიტიკურად მოწიფული, ზნეობრივად უმწიკვლო ადამიანები, რომლებიც დიდ პროფესიულ მომზადებას უხამებენ მოქალაქეობრივ ვაჟკაცობას, მოუსყიდველობას, სამართლიანობის გამახვილებულ გრძნობას“.

სწორედ ამ სულისკვეთებით უნდა ჩატარდეს სახალხო მოსამართლეთა არჩევნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასების დარაზმვის ეფექტიანი რგოლი

თამაზ მირესაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში
სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი კონსულტანტი

ჩვენი ქვეყნის პარტია და მთავრობა უკანასკნელ ხანს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების როლისა და ავტორიტეტის, აქტიურობისა და პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას ამომრჩეველთა წინაშე. სკკპ XXVII ყრილობაზე, როცა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას შეეხო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ „დღეს მათ შეუძლიათ და კიდეც უნდა გახდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მასების დარაზმვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი რგოლი. როცა მანდატს იღებენ ამომრჩევლებისაგან, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები პასუხისმგებლობას კისრულობენ თავიანთ ტერიტორიაზე ცხოვრების ყველა სფეროსათვის. თუ ვინმეს შეუძლია თქვას: ეს ჩემი საკითხი არ არისო, საბჭოებისათვის საკითხის ასე დაყენება მიუღებელია... უფრო ეფექტიანად უნდა მოვაწყოთ საბჭოების სესიები, გავაძლიეროთ მუდმივი კომისიების ანალიზური და საკონტროლო საქმიანობა, გავაუმჯობესოთ დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების პრაქტიკა. კომისიების რეკომენდაციები, დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები გულდასმით უნდა განიხილონ და გაითვალისწინონ აღმასრულებელმა ორგანოებმა“[1].

სწორედ ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებია დაყენებული „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებაში, რომელმაც კიდევ უფრო გააფართოვა რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების უფლებანი და გაზარდა მათი პასუხისმგებლობა საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფის ყველა სფეროში.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის დადგენილებებისა და მითითებების შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებში შეისწავლა სამართლებრივი საშუალებების სწორად გამოყენების მდგომარეობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის მოთხოვნათა რეალიზაციის საქმეში. გამოირკვა, რომ აღმასკომებს და მათ იურიდიულ სამსახურებს ძირითადად ცუდად არ უმუშავიათ: ყველგან შეიქმნა სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოებები, საგრძნობლად გააქტიურეს მუშაობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

---

1 „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები“, თბილისი, 1986, გვ. 85-86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებრძოლმა კომისიებმა, რამდენადმე მოწესრიგდა ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის ორგანიზაცია, მკვეთრად შემცირდა ასეთი ობიექტების რაოდენობა, ბევრი მათგანი (რესტორანი, სასაუზმე) გადაკეთდა კაფე-ბარად, სადაც ალკოჰოლიანი სასმელები გამაგრილებელი წყლებით შეიცვალა. სისტემატურად ეწყობა ადმინისტრაციულ ორგანოთა წარმომადგენლების შეხვედრები შრომით კოლექტივებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან. ამ საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ ჯანდაცვისა და განათლების ორგანოების მუშაკები. პრაქტიკაში დაინერგა მუდმივი კომისიებისა და აღმასკომების სხდომებზე ხელმძღვანელი ამხანაგების ანგარიშების მოსმენა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გაწეული მუშაობის თაობაზე.

უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების მიზნით პარტიისა და მთავრობის შესაბამისი დადგენილებების მიღების შემდეგ აღმასკომებმა გარკვეულწილად გააუმჯობესეს მუშაობა. შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებთან ერთად ჩატარებული რეიდების შედეგად გამოვლინდა საცხოვრებელი ბინების უკანონო გაქირავების, შინნახადი არყითა და უკანონოდ დამზადებული სხვადასხვა სახის პროდუქციით ვაჭრობის მრავალი ფაქტი, ხოლო სახალხო კონტროლის ორგანოებთან ერთად გამოაშკარავდა მიწერებისა და წამატებების, სახელმწიფო ქონების წვრილმანი და დიდი ოდენობით დატაცების არაერთი შემთხვევა.

მიუხედავად ასეთი ქმედითი ღონისძიებებისა თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ აღნიშნული კანონების სარეალიზაციოდ გაწეული მუშაობა ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელი არ არის და საჭიროებს მეტ ძალისხმევას. კერძოდ, ცალკეული აღმასკომები ჯერ კიდევ ძალზე სუსტად მუშაობენ შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში ამ კანონთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხზე არ უმსჯელიათ საბჭოების სესიებისა თუ აღმასკომების სხდომებზე. ირკვევა, რომ რაიონების პროფკავშირების თავმჯდომარეები იჩენენ უპასუხისმგებლობას და ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე მთლიანად საწარმოო-დაწესებულებათა პროფკავშირის კომიტეტებზეა მინდობილი. მაგალითად, 26 კომისრის სახელობის რაიონის სათანადო ქვედანაყოფებს 1985-86 წლებში ერთი საკითხიც კი არ მოუმზადებიათ აღმასკომის სხდომაზე განსახილველად. არ დაინტერესებულან თუ როგორ მონაწილეობენ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოებადაწესებულებებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივები გეგმების შემუშავებასა და განხილვაში, კანონით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებების განხორციელებაში. სამწუხაროა, რომ ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის ყველა სხვა რაიონშიც.

სამართლებრივ საშუალებებს სრულად ვერ იყენებენ უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ საბრძოლველად. აღმასკომები ამ საკითხებს იშვიათად ან თითქმის არ განიხილავენ, უგულებელყოფენ ამ მიმართებით გაწეული საქმიანობის განზოგადებასა და ანალიზს, არ იკვლევენ უშრომელი შემოსავლების გამომწვევ მიზეზებს და აქედან გამომდინარე არც მდგომარეობის გამოსწორების ღონისძიებებს სახავენ. მაგალითად, კიროვის სახელობის რაიონის აღმასკომის სხდომებზე უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები გასულ წელს ერთხელაც კი არ განუხილავთ. ამიტომაც არის, რომ

უ.ბ.ოვნელი ბიბლიოთეკა

ამ და სხვა რაიონების წარმოება-დაწესებულებებში კვლავ ხშირია სახელმწიფო ქონების დატაცების, მიწერების, უყაირათობის, ასევე უკანონო ინდივიდუალური რეწვისა და სპეკულაციის შემთხვევები. მაგალითად, თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონში 1986 წლის ცხრა თვეში სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაიზარდა. გამოვლენილია წვრილმანი დატაცების 331, წვრილმანი სპეკულაციის 42, კომუნალური, საუწყებო და კოოპერატიული ბინების უკანონო გაქირავების 80 შემთხვევა, რაც აგრეთვე მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც. მაგალითად, გასულ წელს საქარხნო რაიონის ტერიტორიაზე მდებარე „ცეკავშირის" უნივერსალური ბაზის № 6 საწყობიდან მატერიალურად პასუხისმგებელმა პირებმა დაიტაცეს 127 000 მანეთის ღირებულების იმპორტული შპალერი, ხოლო № 3 რკინაბეტონის ქარხნის თანამდებობის პირებმა უკანონო ჩამოწერის გზით მიითვისეს 1.410 000 მანეთის ღირებულების სახელმწიფო ქონება.

26 კომისრის სახელობის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკაში იშვიათი რრდია მიწერის ფაქტები. მაგალითად, 1985 წელს პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლებში ზედმეტად ნაჩვენები იყო 80 ათასი მანეთი, ხოლო 1986 წლის I კვარტალში — 43 ათასი მანეთი. წამატებები აღმოჩნდა პროდუქციის მიწოდების გეგმის შესრულებაშიც.

საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ არამწარმოებლური ხარჯებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობა საკმაოდ დიდია და როგორც სტატისტიკური მონაცემები გვარწმუნებს იგი სისტემატიურად იზრდება. არამწარმოებლური ხარჯები ძირითადად გამოწვეულია პროდუქციის მიწოდების, მიუწოდებლობის ან დანაკლისით მიწოდების გამო გადახდილი ჯარიმებითა და საურავებით. მიუტევებელი ფაქტია, რომ თითქმის არასოდეს არ ცდილობენ დამნაშავე პირების გამოვლინებასა და მათზე ზარალის ანაზღაურების დაკისრებას.

ლენინის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმოების ბალანსზე რიცხულმა არამწარმოებლურმა ხარჯებმა 1986 წლის 9 თვეში 2.857 000 მანეთი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტია (1.537 000 მანეთი). გასულ წელს განსაკუთრებით დიდი ოდენობის არამწარმოებლური ხარჯები გასწია პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ —1.030 000 მანეთი, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებამ — 788 000 მანეთი, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატმა" — 546 ათასი მანეთი. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ზოგიერთ სამრეწველო საწარმოშიც.

კვლავ დიდია წარმოება-დაწესებულებებზე რიცხული დებიტორული დავალიანება და სამწუხაროდ, აღმასკომების, აგრეთვე თვით საწარმოთა შესაბამისი ქვედანაყოფების გულარხეინობის გამო იგი სისტემატურად იზრდება. მაგალითად, ლენინის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სამრეწველო საწარმოების ბალანსზე 1985 წლის 1 ოქტომბრისათვის ირიცხებოდა 4.356 000 მანეთის დავალიანება, 1986 წლის შესაბამისი პერიოდისათვის კი იგი უკვე 6.768 000 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო ორჯონიკიძის სახელობის რაიონში შესაბამის პერიოდში დავალიანება 11.100 000 მანეთიდან 12.900 000 მანეთამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიზარდა. ამ მხრივ ცუდად გამოიყურება 26 კომისრის სახელობის რაიონიც. ამ რაიონების იურიდიული სამსახურები და შესაბამისი საფინანსო ორგანოები კი მეტად მოუქნელად ირჯებიან ამ დავალიანებათა დროული ლიკვიდაციისათვის, რის გამოც დებიტორულ დავალიანებათა ლიკვიდაცია მეტად რთულდება, ზოგჯერ კი შეუძლებელიც ხდება.

ზემოაღნიშნულ წარმოება-დაწესებულებებში ჯერ კიდევ ხშირია სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენები. მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის აღმასკომის მიერ გასული წლის პირველ ნახევარში 42 შრომით კოლექტივში ჩატარებულმა რეიდებმა გამოავლინა შრომის დისციპლინის დარღვევის 260-მდე ფაქტი. საქარხნო რაიონის წარმოება-დაწესებულებებში 1986 წლის 9 თვეში 6.026 კაცდღე გაცდა. საწარმოების ხელმძღვანელები კი, როგორც წესი, მხოლოდ დისციპლინარული სასჯელების გამოყენებით კმაყოფილდებიან და რატომღაც „ავიწყდებათ" მატერიალური ზემოქმედების ღონისძიებები. აღმასკომებს კი დღემდე არ შეუსწავლიათ და არ განუხილავთ შრომის დისციპლინის დარღვევის საკითხები, დაუდგენელია, აგრეთვე, ამ გზით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ოდენობა.

ყოვლად შეუწყნარებელია, რომ თბილისის თითქმის ყველა რაიონში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლაში აღმასკომების იურისკონსულტები ძალზე სუსტად მონაწილეობენ. მათ ამ მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების სპეციალური გეგმებიც კი არ გაუჩნიათ. ცუდად ეხმარებიან შრომით კოლექტივებს მათთვის მინიჭებული უფლებების განხორციელების საქმეში. არ იცავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ოქტომბრის № 560 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნებს, მაშინ, როცა ისინი მოვალენი არიან წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს გაუწიონ მეთოდური დახმარება სამართლებრივი მუშაობის უკეთ მოწყობისა და საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის საქმეში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღმასკომების იურიდიული სამსახურები სათანადო ორგანიზაციულ გაძლიერებასაც მოითხოვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის არცერთი რაიონული საბჭოს აღმასკომში არ სრულდება „იმ თანამდებობათა ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, რომლებიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირებს უნდა ეკავოთ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 თებერვლის № 76 დადგენილება. დადგენილებაში მითითებული რვა თანამდებობიდან თითოეულ რაიონში მხოლოდ ორი-სამია დაკომპლექტებული იურიდიული კადრებით, მაშინ, როცა რესპუბლიკა იურისტთა ნაკლებობას არ განიცდის. ვფიქრობთ, ამ საკითხების მოგვარებაში აღმასკომებს დიდ სარგებლობას მოუტანს „საბჭოთა ორგანოებისათვის იურიდიული კადრების მომზადების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 28 აგვისტოს № 1042 დადგენილება, რომლის მიზანი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი ორგანოებისათვის სათანადო რაოდენობის მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადებაა.

იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული ორგანიზაციები გაითვალისწინებენ აქ გამოთქმულ ნაკლოვანებებს და დროულად გარდაქმნიან თავიანთ საქმიანობას სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები

თენგიზ ლილუაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

კანონი, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ, რომელიც 1987 წლის პირველი მაისიდან შევა ძალაში, კომპლექსური კანონია და მოიცავს ადმინისტრაციულ, საფინანსო და სხვა სამართლებრივ ნორმებს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის აქტია. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა კი — ეს არის მოქალაქეთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. მოქალაქეები თავიანთი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით აწარმოებენ და რეალიზაციას უკეთებენ საქონელს ან ეწევიან გარკვეულ ფასიან მომსახურებას. სხვანაირად რომ ვთქვათ: ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა არის სასაქონლო ფულადი ხასიათის ურთიერთობა. სასაქონლო ფულადი ფორმის გამოყენებით განპირობებულ ქონებრივ ურთიერთობას კი როგორც ცნობილია, აწესრიგებს სამოქალაქო სამართალი.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭიროა ნედლეული, მასალები, იარაღები და სხვა ქონება. ამ ქონების შესაძენად კი აუცილებელია დამყარდეს ურთიერთობა სხვა მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან. ამ საქმიანობის შემდგომ ეტაპზე, როდესაც დამზადებულია საქონელი (ნაკეთობა, ნივთი), საჭირო ხდება მისი რეალიზაცია, მომსახურების გაწევა. ახლა საამისოდ არის საჭირო ურთიერთობა სხვა მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელების, დამზადებული პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის დროს კი შეიძლება დაირღვეს ურთიერთობის მონაწილეთა უფლებები, წამოიჭრას კონფლიქტი.

ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების როლისა და ადგილის გარკვევისათვის მიზანშეწონილი იქნება თუ ამ ერთგვაროვან და ერთიან საქმიანობას პირობითად შემდეგ ეტაპებად დავყოფთ: ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ნედლეულის, მასალების, იარაღებისა და სხვა ქონების შეძენა; წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და მომსახურების გაწევა; უფლების დარღვევის შემთხვევაში წამოჭრილი კონფლიქტის მოგვარება.

1. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ნედლეულის, მასალების, იარაღებისა და სხვა ქონების შეძენის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის თანახმად მოქალაქენი ასეთი საქმიანობისათვის იყენებენ იმ მასალებს, ნედლეულს, იარაღებს და სხვა ქონებას, რომლებიც მათ ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, ან ქონებას, რომელიც მათ გადაეცათ შემკვეთის მიერ.

ამავე მუხლის თანახმად მოქალაქენი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის დროს იყენებენ იმ ქონებას, რომელიც მათ მიღებული აქვთ საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან ან მოქალაქეებიდან ქონების ქირავნობის ხელშეკრულებით.

ქონების ქირავნობის ხელშეკრულება, როგორც ცნობილია, გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით (270-289 მუხლები). სწორედ სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა იხელმძღვანელონ მხარეებმა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელებისათვის ქონების ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას. ქონების ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი კისრულობს სასყიდლით მისცეს დამქირავებელს ქონება დროებითი სარგებლობისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ დამქირავებელს შეუძლია ისარგებლოს დაქირავებული ქონებით, მაგრამ მას არ შეუძლია მოიხმაროს იგი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დამქირავებელი ვალდებულია დაუბრუნოს გამქირავებელს ქონება იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მისგან მიიღო (სამოქალაქო კოდექსის 287-ე მუხლი). სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, როგორც გამქირავებლები, ისე დამქირავებლები შეიძლება იყვნენ მოქალაქეები და სოციალისტური ორგანიზაციები. ამასთან ერთად, სოციალისტურ ორგანიზაციებს შეუძლიათ გააქირაონ ქონება იმ პირობით, თუ ასეთი რამ მათ საწესდებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობას შეესაბამება. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების საშუალებები არ შეიძლება მიეკუთვნოს მოქალაქეებს. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების [illegible] დაკავშირებით [illegible] ნაწილი იქნება გადასართოვლელ [illegible] ლიც შეიძლება მიექირაოს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეებს საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან.

მოქალაქეები, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწევიან, დადგენილი წესით იძენენ მათთვის საჭირო მასალას, ნედლეულსა და იარაღებს სახელმწიფო, კოოპერაციულ, საცალო სავაჭრო ქსელში და ბაზრებში. ამასთან, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის ბოლო ნაწილის თანახმად „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამ პირთ შეუძლიათ შეიძინონ ზედმეტი და გამოუყენებელი მასალები და სხვა ქონება საწარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციებისაგან".

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია არა ქონების ქირავნობაზე, არამედ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ნედლეულისა და სხვა ქონების შეძენაზე საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან.

საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) შესახებ დებულების 45-ე მუხლის თანახმად „ზედმეტი, გამოუყენებელი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ხელსაწყოები, ინვენტარი, ინსტრუმენტები, ნედლეული მასალები და სათბობი საწარმო გაერთიანებამ (კომბინატმა) შეიძლება მიყიდოს სხვა საწარმოსა და ორგანიზაციებს" დადგენილი პირობებისა და წესების დაცვით.[1]

ზედმეტ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობას მიეკუთვნება ისეთი ნედლეული, მასალები, ხელსაწყოები, მოწყობილობა და ა. შ., რომლებიც მართალია გამოსაყენებლად ვარგისია, მაგრამ აღარ სჭირდება იმ საწარმოს თუ ორგანიზაციას, რომელსაც ეს მატერიალური ფასეულობა აქვს.

კანონმდებლობა თავისთავად ითვალისწინებს ზედმეტი და გამოუყენებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთი ორგანიზაციიდან მეორე ორგანიზაციაზე და არა მოქალაქეზე მიყიდვის შესაძლებლობას. გარკვეული დაზუსტება ამ საკითხში შეიტანა სსრ კავშირის სახმომარაგების 1977 წლის 2 ნოემბრის № 55 დადგენილებით დამტკიცებულმა დებულებამ „ზენორმატიული, ზედმეტი და გამოუყენებელი ნედლეულის, მასალების, ნაკეთობათა, მოწყობილობისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის წესის შესახებ".

ამ დებულებაში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ თუ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული ორგანო ერთი თვის მანძილზე ვერ გაუკეთებს რეალიზაციას, იმ ზედმეტ მატერიალურ ფასეულობას, რომელიც გააჩნია საწარმოებს, ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს, მაშინ მათი რეალიზაცია მოხდება ამავე ორგანიზაციების მეშვეობით. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში გაერთიანებას (საწარმოს, კომბინატს) შეუძლია ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობანი გაყიდოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ფორმით, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული. აქ უკვე ნაგულისხმევია იმის შესაძლებლობა, რომ საწარმოს ზედმეტი და გამოუყენებელი ქონება მიეყიდოს მოქალაქეებსაც. ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სუბიექტები შეიძლება მოქალაქეებიც იყვნენ. ამის შესახებ უფრო გამოკვეთილადაა მითითებული დასახელებულ დებულებაში, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ თუ ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობანი ვერ იქნება რეალიზებული დადგენილი წესით, მაშინ ისინი შეიძლება გადაეცეს სავაჭრო ორგანიზაციებს მოქალაქეებზე მისაყიდად.[2]

უფრო მეტი სიზუსტე და გარკვეულობა ამ საკითხში შეიტანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის დეკემბრის დადგენილებამ „სახალხო მეურნეობაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგის შემცირების ღონისძიებათა შესახებ."[3]

ამ დადგენილებით გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს 1987 წლიდან ნება დაერთოთ სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოებთან შეუთანხმებლად მიყიდონ გამოუყენებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი სახელ-

---

[1] სამეურნეო კანონმდებლობის კრებული, ტ. II, შემდგენელი ნ. ი. წერეთელი, თბ. 1978, გვ. 90.

[2] Бюллетень нормативных актов министерств и ведомств СССР. 1978, № 4, с. 3.

[3] გაზეთი „კომუნისტი", 16 დეკემბერი, 1986 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და მოსახლეობას. სსრ კავშირის სახმომარაგებას წინადადება მიეცა უზრუნველყოს საშუამავლო მომსახურების სისტემის შემდგომი განვითარება, რისთვისაც 1987 წელს უნდა გაიხსნას საკომისიო მაღაზიები და სხვა სამეურნეო ანგარიშიანი საწარმოები გამოუყენებელი მასალის, ნედლეულის, მოწყობილობისა და სხვა სახის, მათ შორის ნახმარი მატერიალური ფასეულობის რეალიზაციისათვის.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე: როგორც ცნობილია, სამოქალაქო კანონმდებლობით პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების, კეთილმოწყობის და დამხმარე საოჯახო მეურნეობის საგნები, საცხოვრებელი სახლი და შრომითი დანაზოგი. სწორედ პირადი საკუთრების სამომხმარებლო ხასიათითაა განპირობებული იმ საგნების წრე, რომლებიც პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს.

ამასთან, კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ, მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას, რომ აწარმოონ საქონელი არა პირადი მოხმარებისათვის, არამედ სხვისთვის, სარეალიზაციოდ, გასწიონ მომსახურება გარკვეული ფულადი ანაზღაურებით. ასეთ ვითარებაში გაფართოვდება იმ საგნების წრე, რომლებიც პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს.

კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ ითვალისწინებს აგრეთვე ერთ მეტად მნიშვნელოვან დებულებას. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს თავიანთი ტერიტორიის მოსახლეობის უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით შეუძლიათ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეებს იჯარით გამოუყონ არასაცხოვრებელი სათავსოები და სხვა ქონება.

იჯარა — ესაა ქონების ქირავნობის სახესხვაობა და იგი იდება იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 270-289 მუხლებით. გარდა ამ მუხლებისა, ქონების ქირავნობა რეგულირდება აგრეთვე ტიპობრივი ხელშეკრულებებით. არსებობს მაგალითად ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში არასაცხოვრებელი სათავსების იჯარის ტიპობრივი ხელშეკრულება.

ნებართვა, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ, შეიძლება გაიცეს მოქალაქეზე ვადით არაუმეტეს 5 წლისა. როგორც ჩანს, არასაცხოვრებელი სათავსო შეიძლება გადაეცეს მოქალაქეს იჯარის წესით იმ ვადით, რა ვადითაც მოქალაქეს მიცემული აქვს ინდივიდუალური საქმიანობის ნებართვა, მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს იგი 5 წელს. ასეთი ხელშეკრულების დადების წესები, ვადები, ქირის ოდენობა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის და ა. შ. განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის კოდექსით, შესაბამისი ტიპობრივი ხელშეკრულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

2. **ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და მომსახურების გაწევა.** სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები ფართოდ გამოიყენება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისა და შესრულებული მომსახურების ანაზღაურების დროს.

კანონის მე-11 მუხლის მესამე ნაწილით შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების ნაკეთობათა რეალიზაცია შეიძლება წარმოებდეს დადგენილი წესით, როგორც ნაკეთობათა დამზადების ადგილის მიხედვით, ისე სხვა ქალაქებსა და რაიონებში სამოქალაქო სამართლის ნორმების დაცვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალურ-შრომითი საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქციის გაყიდვის დროს დაცული უნდა იყოს იმ ნორმების მოთხოვნები, რომლებიც მოქალაქეთა პირადი საკუთრების ნივთების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით რეგულირდება (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 237-253 მუხლები). მაგალითად, აღნიშნული კოდექსის 241-ე მუხლით „მოქალაქის ქონება იყიდება იმ ფასად, რა ფასადაც მხარეები შეთანხმდებიან". იგივე შეიძლება ითქვას ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. ფასიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა, აღნიშნულია კანონში, ხორციელდება სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად. ყველა ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, ეს იქნება საყოფაცხოვრებო შეკვეთის თუ ნარდობის ხელშეკრულების სხვა ნაირსახეობა, ყველა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამის ნორმებს (343-360 მუხლები) და მათ შესაბამისად მიღებულ სხვა ნორმატიულ აქტებს. სამოქალაქო კანონმდებლობით ხორციელდება აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა ყველა სხვა სფეროშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ ამ სფეროებში არსებული ტიპობრივი ხელშეკრულებები ძირითადად ეხება სოციალისტურ ორგანიზაციებს, ე. ი. ისეთ შემთხვევებს, როცა შემკვეთია მოქალაქე, ხოლო შემსრულებელი სოციალისტური ორგანიზაცია. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საყოფაცხოვრებო შეკვეთის თუ სხვა სახის ხელშეკრულებები, როგორც წესი, იდებოდა მოქალაქესა (შემკვეთსა) და სოციალისტურ ორგანიზაციას (შემსრულებელს) შორის. ალბათ, მიზანშეწონილი იქნება შემუშავდეს ტიპობრივი ხელშეკრულებები ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ხელშეკრულების მონაწილეებად გვევლინება ერთის მხრივ მოქალაქე და მეორეს მხრივ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შემსრულებელი პირი.

3. **უფლების დარღვევის შემთხვევაში წამოჭრილი კონფლიქტის მოგვარება.** ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობები. კერძოდ, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონის 28-ე მუხლის მეოთხე ნაწილით „აკრძალული ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის, აგრეთვე სათანადო ნებართვის უქონლად განხორციელებული ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შედეგად მოქალაქეთა მიერ მიღებული მთელი შემოსავალი უნდა გადაირიცხოს სახელმწიფოს შემოსავალში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ზედამხედველობა და კონტროლი მოქალაქეთა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაზე ეკისრებათ სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, რომლებმაც განცხადებით უნდა მიმართონ სასამართლოს, რომ კანონმდებლობის დარღვევით განხორციელებული ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შედეგად მიღებული მთელი შემოსავალი სახელმწიფოს შემოსავალში გადაირიცხოს. თავისთავად ცხადია, ასეთი სასარჩელო განცხადებით შეუძლია მიმართოს სასამართლოს პროკურორმაც, მაგრამ სულ სხვაგვარად გადაიჭრება კონფლიქტი, რომელიც წარმოიშობა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განმხორციელებელ პირსა და მოქალაქეს შორის.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამ კანონის მე-8 მუხლს, რომლის თანახმადაც მოქალაქენი, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას მისდევენ, მოვალენი არიან დაიცვან ამ საქმიანობის განხორციელების წესი, მყიდველთა, შემკვეთთა და სხვა პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, უზრუნველყონ გამოსაშვები საქონლისა და გასაწევი მომსახურების სათანადო ხარისხი.

სამოქალაქო კანონმდებლობით გაუიდული ნივთის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს, ხოლო თუ ხელშეკრულებაში ასეთი პირობები არაა მითითებული — ჩვეულებრივ მოთხოვნებს. მყიდველს, რომელმაც არაჯეროვანი ხარისხის ნივთი იყიდა, უფლება აქვს მოითხოვოს ნივთის შეცვლა, საყიდლის ფასის თანაზიარად შემცირება, ნივთის ნაკლის უსასყიდლოდ გამოსწორება, ხელშეკრულების მოშლა, მყიდველისათვის ზარალის ანაზღაურება და ა. შ. რადგან არაჯეროვანი ხარისხის ნივთის გაყიდვა წარმოადგენს მოქალაქის (მყიდველის) უფლების დარღვევას, თუ ეს უფლება ნებაყოფლობით არ იქნება დადგენილი მოქალაქემ შეიძლება შესაბამისი სასარჩელო განცხადებით მიმართოს სასამართლოს.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებები, სამოქალაქო სამართებლივი ხელშეკრულებებია, რომლებიც წარმოშობენ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს ხელშეკრულებების მონაწილეებისათვის. ამიტომ, როდესაც ეს უფლება ირღვევა ან სადაო ხდება, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ამ დარღვეული ან სადაო უფლების დასაცავად.

ასეთია მოკლედ ინდვიდუალური შრომითი საქმიანობის ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტი. ცხოვრება ალბათ წამოჭრის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან რთულ სამართებლივ საკითხებსაც, რომელთა სწორად გადაწყვეტაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ამ დროული და შესანიშნავი კანონის ეფექტიანად გამოყენება.

ეფექტი კი, რისი მიღწევაც სურს კანონმდებელს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სამართლებრივი რეგულირებით, პირდაპირაა მითითებული კანონის პრეამბულაში: სსრ კავშირში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა გამოიყენება იმისათვის, რომ სულ უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი საქონელსა და მომსახურებაზე, იზრდებოდეს მოქალაქეთა დასაქმება საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობით, მიენიჭოთ მათ შესაძლებლობა მიიღონ დამატებითი შემოსავალი გაწეული შრომის დანახარჯის შესაბამისად. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სასარგებლო ამ ეფექტის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტები განუხრელად შესრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების სამართალწარმოების თავისებურებანი

აპოლონ ფალიაშვილი

უკანასკნელ წლებში გარკვეული ცვლილებები განიცადა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ არასრულწლოვანთა საქმეების სამართალწარმოების საკითხში.[1] ეს ცვლილებები და დამატებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ძირითადად გამოწვეულია ამ კატეგორიის საქმეებზე დემოკრატიული საწყისების გაფართოებით, დამატებითი გარანტიების დაწესებით, შრომითი კოლექტივებისა და მშობლების როლის ამაღლებით.

არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების თავისებურება ვრცელდება იმ ეჭვმიტანილზე, ბრალდებულსა და განსასჯელზე, ვისაც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ შესრულებია 18 წელი.

არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების თავისებურება შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად. პირველს მიეკუთვნება ისეთი ხასიათის თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია ამ კატეგორიის საქმეთა სამართალწარმოებისათვის მთლიანად. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება თავისებურებანი, რაც ახასიათებს არასრულწლოვანთა საქმეების წინასწარ გამოძიებას. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ამ კატეგორიის საქმეების სასამართლოში განხილვისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

1. არასრულწლოვანთა საქმეების სამართალწარმოების ზოგადი თავისებურებები.

არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ამ კატეგორიის საქმეთა წინასწარი გამოძიებისა, თუ სასამართლოში განხილვის დროს ყოველთვის უნდა დადგინდეს მტკიცების საგნის დამატებითი გარემოებანი, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ სსსკ 59[1] მუხლი, კერძოდ: 1. არასრულწლოვანის ასაკი; 2. აღზრდისა და ცხოვრების პირობები; 3. არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები და მიზეზები; 4. სრულწლოვანი წამქეზებლები და სხვა პირები, რომლებმაც არასრულწლოვანი დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩააბეს; 5. არასრულწლოვანის საერთო განვითარების მდგომარეობისა და მისი გონებრივი ჩამორჩენის დონის დადგენა.

არასრულწლოვანის ასაკის დადგენა. არასრულწლოვანის ასაკის (დაბადების წელი, თვე, დღე) დადგენას სისხლის სამართლის პროცესში ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, რადგან სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გარკვეული ასაკის დადგომიდან. ამასთანავე, საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით სისხლის სამართლის საქმე არ უნდა აღიძრას და თუ აღძრულია უნდა შეწყდეს წარმოებით იმ პირის მიმართ, ვისაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია ის ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგაც დგება პასუხისმგებლობა.

არასრულწლოვანის ასაკის დადგენა ხდება დაბადების მოწმობის საფუძველზე. თუ არ არსებობს არასრულწლოვანის ასაკის დამდგენი დოკუმენტი და საქმისათვის კი მას მნიშვნელობა აქვს, აუცილებლად უნდა დაინიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (საქართველოს სსრ სსსკ 71-ე მუხლი).

პირი ითვლება გარკვეულ ასაკს მიღწეულად არა დაბადების დღეს, არამედ შემდგომი დღიდან. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიერ ასაკის დადგენისას დაბადების დღედ უნდა ჩაითვალოს იმ წლის უკანასკნელი დღე, რომელიც ექსპერტმა განსაზღვრა, ხოლო ასაკის

---

[1] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984, № 4, მუხლი მე-100

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინიმალური და მაქსიმალური წლის განსაზღვრის შემთხვევაში საწყისად მიღებული უნდა იყოს ნავარაუდევი მინიმალური ასაკი.[2]

** აღზრდისა და ცხოვრების პირობების დადგენა.** ამ საკითხის გარკვევის მიზნით გამოთხოვილ უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტები, დაიკითხონ არასრულწლოვანები, მათი მშობლები და კანონიერი წარმომადგენლები ან სხვა პირები, რომელთა ჩვენებაც შუქს მოფენს არასრულწლოვანთა აღზრდისა და ცხოვრების პირობებს.

ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დადგენილი მშობლებისა და მათი შემცვლელი პირების დამოკიდებულება არასრულწლოვანისადმი, მშობლების მორალური თვისებები, აღზრდის მეთოდები, ცხოვრების პირობები, არასრულწლოვანთა დამოკიდებულება მშობლებისადმი, ოჯახური მდგომარეობა და ოჯახის თვიური შემოსავალი.

გარკვეული უნდა იყოს, აგრეთვე, არასრულწლოვანის სწავლისადმი თუ შრომისადმი დამოკიდებულება, მისი ქცევა სასწავლებელში, სამუშაოზე, მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სასწავლო-აღმზრდელობითი და საწარმოო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოსაზრება არასრულწლოვანებზე. აუცილებელია დადგინდეს არასრულწოვანის კავშირები: ვისთან ამხანაგობდა და მეგობრობდა იგი, ამ პირების მორალური სახე და შრომისადმი დამოკიდებულება.[3]

დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები და მიზეზები. არასრულწლოვანთა ყოველ საქმეზე, გამომძიებელი და სასამართლო ვალდებულნი არიან დაადგინონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები და მიზეზები. ამისათვის საჭიროა არასრულწლოვანის აღზრდისა და ცხოვრების პირობების შესწავლა, იმ გარემოს გარკვევა, სადაც არასრულწლოვანებს უხდებათ ცხოვრება, სწავლა თუ შრომა. დადგენილი პირობებისა და მიზეზების აღმოფხვრის მიზნით ყველა შემთხვევაში უნდა იყოს გამოტანილი სასამართლოს კერძო განჩინება ან გამომძიებლის წარდგინება, რომლებშიც კონკრეტულად უნდა დაისახოს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებები.

წამქეზებლებისა და დანაშაულის ჩადენაში ჩაბმული პირების დადგენა. არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების დროს ყველა შემთხვევაში უნდა დადგინდნენ სრულწლოვანი თანამონაწილეები, წამქეზებლები და ის პირები, ვინც არასრულწლოვანი ჩააბა ან დაიყოლია დანაშაულებრივ საქმიანობაში. უნდა გაირკვეს საკითხი, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა არასრულწლოვანის წაქეზება და დანაშაულში ჩაბმა: ფიზიკური იძულების, თუ ფსიქიკური ზემოქმედების რა ზომები იყო გამოყენებული (დარწმუნება, დაშინება, მოსყიდვა, მოტყუება, ფიზიკური ძალადობა, შეპირება, რჩევა-დარიგება და სხვ.).

არასრულწლოვანის საერთო განვითარების მდგომარეობისა და მისი გონებრივი ჩამორჩენის ფაქტის დადგენა. არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიება-განხილვის დროს ყველა შემთხვევაში უნდა გაირკვეს არასრულწლოვანის გონებრივი ჩამორჩენის ხარისხი, კერძოდ, შეეძლო თუ არა მას სრულად შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა. ამ საკითხის გარკვევის მიზნით უნდა დაიკითხონ არასრულწლოვანთა მშობლები ან მათი კანონიერი წარმომადგენლები, მისი მასწავლებელი, აღმზრდელი და სხვა პირები, რომელთაც შეუძლიათ საჭირო ცნობები მიაწოდონ გამოძიებასა და სასამართლო ორგანოებს. ამასთან ერთად გამოთხოვილ უნდა იქნას დოკუმენტები და ცნობები სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებიდან და სამკურნალო დაწესებულებებიდან.

აუცილებელ შემთხვევაში, არასრულწლოვანის საერთო განვითარების მდგომარეობისა და მისი გონებრივი ჩამორჩენის დონის დასადგენად უნდა დაინიშნოს ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული ექსპერტიზა შერაცხადობა — შეურაცხადობის საკითხის გარკვევის მიზნით (საქართველოს სსრ სსსკ 591 მუხლი).

არასრულწლოვანთა საქმეების ზოგად თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ საგამომძიებო და სასამართლო ორგანოებს შეუძლიათ წარმოებით შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე და არასრულწლოვანი გადასცენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას საზოგადოებრივი ზე-

---

2 სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1982 წლის 9 ივლისის № 6 დადგენილება „სასამართლოების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის და მათი დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის საქმეებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“.

3 Комментарий к уголовно-процессуальному кодексу РСФСР. М., 1985. с. 616.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედების ზომების გამოსაყენებლად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლი).

კანონი ითვალისწინებს აგრეთვე [illegible] ბრალდებას [illegible] ბრალდებულ [illegible] (საქართველოს სისხლის კოდექსის [illegible]) [illegible] სამართლ[illegible]

საქმის წარმოების თავისებურებაა ისიც, რომ თანამონაწილეობის შემთხვევაში არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმე მიზანშეწონილია ცალკე წარმოებად გამოიყოს, თუ ძირითადი საქმის გამოძიება-განხილვა შესაძლებელია ჩატარდეს ობიექტურად, ყოველმხრივად და სრულყოფილად (მუხლი 23).

არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიება-განხილვის დროს დამცველის მონაწილეობა აუცილებელია მაშინაც, როცა ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა 18 წლის ასაკამდე, მაგრამ გამოძიების დამთავრებამდე მიაღწია სრულ წლოვანებას. სწორედ ამიტომ ამახვილებს ყურადღებას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ამ საკითხზე,[4] რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც პრაქტიკაში ბრალდებულს (განსასჯელს) არ ენიშნება დამცველი იმ მოტივით, რომ დაცვის უფლების აღმოცენების დროს იგი უკვე სრულწლოვანი იყო.

არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიება-განხილვა დამცველის მონაწილეობის გარეშე, საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევაა და იწვევს განაჩენის გაუქმებას (საქართველოს სსრ სსსკ 355-ე მუხლის მე-4 პუნქტი).[5]

კანონით (მუხლი 45) არასრულწლოვანი ბრალდებულის (განსასჯელის) უარი დამცველის ყოლაზე სავალდებულო არ არის სასამართლოს, გამომძიებლისა და პროკურორისათვის. კანონის ასეთი მითითება იძლევა დაცვის უფლების რეალური და ეფექტური განხორციელების შესაძლებლობას არასრულწლოვანთა საქმეებზე.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა საქმეებზე მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა გამოძიების დროს ან სასამართლოში, არ გამორიცხავს დამცველის აუცილებელ მონაწილეობას.

კანონი (საქართველოს სსრ სსსკ 98-ე მუხლი) არასრულწლოვან ბრალდებულთათვის აწესებს აღკვეთის ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა მშობლების, მეურვეების და მზრუნველებისათვის მათი სამეთვალყურეოდ, ან სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებათა ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა. მაგრამ ასეთ დროს მიღებული უნდა იყოს მშობლების, მეურვეების, მზრუნველების თანხმობა. რაც შეეხება დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობას, იგი საჭირო არ არის.[6]

კანონი განსაზღვრავს აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცესუალურ წესს. არასრულწლოვანი ბრალდებულის სამეთვალყურეოდ მიღების დროს მშობლები, მეურვეები, მზრუნველები, აღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელები ხელწერილით უნდა იყვნენ გაფრთხილებულნი იმ დანაშაულის ხასიათის შესახებ, რაშიც ეჭვმიტანილია ან ბრალი ედება არასრულწლოვანს, აქვე განემარტებათ ის პასუხისმგებლობა, რაც შეიძლება მოჰყვეს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევას.

მშობელი, მეურვე, მზრუნველი, რომელსაც სამეთვალყურეოდ გადაეცა არასრულწლოვანი ბრალდებული, ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება დაჯარიმდეს ასი მანეთის ოდენობით.

2. არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების თავისებურებანი წინასწარი გამოძიების დროს.

არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დროს შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებელმა აუცილებლად უნდა ჩაატაროს წინასწარი გამოძიება. სასურველია, რომ იგი დაეკვალოს გამოცდილ და შედარებით კვალიფიციურ მუშაკს, რადგან არასრულწლოვანთა საქმეები სხვებზე უფრო მეტ გულისხმიერებას, ყურადღებას მოითხოვს. არასრულწლო-

---

[4] Бюллетень Верховного Суда СССР, 1982, № 5, пункт 3, с. 4.

[5] ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუ არასრულწლოვანს საქმის აღძვრის მომენტისათვის უკვე შეუსრულდა, მაგალითად ოცი წელი, არასრულწლოვანთა საქმეების სამართალწარმოების თავისებურებათა გამოყენება უკვე კარგავს თავის დანიშნულებას.

[6] Гуковская Н. И., Долгова А. И., Миньковский Г. М., Расследование и судебное разбирательство дел о преступлениях несовершеннолетних. М., 1974, с. 64; Квелидзе С., Судопроизводство по делам о преступлениях несовершеннолетних: «Советская юстиция», 1985, № 12, с. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ბრალდებულს [illegible] შეიტრეს გამ[illegible] ალებს, [illegible] ბული (ეჭვმიტანილი) და სხ[illegible] ამის შემდეგ გადაწყვიტოს საკითხი. ეს წესი დადგენილია კანონით სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ (მუხლი 30) და საქართველოს სსრ სსს კოდექსის 88-ე მუხლით. არასრულწლოვანი ბრალდებული საგამოძიებო იზოლატორში უნდა მოთავსდეს სრულწლოვანი პატიმრებისაგან განცალკევებით.

ბრალდებულის სახით იმ პირის დაბარება გამომძიებელთან, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია, როგორც წესი, ხდება მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. თუ გამომძიებელი მივა დასკვნამდე, რომ მშობელს და კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ არასრულწლოვანი ბრალდებულის გამოცხადებას, მას უფლება აქვს არასრულწლოვანი გამოიძახოს უშუალოდ, საერთო წესის მიხედვით. ასეთივე წესით ხდება არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის გამოძახებაც. (მუხლი 153).

დამცველის მონაწილეობა არასრულწლოვანთა საქმეებზე სავალდებულოა ბრალდების წაყენების მომენტიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ არასრულწლოვანი ბრალდებული, მისი მშობელი, კანონიერი წარმომადგენელი, აგრეთვე ბრალდებულის დავალებით სხვა პირები დამცველს არ მოიწვევენ, გამომძიებელი ვალდებულია თვითონ უზრუნველყოს იგი, (საქართველოს სსრ სსსკ 48-ე და 431-ე მუხლები). საქართველოს სსრ სსსკ 148-ე მუხლით ბრალდების წაყენების დროს სავალდებულოა პედაგოგის ან ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენლის დასწრება.

ბრალდების წაყენების დროს დამსწრე პირებს უფლება აქვთ გამომძიებლის ნებართვით შეკითხვები მისცენ არასრულწლოვან ბრალდებულს, განაცხადონ შუამდგომლობა, გაასაჩივრონ გამომძიებლის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება და სხვა.

გარკვეული თავისებურება ახასიათებს არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვასაც. 14 წლის ასაკამდე მიუღწეველი პირის დაკითხვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს პედაგოგი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი. თუ გამომძიებელი ჩათვლის საჭიროდ ეს წესი ვრცელდება 14-დან 18 წლის ასაკის პირის დაკითხვის დროსაც (მუხლი 57).

მოწმესა და დაზარალებულს, რომელთაც 16 წელი არ შესრულებიათ, განემარტებათ, რომ ისინი ვალდებულნი არიან მისცენ სწორი ჩვენება, მაგრამ მათ არ აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენებაზე უარის თქმისათვის, ჩვენების მიცემაზე თავის არიდებისა და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის. ეს იმიტომ, რომ ამ სახის დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 16 წლის ასაკიდან დგება.

დამცველი, მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, მონაწილეობენ რა წინასწარ გამოძიებაში, აღძრავს შუამდგომლობას გამომძიებლის წინაშე, რათა ისინი დაესწრონ ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ამოღება, ჩხრეკა, საგამოძიებო ექსპერიმენტი და სხვ.). გამომძიებელს უფლება აქვს დაასწროს აღნიშნული პირები კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებას ან უარი უთხრას მათ, თუ მიიჩნევს, რომ იგი ხელს შეუშლის ჭეშმარიტების დადგენას ან გამოძიების ობიექტურ წარმოებას.

3. არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების თავისებურებანი სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის დროს სასამართლო ვალდებულია მტკიცედ დაიცვას კანონის მოთხოვნა, რათა ამაღლდეს ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ხარისხი, პროცესის კულტურა და სასამართლოს აღმზრდელობითი ზემოქმედება. იმ პირთა სამართალში მიცემის საკითხი, რომელთაც დანაშაულის ჩადენის დროს 18 წელი არ შესრულებიათ, უნდა გადაწყდეს კოლეგიალურად, განმწესრიგებელ სხდომაზე. (მუხლი 222).

არასრულწლოვანის სამართალში მიცემის დროს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მთელი რიგი საკითხები, რაც დაკავშირებულია სასამართლო სხდომის ორგანიზებულ ჩატარებასთან. ეს უპირველესად საქმეში დამცველის მონაწილეობას ეხება.

განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა გადაწყდეს საკითხი პროკურორის სასამართლოზე გამოძახების შესახებ. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1983 წლის 4 თებერვლის № 12 ბრძანებით კი პროკურორმა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის დროს აუცილებლად უნდა დაუჭიროს მხარი სახელმწიფო ბრალდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ბელ ხდომაზეც უნდა გაირკვეს აგრეთვე ისიც, გამოიძახონ თუ არა [illegible] ბელ [illegible] ბის [illegible] ბ [illegible] ბ [illegible] ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალების მომზადების საოქმო ფორმა სისხლის სამართლის პროცესში

ედუარდ კემულარია

სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში საოქმო ფორმის გამოყენების თითქმის ორწლიანმა პრაქტიკამ დაადასტურა ამ საკანონმდებლო სიახლის აუცილებლობა.[1] ამასთან ერთად საოქმო ფორმის ცხოვრებაში გატარებისას წამოიჭრა ამ ფორმასთან დაკავშირებული პროცესუალური ნორმების სწორად განმარტებისა და გამოყენების სხვადასხვა საკითხი. საოქმო ფორმის გამოყენების პრობლემებზე იურიდიულ ლიტერატურაში უკვე გამოითქვა საინტერესო მოსაზრებანი. ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" ფურცლებზე იბეჭდება ამ ფორმის პრაქტიკისა და თეორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი განხილვის მასალები. აღნიშნულთან დაკავშირებით შეეხებით რამდენიმე საკითხს.

დაცვის უფლების გარანტიები. პირველ რიგში ხაზი უნდა გაეკვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-400 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეების წარმოების წესი განისაზღვრება აღნიშნული კოდექსის საერთო წესებით საოქმო ფორმასთან დაკავშირებული გამონაკლისების გარდა. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი იმპერატიულად არ მოითხოვს მოკვლევის ორგანოებისაგან, რომ ყველა მოცემულ შემთხვევაში მათ გამოიყენონ წარმოების საოქმო ფორმა. პირიქით, მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა არა მარტო შეიძლება გამოყენებული იქნეს, არამედ აუცილებელიც არის მხოლოდ იმ გამონაკლისის შემთხვევებში, როდესაც დანაშაული ჩადენილია აშკარად, მტკიცებულებები სახეზეა და მათი მოპოვება, დამაგრება და შეფასება არ არის დაკავშირებული დიდ სიძნელეებთან; სამართალდამრღვევი თავიდანვეა ცნობილი. ამ მიზეზით ზოგიერთ დანაშაულებზე უფრო ხშირად გამოიყენება საოქმო ფორმა. ზოგიერთებზე კი ნაკლებად, რაც გამოწვეულია ობიექტური გარემოებებით. ამაზე ლაპარაკობს სტატისტიკაც.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ სანამ ადამიანს დამნაშავედ გამოვაცხადებთ და მოვექცეოდეთ მას, როგორც დამნაშავეს, აუცილებელია არსებობდეს მის მიერ დანაშაულის ჩადენის უტყუარი საბუთები. ამ საქმეში შეცდომების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მოქალაქეს შეეუქმნათ ყველა პირობა ბრალდებისაგან თავის დასაცავად. სისხლის სამართლის პროცესში მასალების საოქმო ფორმით მომზადებისას განუხრელად უნდა ხორციელდებოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი გაძლიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ". მასალების საოქმო ფორმით წარმოების შემდგომ ლიტერატურაში გამოთქმულა [illegible] მოსაზრება, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედება სისხლის სამართლის [illegible] ეტაპზე ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის პროცესუალური ფიგურის გამოჩენიდან.[2] [illegible] საოქმო წარმოებისას არ არსებობს პირადების დაკავების უფლება, ამდენად, პროცესუალური გაგებით იგი ეჭვმიტანილიც არ არის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საქართველოს [illegible] კოდექსთან, რომლის მიმართაც გამონაკლისის სახით მიმდინარეობს მასალების წარმოება სსსკ 400-400 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამ ეტაპზე [illegible] ოპერირდება [illegible] უდანაშაულობის პრეზუმფციის ინსტიტუტი? იმის გათვალისწინებით, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია ობიექტური კატეგორიაა, ამ შეკითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი [illegible] -სებობდეს [illegible] მასალების საოქმო ფორმით წარმოებისას სრულყოფილად უნდა იყოს [illegible] ი უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე ყველა პროცესუალური უფლე-

---

1 ჩვენი რესპუბლიკის მონაცემებით საოქმო ფორმით სასამართლოში წარმართული საქმეებიდან დამატებითი გარემოებების გამოსარკვევად დაბრუნდა მხოლოდ 2,1 პროცენტი, სა- [illegible] ხდომის დარბაზიდან კი არცერთი (იხ. ბ. ასრიევი. სისხლის სამართლის სამართალ- [illegible] საოქმო ფორმის თეორია და პრაქტიკა. „საბჭოთა სამართალი", 1986, № 2, გვ. 36); [illegible] Верховного Суда РСФСР, 1986, № 3, с. 6).

2 Касумов Ч. С. Презумпция невиновности в советском праве. Баку, 1984, с. 77.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, ვინაიდან საკითხის ნებისმიერი ფორმით სხვაგვარად გადაწყვეტით უსამართლოდ შეიზღუ-
დებოდა პიროვნების დაცვის უფლებები. ამ სტადიაზე უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმე-
დება ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი აწევთ მოკვლევის ორგანოებს. სამართალდამრღვევი
არ არის ვალდებული ამტკიცოს მისი უდანაშაულობა. მოკვლევის ორგანოს თანამშრომელი,
რომელიც ატარებს მასალების საოქმო ფორმით შემოწმებას, ვალდებულია მოიპოვოს მონაცე-
მები სამართალდამრღვევის პიროვნების შესახებ.

საოქმო ფორმით მასალების მომზადების დროს დაცვის უფლების რეალური განხორციე-
ლების გარანტიებია: სსსკ 401-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ოქმის შედგენა, რომელშიც
სათანადოდ იქნება დასაბუთებული მოკვლევის ორგანოს დასკვნები; იმ მასალების პროცესუა-
ლური კანონმდებლობის სრული დაცვით გამოკვლევა, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის
სასამართლოში განხილვისათვის; სამართალდამრღვევის, თვითმხილველებისა და სხვა პირების
ახსნა-განმარტებებში მოცემული ფაქტიური მონაცემების ოქმში ობიექტურად და მოტივირებუ-
ლად შეტანა; სამართალდამრღვევისათვის მასალების გაცნობის რეალური შესაძლებლობის უზ-
რუნველყოფა. აღნიშნულ პირობებში ჩატარებული შემოწმება პიროვნებას შეუქმნის შუა-
მდგომლობების დაყენებისა და თავისი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობებს.

პრაქტიკა ამ კატეგორიის საქმეების საოქმო ფორმით წარმოებისას არ არის დაზღვეული
ხარვეზებისაგან. ზოგჯერ ადგილი აქვს კანონის მოთხოვნებში ჩადებული აზრის გაფართოებულ
განმარტებას, ან კიდევ პირიქით — კანონით რეგლამენტირებული პროცესუალური პროცედუ-
რების გაუბრალოებას. ერთიც და მეორეც შეუთავსებელია სისხლის სამართლის სამართალწარ-
მოების დემოკრატიულ არსთან, რადგანაც ასეთ დროს წარმოიშობა მოქალაქეთა უფლებებისა
და კანონიერი ინტერესების შელახვის საშიშროება. საოქმო ფორმით წარმოებისას არ დაიშვება
საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება. თუ აუცილებელია რომელიმე საგამოძიებო მოქმედება
(ჩხრეკა, ამოღება და სხვ.) საჭიროა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. საოქმო ფორ-
მით შემოწმებისას შესაძლებელია მხოლოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერება. მიუხედავად
კანონის მოთხოვნის კატეგორიულობისა, პრაქტიკაში მაინც აქვს ადგილი საოქმო ფორმით წარ-
მოებისას ზოგიერთი სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფაქტებს, რაც კანონის უხეშ
დარღვევად უნდა ჩაითვალოს. ასევე დაუშვებელია, როდესაც ოქმში მოცემული საბრალდებო
თეზისი არ არის დასაბუთებული სათანადო ფაქტობრივი მონაცემებით, რადგანაც ეს ხელს
შეუშლის სასამართლოში საქმის სრულყოფილად განხილვას.

მასალების საოქმო ფორმით წარმოების ვადები. ამ ფორმით წარმოების შეზღუდული ვა-
დები საკმაოდ რთული პრობლემების წინაშე აყენებს სამართალდაცვითი ორგანოების წარმო-
მადგენლებს. საკანონმდებლო ნოველის მოთხოვნების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნა დროის
გარკვეულ მონაკვეთს მოითხოვს, ორწლიანმა პრაქტიკამ კი ჯერაც ვერ გადაწყვიტა ამ სიძნე-
ლეებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. პრაქტიკაში ადგილი აქვს ვადის სხვადასხვა ხა-
სიათის დარღვევებს, რომლებიც პირობითად ასე შეიძლება დავყოთ: 1. მასალების შემოწმების
ვადის დაწყების არასწორი გამოთვლა; 2. მოკვლევის ორგანოს უფროსის ან პროკურორის
მიერ ოქმის ვადაგადაცილებით დამტკიცება; 3. სასამართლოში მასალების ვადაგადაცილებით
გადაგზავნა; 4. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ვადის გადაცილება. კანონმდებლობა პირ-
დაპირ არ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს მასალების საოქმო ფორმით მომზადების
ვადების გამოთვლა,[3] მაგრამ არსებითად კანონშიეა მოცემული, რომ ეს ვადა უნდა გამოით-
ვალოს დღეებით. რადგან სსსკ 103-ე მუხლის შესაბამისად ვადის გამოანგარიშების დროს მხე-
ველობაში არ მიიღება ის დღე რომლითაც იწყება ვადის მსვლელობა, მასალების მომზადების
ვადის გამოანგარიშება იწყება წარმოების დაწყების საბაბის მიღების მეორე დღიდანვე.[4] (სა-
ოქმო ფორმით წარმოების დაწყების საბაბი შეიძლება იყოს სსსკ 108-ე მუხლით გათვალისწი-
ნებული სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ნებისმიერი საფუძველი). კანონით მასალების
შომზადების 10 დღიანი ვადა გაგრძელებას არ ექვემდებარება. ამავე ვადაში უნდა მოახდინოს

---

3 ბ. ასრიევი, სისხლის სამართლის სამართალწარმოების საოქმო ფორმის თეორია და
პრაქტიკა. „საბჭოთა სამართალი", 1986 № 3, გვ. 37.

4 დღეებით ვადების გამოთვლა სსსკ 103-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ
შეიძლება დავასკვნათ, რომ დღე-ღამის მიხედვით ვადის გამოთვლა მოცემულ შემთხვევაში
არსებითად იდენტურია დღეებით გამოთვლისა.

Комментарии к УПК РСФСР (под ред. А. М. Рекункова и А. К. Орлова, М., 1981, с. 140).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვლევის ორგანოს უფროსმა ოქმის დამტკიცება და უზრუნველყოს პროკურორის სანქციით მასალების სასამართლოსათვის გადაგზავნა. სასამართლოში საქმის განხილვის 10 დღიანი ვადის გამოანგარიშება იწყება მასალების სასამართლოში მიღების დღიდან და მთავრდება განაჩენის დადგენის დღით. სასამართლოში 10 დღიანი ვადის დარღვევის მიზეზით ზოგჯერ ხდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სამართალში მიცემის შესახებ განჩინების პირის განხილვის დაწყებამდე 3 დღით ადრე ჩაბარების უზრუნველყოფა განსასჯელისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას უნდა ჩაბარდეს თუ არა აღნიშნული პირი განსასჯელს. ეს გარემოება წარმოშობს აზრთა სხვადასხვაობას, როგორც პრაქტიკაში, ასევე იურისტ მეცნიერთა შორისაც.[5] როდესაც სასამართლოები ცდილობენ განჩინების, პირის განსასჯელისათვის 3 დღით ადრე ჩაბარებას, ეს არის ფაქტიურად სსსკ 237-ე მუხლის (საბრალდებო დასკვნის პირის ჩაბარება) ანალოგიით გამოყენება. ასეთი ანალოგია არ არის გამართლებული, ვინაიდან, ამ შემთხვევაში კანონში მოცემულ სიტუაციასა და შესადარებელს შორის არ არის არსებითი ნიშნების მსგავსება. საოქმო ფორმით წარმოებისას არ დგება საბრალდებო დასკვნა. მასალები მთლიანად წარედგინება სამართალდამრღვევს გასაცნობად, რის შესახებაც აღინიშნება ოქმში. თუ განსასჯელი სასამართლო განხილვის დროს იშუამდგომლებს საქმის მასალების გაცნობის თაობაზე, სასამართლო ვალდებულია მისცეს ასეთი შესაძლებლობა. ამდენად, საქმის აღძვრისა და სამართალში მიცემის შესახებ განჩინების პირის განსასჯელისათვის ჩაბარება სავალდებულო არ არის და ამ მიზეზით სასამართლო განხილვის ვადები არ უნდა ირღვეოდეს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სასამართლო განჩინებით დააბრუნებს მასალებს მოკვლევის ან წინასწარი გამოძიებისათვის, ან უარს იტყვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე ასეთი საფუძვლების არარსებობის გამო, მან უნდა გაუგზავნოს განჩინების პირი დაზარალებულს და იმას, ვისაც ბრალი ედებოდა დანაშაულის ჩადენაში.

სასამართლოს აღმზრდელობითი როლი. მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები და დღევანდელი ამოცანები მოითხოვს იმას, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს სასამართლო პროცესის აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი როლი. საოქმო ფორმით მომზადებული საქმეების სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებით აღნიშნული თეზისი აქტუალურია იმიტომაც, რომ სსსკ მე-400 მუხლში დასახელებული დანაშაულების უმრავლესობა დაკავშირებულია ისეთ ქმედობებთან, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაც საერთო სახალხო საქმედაა გამოცხადებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დანაშაულობები, რომლებიც დაკავშირებულია უშრომელ შემოსავალთან (წვრილმანი დატაცება, მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება, აკრძალული რეწვა და სხვ). ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრის პრობლემებთან (შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადება ან გასაღება, სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა და სხვ.). ასეთ შემთხვევებში სასამართლოები ვალდებული არიან სრულყოფილად გამოიყენონ პროცესის აღმზრდელობითი ზემოქმედების საშუალებები. როგორც პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, საოქმო ფორმით მომზადებული საქმეების განხილვისას პროცესში თითქმის არ მონაწილეობს საზოგადოებრივი ბრალმდებელი, შეიძლება ითქვას, რომ არ მიმართავენ სასამართლოს გამსვლელი სხდომების მოწყობის პრაქტიკას.

საზოგადოებრიობის პროცესში მონაწილეობა უნდა უზრუნველყოს მოკვლევის ორგანომ. როგორც არ უნდა იყოს ეს ორგანო შეზღუდული ვადებით, მან აუცილებლად უნდა მოახერხოს მშრომელთა კოლექტივისათვის ინფორმაციის მიწოდება და მიაღწიოს საზოგადოებრივი ბრალმდებელის გამოყოფას. ასეთ შემთხვევაში მასალებს ურთავენ საერთო კრების ოქმს.

სასამართლოს მიერ საოქმო ფორმით მომზადებული საქმეების გამსვლელ სხდომაზე განხილვისას (ასეთ შემთხვევაში აუცილებელია პროკურორის მონაწილეობა) ჩნდება შესაძლებლობა სასამართლომდე მომზადებული მასალების სამსჯავრო სხდომაზე უფრო სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევისათვის. ამასთან, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მასალები კოლექტივის, ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი ხდება, რაც უდავოდ უწყობს ხელს დანაშაულის პროფილაქტიკას.

---

[5] Бурмистров М., Кориков В., Готлиб Р., Применение протокольной формы досудебной подготовки матердиалов. «Советская юстиция», 1986, № 15, с. 18; Басков В. И. Практика применения протокольной формы уголовного судопроизводства, «Советское государство и право», 1986. № 11, с. 88—89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა სამოქალაქო საქმეებზე

ნოდარ მენაბდე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის საინჟინრო-ტექნიკურ გამოკვლევათა განყოფილების უფროსი

საცხოვრებელი სახლების პირადი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სამოქალაქო დავების გადაწყვეტისას ხშირად აუცილებელი ხდება სამშენებლო-სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალურ-რესპუბლიკურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში, მაგალითად, ბოლო სამ წელიწადში ჩატარებულია 400-მდე ასეთი სახის ექსპერტიზა. მათი რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1981 წლის 31 ივლისის დადგენილების—„დავების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი სახლების პირადი საკუთრების უფლებებთან“ — მიღების შემდეგ. ამ დადგენილების 21-ე პუნქტში მითითებულია, რომ „საცხოვრებელი სახლიდან წილის გამოყოფის (სახლის გაყოფის) ან სახლში სათანადო სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების საკითხების გადაწყვეტისათვის სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სასამართლო სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა“.

სამშენებლო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს:

— სახლი აშენებულია თუ არა პროექტის შესაბამისად ან ალმასკომის გადაწყვეტილების მიხედვით;

— არის თუ არა ტექნიკური საშუალება სანიტარულ-ტექნიკური ნორმების გათვალისწინებით საცხოვრებელი ფართის რეალურად გამოყოფისა ბინაში (სახლში) ერთი ან ოჯახის რამდენიმე წევრისათვის დადგენილი იდეალური წილის შესაბამისად;

— არის თუ არა ტექნიკური საშუალება იზოლირებული ოთახის გამოყოფისა ბინაში, ან ბინისა საცხოვრებელ სახლში.

სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა აგრეთვე:

— ახდენს სახლის გაყოფის ვარიანტების ტექნიკურ დამუშავებას, თუ ასეთი გაყოფის საშუალება არსებობს;

— განსაზღვრავს აუცილებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხასიათს და ღირებულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადგენს თუ რით არის გამოწვეული სახლის, ჭერის, ბინის კედლების დაზიანება, აღდგენითი სამუშაოების მოცულობას, მის ღირებულებას;

— იმ შემთხვევაში, როდესაც სახლის (ბინის) გაყოფა ტექნიკურად შეუძლებელია, ან რეალური წილი არ შეესაბამება იდეალურს, ადგენს ზედმეტი ფართის ფულად კომპენსაციას.

ექსპერტიზების სწორად ჩატარებისათვის სასამართლომ უნდა გამოითხოვოს და ექსპერტიზას წარუდგინოს უფლების დამადგენელი დოკუმენტები და მასალები, ე. ი. — საწყისი მონაცემები, რომელთა საფუძველზე ექსპერტს შეეძლება ჩაატაროს კვლევები.

აღნიშნული კატეგორიის ექსპერტიზები ტარდება სადაო ობიექტის ადგილმდებარეობის მიხედვით, მხარეების მონაწილეობით, მათი შეხედულებებისა და სურვილების გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, ეს შეხედულებები და სურვილები არ განსაზღვრავენ ექსპერტიზის დასკვნას, მაგრამ შეძლებისამებრ ექსპერტმა უნდა გაითვალისწინოს და შეაფასოს ისინი, მიუთითოს რატომ არ შეიძლება ამ სურვილების მიღება, ან რატომ უნდა მიიღონ ერთი მხარის შეხედულებები, ხოლო მეორე მხარის — არა.

მხარეების შეხედულებები და სურვილები წინასწარ უნდა იყოს წარმოდგენილი სასამართლო სხდომაზე და აისახოს სასამართლო განჩინებაში ექსპერტიზის დანიშვნის დროს, ვინაიდან თვით ექსპერტს უფლება არა აქვს დამოუკიდებლად შეაგროვოს ეს მონაცემები, ესე იგი, „მოიწვიოს მხარეები საექსპერტო დაწესებულებაში და გაარკვიოს მათთან საკითხები", როგორც ამას გვთავაზობენ ი. ჟიროვი და ლ. შუბინი[1].

საკითხები, რომლებსაც სასამართლო აყენებს ექსპერტიზის წინაშე განისაზღვრება სამოქალაქო საქმეზე შემოსული სარჩელის შინაარსის საფუძველზე.

ექსპერტს აუცილებლად ხელთ უნდა ჰქონდეს სადაო სახლის ტექნიკური პასპორტი და ამონახაზი სახლთმფლობელობის ან ბინის გეგმიდან. ტექნიკურ პასპორტში მოცემული ცნობები აუცილებელია საექსპერტო კვლევებისათვის. ცხადია, თუ ასეთი დოკუმენტები არ არსებობს, ექსპერტს შეუძლია ისინი მოიპოვოს სახლის აზომვისა და შესწავლის გზით, მაგრამ ეს სასურველი არ არის, რადგან მტკიცებების შეგროვება ექსპერტის ფუნქციაში არ შედის.

სახლის გაყოფის ოპტიმალური ვარიანტია გამოსაყოფი წილის იზოლირება ცალკე შესასვლელით, რისთვისაც საჭიროა მოიძებნოს ისეთი ტექნიკური საშუალება, რომელიც მოითხოვს მცირე რეკონსტრუქციას და სანიტარულ და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვას.

როგორც პლენუმის დადგენილების მე-11 პარაგრაფშია ნათქვამი, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს კონკრეტულად თუ სახლის რომელი ნაწილის გამოყოფაა საჭირო და სახლის რა ნაწილს შეადგენს ის, აგრეთვე რომელი სათავსები (ნაგებობები) გადაეცემა გამოსაყოფად მესაკუთრეს.

როგორც უკვე აღინიშნა, აუცილებელ შემთხვევაში, როცა სახლში (ბინაში) წილის გამოყოფა ტექნიკურად შეუძლებელია ან რეალური წილი არ შეესაბამება იდეალურს, ექსპერტი განსაზღვრავს ფულად კომპენსაციას. რად-

---

1 იხ. ჟურნ. „სოვეტსკაია იუსტიცია", 1983, № 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] (ბინის) გაყოფის ან წილის გამოყოფის დროს არ შეიძლება გაიყოს [illegible] (სასუფევლი, [illegible] [illegible] [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. [illegible] 20-ში [illegible] მ. თეთრუაშვილის სახლის რეკონსტრუქციი- [illegible]

2. სახლზე დაშენებული ხომ არ არის მესამე სართული.

ექსპერტს წარედგინა საჭირო მასალები, რომელთა გამოკვლევითა და ადგილზე შედარებით დადგინდა, რომ მ. თეთრუაშვილის სახლის რეკონსტრუქცია ჩატარებულია პროექტის დარღვევით. ამასთან, მითითებულია იმ კონკრეტულ დარღვევებზე, რასაც ადგილი ჰქონდა რეკონსტრუქციის დროს.

ხშირად დასადგენია რა ან ვისი მიზეზით მოხდა საცხოვრებელი ბინის (სახლის) დაზიანება და რამდენი მანეთით განისაზღვრება მიყენებული ზარალი.

მ. მილოვას სარჩელთან დაკავშირებით თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ დანიშნა სასამართლო სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა. ექსპერტიზის წინაშე დასმული იყო საკითხები:

1. მოსარჩელე მილოვას ბინაში ჩავიდა თუ არა წყალი მოპასუხე ჯანიაშვილის ბინიდან; რამ განაპირობა წყლის ჩასვლა, დაზიანებული ხომ არ არის წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მილები, რისგან არის დაზიანებული, რა დააზიანა წყალმა მილოვას ბინაში და რამდენ მანეთს შეადგენს ზარალი;

2. როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ბინაში უკანონოდ, ან სათანადო წესების დარღვევით ხომ არ არის გადაკეთებული წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მილები, სველი წერტილები ან ბინის კედლები.

სათანადო გამოკვლევისა და ბინების ადგილზე შემოწმებით ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დაზიანებით მიღებული ზარალი შეადგენს 179 მანეთს. ამასთან, აღინიშნა თუ რა დარღვევები არის დაშვებული წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მილების, აგრეთვე სავენტილაციო ბლოკების მოწყობის დროს.

ლაბორატორიის საინჟინრო-ტექნიკურ გამოკვლევათა განყოფილება მეტად გადატვირთულია, რის გამოც, სათანადო გადაწყვეტილების შესაბამისად, ემსახურება მხოლოდ თბილისის რაიონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, ილია ჭავჭავაძე განათლებით იურისტი იყო. ახალგაზრდობის წლებში იგი მომრიგებელ მოსამართლედაც მუშაობდა დუშეთში და ხშირად უხდებოდა კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტა. მართალია, შემდგომში მან საბოლოოდ მიატოვა საქმიანობის ეს სფერო, მაგრამ იურიდიული ცოდნა მაინც ბევრჯერ გამოადგა სამწერლო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის დროს, როგორც პირადი, ასევე ეროვნული ინტერესების დასაცავად. ასეთ მასალებს უხვად შეიცავს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მისი პირადი ფონდი, ე. წ. საქმიანი ქაღალდების დიდტანიანი კრებული (№ 203). დოკუმენტების ეს კრებული 150-ზე მეტ ფურცელს შეიცავს, დაწერილია რუსულად და წარმოადგენს ხანგრძლივი დროის მანძილზე ილიას მიერ შედგენილ სარჩელებს, ხელშეკრულებებს, სხვადასხვა ინსტანციაში წარდგენილ ანგარიშებს, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორთა პოლემიკას, აგრეთვე სასამართლო ორგანოებში არსებულ დოკუმენტთა დედნებს, ფინანსთა სამინისტროში წარდგენილ მასალებს და სხვა. კრებულში შესული მასალების დიდი ნაწილი უთარიღოა, ზოგი დაუმთავრებელი და მათი საფუძვლიანი შესწავლის გარეშე დღევანდელ ეტაპზე წარმოუდგენლად მიგვაჩნია ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივი და პუბლიცისტური მემკვიდრეობის სრულყოფილად წარმოჩენა.

ამჯერად ჩვენი მოკრძალებული მიზანია ყურადღება გავამახვილოთ კრებულში შემონახული ი. ჭავჭავაძის ერთ დაცვით სიტყვაზე (გვ. 92), რომელიც, თუმცა, ცნობილ ფაქტს უკავშირდება, მაგრამ წინამდებარე სახით დღემდე არ გამოქვეყნებულა. აღნიშნული დოკუმენტი ნათელყოფს ი. ჭავჭავაძის, როგორც პრინციპული რედაქტორის გამოსვლას სასამართლოში ერთი კერძო ბრალდების დასაცავად. საქმე შემდეგი გახლავთ:

1895 წელს თედო სახოკიამ თბილისში გამოსცა „აკაკის ნაკვესები“ (წიგნი 1, გვ. 63, (12×9) მ. შარაძის სტამბა). ამავე წელს ამ გამოცემას „ივერიის“ ფურცლებზე მკაცრი კრიტიკული წერილი უძღვნა არტ. ახნაზაროვმა. მან სერიოზული ბრალდება წაუყენა გამომცემელს და აღნიშნა, რომ კრებულში მოთავსებული ნაკვესების დიდი ნაწილი უხამსია, აკაკის არ ეკუთვნის და შემდგენელის შეთხზულიაო. ამ ფაქტს გამოეხმაურა თვით აკაკიც („კვალი“), რომელმაც უარყო ამ ნაკვესების ავტორობა. ამ ბრალდებით შეურაცხყოფილმა თ. სახოკიამ საჩივარი შეიტანა „ივერიის“ რედაქტორის ი. ჭავჭავაძის შესახებ საოლქო სასამართლოში. საოლქო სასამართლომ მხარეთა მოსმენის შედეგად უსაფუძვლოდ ცნო თ. სახოკიას სარჩელი და ი. ჭავჭავაძე გაამართლა.

გადაწყვეტილებამ არ დააკმაყოფილა თ. სახოკია და საქმე ხელახლა განსახილველად ახლა სასამართლო პალატაში შეიტანა. დავამ თითქმის 3 წელიწადს გასტანა და 1898 წლის 28 ნოემბერს საბოლოოდ დამტკიცდა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. ი. უშედეგოდ დარჩა თედო სახოკიას სააპელაციო საჩივარი[1].

რადგან ზემოაღნიშნულ პროცესზე წარმოთქმული ი. ჭავჭავაძის დაცვითი სიტყვის პატარა ფრაგმენტი თარგმნილი და გამოქვეყნებულია „ივერიის“ ფურცლებზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამჟამად მთლიანად მივაწოდოთ მკითხველებს ჩვენს მიერ მოკვლეული მისი ავტოგრაფი.

---

[1] საქმის მსვლელობის შესახებ დაწვრილებით არის მოთხრობილი ვ. სიდამონიძის წერილში „ი. ჭავჭავაძე სამსჯავროს წინაშე“, რომელიც ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ დაიბეჭდა. 1974 წ. № 1, გვ. 74—76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Удовлетворение, привлекшее меня к ответственности, следующее: в 1895 г. появился литографированный брошюра под заглавием: Встречи Акакія, собранные и изданные г. Сахокія. Не обратив красивый портрет известного грузинского поэта кн. Акакія Церетели. Брошюра снабжена предисловием г. Сахокія, который, отдавая должную справедливость (талантру) кн. Ак. Церетели, утверждает в предисловіи, что его произведения составляют настоящий клад для грузинской литературы и относятся, чтобы они современем не исчезли, и наоборот, дабы развелись, не пропадали и уродовались бы, передая их уже в устах, и потеряли тут красоту или существо, которыми они отличаются в подлинных временах, они г. Сахокіо собрали их и издали пока первую книгу, а вторую (талантливо) и взял издать в продолжение несколько лет.

Выражая свое удовлетворение известным покойным из грузинских поэтов кн. Ак. Церетели, г. Сахокіо своеобр-

ренія ~~порвавшаго сборн~~ брошюру ~~и~~ ~~стоящаго~~ рекомендует будить ~~вой~~ сборник ~~чтобы~~ Жемчужина или первый творчества, достойным его, чтобы ~~его~~ ими поручать носили. Брошюра, значит, многозначительных, как литературный шаг, как сборник славы острот славного грузинского поэта, проявившегося собою ~~фени~~ чудным или перлы ~~творчества~~ художественного творчества.

~~Как ни соблазнительно было прочесть эту брошюру — и насладиться нашим сокровищем, заинтересовавшись этим перлом, и вглядеться на эту брошюру, как шаг, как на сборник~~ первый творчества, и ~~мы~~ на основании вышеизложенного г. Сальхия во всем чтим. И что нашел внутри перлов и этого клада? Впрочем речь об чтим будет дальше.

Кто ~~хочет~~ лишает удержаться от соблазна прочесть эту брошюру и насладиться ~~этим~~ заинтересующим сокровищем, ~~литературным~~ литературным сокровищем, ~~чтобы~~ Жемчужина художественного творчества, ~~г. Сальхия~~ когда так сильно ~~обуз~~ дает (зов) и самой известной г. Сальхия, и в том и чтим, но все же ~~человек~~ ~~лишний~~ человечество, выступающая на поприще поэзии слова.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Чудо, которое собственно явилось
в моей газете ~~[illegible]~~ сбро-
сили мы и согласились. Прочтя,
вместо обычных перлов, обыкно-
венного сокровища нашего возмутитель-
~~ная вещь~~ лишнія вещи, которыя я
представляю вашему вниманію
своевременно, не знаю ли есть, или
здесь присутствующихъ отъ ~~[illegible]~~ пыли,
порождаемого неудобоваримостью ~~[illegible]~~,
рисовать вами картины безпорядочно-
наго и бестыдного содержанія, выда-
ваемаго г. Сахокіа за перлы, а на
самомъ дѣлѣ безурдаварно и лишь
одно чувство гадливости и полити-
ческаго омерзенія. ~~[illegible]~~
случаи появленія в нашей газетѣ подо-
го безобразія ~~газета и пресловутой~~? А ведь
чисел состоит задача газеты и журна-
ловъ вообще и всякаго работающаго
с перомъ в руках человѣка в частности
как не ~~[illegible]~~ а тщательно, чтобъ и порицать подо-
ныя явленія в мірѣ вкрадчиво!? Вот
авторъ статьи, которая приво-
лекла в скамьи подсудимых, чувствуя
полнаго негодованія ~~[illegible]~~
брошюра и продолжение ~~[illegible]~~ для
~~[illegible]~~ в газета обрушился
на эту славную брошюру и дал
грамотную оценку ~~[illegible]~~

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო პროცესზე წარმოთქმული ილიას დაცვითი სიტყვის მიზანია დაამტკიცოს, რომ თედო სახოკიასთან დავაში გაზეთ „ივერიის“ რედაქცია მართალი იყო. მან თქვა: შექმნილი გარემოება, რომლითაც პასუხისმგებლობა დამეკისრა, შემდეგში იყო: 1895 წელს გამოჩნდა პატარა ბროშურა სათაურით „აკაკის ნაკვესები“, რომელიც თედო სახოკიამ შეადგინა და წინასიტყვაობაც დაურთო. წინასიტყვაობის მიხედვით ნაკვესები ქართული ლიტერატურის ნამდვილ განძად არის წარმოდგენილი. უკეთებს რა თავის გამოცემას ამგვარ რეკლამას, საქართველოში ყველაზე პოპულარული პოეტის აკაკის სახელით, თ. სახოკია რეკომენდაციასაც იძლევა, რომ თითქოს ეს კრებული მხატვრული შემოქმედების მარგალიტი იყოს. ბროშურის წაკითხვის შემდეგ კი ირკვევა, რომ იგი უზნეო და უსირცხვილო შინაარსისაა და ამდენად არც განძს წარმოადგენს ქართული ლიტერატურისათვის.

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს ილიას პოზიცია და ისიც თუ როგორ სათუთად ეპყრობოდა და უფრთხილდებოდა იგი დიდი პოეტის, აკაკი წერეთლის სახელსა და ავტორიტეტს.

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია განვმარტოთ ისიც, რომ ასეთი ურთიერთობის მიუხედავად თედო სახოკია უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით იყო განმსჭვალული ი. ჭავჭავაძისადმი მთელი სიცოცხლის მანძილზე. ეს აზრი დადასტურებულია მის მიერ სხვადასხვა დროს პრესაში გამოქვეყნებული წერილებით. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ახალბედა ლიტერატორი პირველ ხანებში მაინც ვერ ასცდა გამოუცდელობით გამოწვეულ ცდუნებას და ყველასათვის სათაყვანო პირს ისეთ საკითხში დაუპირისპირდა, რაშიც თვითონვე იყო მცდარი.

ამის საილუსტრაციოდ აქვე მოგვაქვს თ. სახოკიას ორი მივიწყებული დოკუმენტი.

1. ნაწყვეტი დ. ხოშტარიასადმი (დუტუ მეგრელი) მიწერილი წერილიდან:

„...აქითგან საგურამოში გავიარე; ჭავჭავაძეც სოფელში იყო. მშვენივრად მიმიღო, პირველად მაშინ გავიცანი. ერთი დღე დავყავი მასთან და თავისუფლად ერთს წუთსაც ვერა ვნახევი, სულ სტუმრებს უნდებოდა. ქალები იყვნენ — მთელი ლაშქარი, ზოგი ვისი და ზოგი ვისი. დ. მიქელაძე მაშინ ამოვიდა მასთან სტუმრად. ილია რა ვიცოდი, და ოჯახის კაციც ყოფილა. ვეება საუცხოვო მამული აქვს. თუმცა მოვლილი არ არის. როცა მანდ არის, კიდევ, როგორც არს, ყურს უგდებს. როცა არ არის, ხომ იცი ჩვენებური მოურავის ხელში რა ხეირი დაუდგება მამულსა და სახლ-კარსა.

ილიამ შენი ამბავიც მკითხა, როგორ არისო, სად არისო. ეტყობა ძაან აინტერესებს შენი ვინაობა.

საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. თავაზიანი, მიმღებიანი, — განსაკუთრებული თვისება ამ კაცისა, რომელიც წინად ძლიერ მიუკარებელ-გველეშაპად მყავდა წარმოდგენილი...

შენი ერთი ძმა თედო
1893 18 მარიამობისთვე“.

2. ქ. სოხუმი

„აქაურ ციხის პოლიტიკური პატიმარნი ვიზიარებთ დაობლებულ საქართველოს თავისუფლად მყოფთ ასულთა და ძეთა მწუხარებას, მათთან ერთად ძაძით ვიმოსებით და ვგლოვობთ ყველა წერა-კითხვის მცოდნე ქართველთა, უებრო მასწავლებლის და მოქალაქეობრივის შესანიშნავი მოძღვრის ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებას. ჩვენ ზიზღს ვუგზავნით იმათ, ვინც საქართველოს ასე ვერაგულად მოსტაცა მათი სიამაყე და მისი დიდება. დარწმუნებული ვართ, რომ ავაზაკნი, რომელთაც მხცოვან მოხუცის წმინდა სისხლით ხელი შეიღებეს, და მათნი სულის ჩამდგმელნი სამარცხვინო ბოძზე იქნებიან გართხმულნი.

თ. სახოკია
1907 წ.“

მიხეილ კოტრიკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანი მამულიშვილი

სანდრო ახმეტელს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული კულტურის ისტორიაში. აზროვნებითა და შემოქმედებით იგი თანაბრად ეკუთვნის ქართულ, საბჭოურ, თუ მსოფლიო თეატრს, რადგან სასცენო ხელოვნებას უძღვნა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და დამსახურებულად ატარა მეოცე საუკუნის 20-80იანი წლების რეჟისორ-ლიდერის შეუბღალავი ავტორიტეტი.

„სანდრო ახმეტელი სრულიადაც არ ჰგავს თეატრის მსახურს, იგი უფრო სახელმწიფო, პოლიტიკური მოღვაწის ტიპს ჩამოგავდა“ — სრულიად სამართლიანად წერდა მასზე იოსებ იუზოვსკი. სანდრო ახმეტელის პიროვნებაში ძალუმად იგრძნობოდა პოლიტიკური მოღვაწის პოზიციური შესაძლებლობა და ეროვნული გმირის პოტენცია, ამიტომაც მის მიერ შექმნილი სასცენო ხელოვნება პოლიტიკური თეატრის ეროვნული მოდელი გახლდათ. ამ მხრივ სანდრო ახმეტელი და მისი თეატრი სრულიად უნიკალური მოვლენაა ქართული თეატრის ისტორიაში. არც მანამდე, არც შემდგომ, მისი ადეპტი ჩვენში არ შექმნილა და ვერც შეიქმნებოდა, რადგან „ახმეტელის თეატრი“ თავად მისი ავტორის პიროვნული თვისებებით იყო წარმოქმნილი, თავად ახმეტელის ინდივიდუალობით გამდიდრებული. ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რომ რუსთაველის თეატრის სცენა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებზე მსჯელობის ასპარეზად იქცა. ეროვნული თვითმყოფადობის ყველაზე სრულყოფილი გამოვლინება, — ახმეტელის თეატრი, ეპოქალური მოვლენების მძვინვარე ასახვის არენას წარმოადგენს. ეს ორი ნაკადი, ეროვნულობისა და ზოგადსაკაცობრიულისა, ორგანულად ერთიანდებოდა ახმეტელის ხელოვნებაში და შინაგანი მტკიცე კავშირით შეკრული სპექტაკლები საპაექროდ იწვევდა მსოფლიო საზოგადოებას.

მასშტაბურობა, აქტიურობა, ლოგიკურობა, თეატრალობა, საკუთარი მრწამსის დამკვიდრების ვნებიანობა, ჰარმონიული წყობა — ეს თვისებები განსაზღვრავენ სანდრო ახმეტელის ხელოვნებას. ახლა შეიძლება შეუცდომლად ითქვას, რომ მისი შემოქმედების ინდივიდუალობა ბევრად განაპირობა პროფესიამ, იგი ხომ იურისტი გახლდათ.

ქიზიყელი ყმაწვილის შეუპოვრობა და სითამამე იმ მხრივაც გამოვლინდა, რომ იგი ადრე ჩაება მოძრაობაში, რასაც საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი კახეთში. პოლიტიკური მოღვაწის შტრიხები იკვეთებოდა ყმაწვილკაცური ცხოვრების ფორმაში და აქტიური თავისი ბუნებით, გახელებული პიროვნული ტემპერამენტით, მასშტაბურ სამოღვაწეო ასპარეზს თხოულობდა. სრულიად კანონზომიერია, რომ სანდრო ახმეტელმა იურისტობა აირჩია პროფესიად. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, სანდრო ახმეტელი, მთელი სერიოზულობით დაეწაფა პროფესიის საიდუმლოს და როგორი სიღრმით ამოხსნა იგი, ამის პასუხს მისი მემკვიდრეობის გაცნობა იძლევა. სანდრო ახმეტელის სტუდენტური წლების ცხოვრებას ასახავს „სახალხო გაზეთის“ 1910 წლის 24 აგვისტოს ნომერი, რომელიც წერს: „31 ივლისს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის ა. ახმეტელაშვილის რეჟისორობით, სოფელ ქვემომაჩხაანში წარმოდგენილ იქნა ჩვენი საუკეთესო დრამატურგის სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“... წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, ესთეტიკურად დაატკბო იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნასიამოვნები გაგზავნა შინ... მხოლოდ განსაკუთრებული მადლობის ღირსია ზეშობსენებული სტუდენტი, ამ წარმოდგენის რეჟისორი ა. ახმეტელაშვილი, რომელმაც არ დაზოგა თავისი შრომა, რათა ადგილობრივი სცენისმოყვარულნი ჯეროვნად მოემზადებინა".

პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი იურისტი-სტუდენტი ეროვნული პრობლემატიკით იწყებს თავის რეჟისორულ დებიუტს.

1910 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა, საჯაროდ გამოთქვა თავისი აზრი მოსკოვის სამხატვრო თეატრის თაობაზე პეტერბურგში გასტროლების დროს: „თავისი უმაღლესი გამოხატულება სამხატვრო თეატრის არსმა პოვა ჩეხოვის პიესებში. ჩეხოვია თეატრის სული, მისი ცენტრი, ძირითადი მხატვრული მუშაობის საფუძველი ჩეხოვის პიესებია".

მოვლენის არსში წვდომის უნარი და ლოგიკური განსჯა გამოამჟღავნა აგრეთვე სანდრო ახმეტელმა სამხატვრო თეატრის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ორ სტატიაში. 1910 წლის დეკემბერში იგი წერდა:

„მე მწადია, მხოლოდ პატარა ექსკურსი გავაკეთო ჩვენი ახალგაზრდობის თვით ფსიქოლოგიაში, ვცადო (რა თქმა უნდა, თუ ამას შევძლებ) ჩავწვდე მისი სულის იდუმალ კუნჭულებს და მივუახლოვდე იმ ობიექტურ პირობებს, ასე სრულყოფილად რომ კვებავენ და განსაზღვრავენ თანამედროვე ქართველი სტუდენტის ტიპს".

მახვილი თვალი, ადამიანის ფსიქიკის კვლევის უნარი, კერძოში ზოგადი მოვლენის კონტურების შეცნობა, ხალი აზროვნება, საზოგადოების უმთავრესი პრობლემის მიკვლევის მცდელობა და დასაბუთებული მსჯელობა. ეს თვისებებიც გამოჩნდა მის ნაწარმოებებში.

1915 წელს მან სრული შეუფარველობით ამცნო საზოგადოებას თავისი მოსაზრება ქართული თეატრის მდგომარეობაზე და სუსხიანად იკითხა: „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული"? სიმართლის თქმის სიჯიუტე და მიუკერძოებელი განსჯა გამოსჭვივის ამ პროგრამულ სტატიაში.

გაბედულმა და შეუპოვარმა პიროვნებამ მასშტაბურად და ღრმად მოაზროვნე პროფესიონალმა იურისტმა, ენერგიულმა და დაკვირვებულმა ადამიანმა, 1920 წელს ამგვარად განმსჭვალულმა გადაალბიჯა ქართული თეატრის ზღურბლს. ამ დროს მას უკვე გააჩნდა გამოკვეთილი პოზიცია და უნარიც შესწევდა თავისი მრწამსი თანამიმდევრულად დაენერგა სცენაზე.

15 წელი მოღვაწეობდა სანდრო ახმეტელი თეატრში, აქედან 9 სეზონი რუსთაველის თეატრს ხელმძღვანელობდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მისი სახით რეჟისორ-ლიდერის ძლიერი ფიგურა გამოუჩნდა ქართულ თეატრს და ისიც წინამძღოლის გაბედულობით მიუძღოდა რუსთაველის თეატრს დიდი ძიებების გზაზე.

„რლვევა", „ანზორი", „ლამარა", „თეთნულდი", „ინ ტირანოსი", სხვანი და სხვანი — აი სანდრო ახმეტელის მიერ განხორციელებული სპექტაკლები, მისი მთელი შემოქმედება, ერთ მთლიან პროცესად რომ ისახება ქართული თეატრალური სამყაროსათვის.

ქართული თეატრი რევოლუციური ეპოქის მაჯისცემის გამომხატველი შეიქმნა, მასშტაბური სათეატრო აზროვნებით რუსთაველის სცენამ მნიშვნელოვნად გაუსწრო დროს და ახალი ასპექტით წარმოაჩინა მასა და მისი წინამძღოლი, ერთი საერთო, სახელმწიფოებრივი იდეით გააერთიანა ისინი, შინაგანი, დიალექტიკური კავშირით შეაერთა ერთმანეთთან. წმინდა სათეატრო ენის დიდებული მცოდნე ს. ახმეტელი ამ ჰარმონიას თავად სათეატრო კომპონენტთა თანახმიერებით ქმნიდა. მკვეთრად თეატრალურ, ამაღლებულ, ნატიფ და მშვენიერებით გამორჩეულ რუსთაველელთა სასცენო შემოქმედებას კი თავისი კორექტივი შეჰქონდა ცხოვრებაში.

სანდრო ახმეტელი ერთი რომელიმე საკითხითა და პრობლემით არასოდეს იფარგლებოდა, მისი ჰობი იყო ფილოსოფია, ლიტერატურა, ისტორია, პოლიტიკა, იურისპრუდენცია, ტექნიკის მიღწევები, მუსიკა. უპირველესი სიყვარული და გატაცება რა თქმა უნდა თეატრი გახლდათ, ხოლო მისი იურიდიული განათლება იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შუაგულში ყოფილიყო. მართლაც, სანდრო ახმეტელი მოექცა რა საზოგადოებრივი ყოფის შუაგულში, ერის სულიერი მესაიდუმლე და მისი ერთგული დამცველი გახდა. ამას მოწმობს მისი საჯარო გამოსვლების, სპექტაკლების შემტევი და ჯიქური ხასიათი, სიმართლის მტკიცებისა თუ ჭეშმარიტების მიგნების ყინი. ეს ალბათ იურიდიული განათლებითაც იყო განპირობებული.

პატრიოტი და ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდებული ხელოვანი და ქართული სულიერი კულტურის ალამდარი, განსაკუთრებული და გამორჩეული სიყვარულით ახსოვს ქართველ ხალხს. ამის დასტურია მისი დაბადების ასწლოვანი იუბილე, ასე ფართოდ რომ აღნიშნება. ეს იუბილე დამსახურებულად იქცა ჩვენი ერის საერთო-სახალხო დღესასწაულად. ქართველმა ხალხმა, თეატრალურმა საზოგადოებრიობამ, ინტელიგენციამ კვლავაც უნდა მიაგოს უდიდესი პატივი ეროვნული სცენის რაინდსა და მის ლიდერს — სანდრო ახმეტელს.

ნათელა არველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი დღე ფინელ კოლეგებთან

ალექსანდრე ფუფანაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

ფინეთში წასასვლელად მოემზადეო, საკავშირო სამინისტროდან რომ დამირეკეს, პირველი, რაც და ვინც გამახსენდა, ვალოდია არდაზიშვილი იყო. გეოგრაფიას გვასწავლიდა საშუალო სკოლაში. ყველა ქვეყანა რაღაცით დაგვამახსოვრა.. იაპონიას ამომავალი მზის ქვეყანას ეძახდა, მადაგასკარს — წითელ კუნძულს, იტალიას — რუსულ ჩექმას და ა. შ. ფინეთის რიგი რომ დადგა, მსოფლიო რუკის ჩრდილოეთით შემოხაზა ერთი პატარა ნაწილი და სამოცი ათასი ტბის ქვეყანაო, დაანათლა. მასწ. ჩამოგვითვალეთ რა ტბებიაო, ავუტუდით. ვალოდია მასწავლებელიც აგვეყვა და მართლა არ დაიწყო ამ ტბების ჩამოთვლა? ორმოცამდე რომ დაასახელა, ზარი დაირეკა. მეორე გაკვეთილზე აღარც თვითონ უცდია ფინეთის ტბების სიის დაზუსტება და აღარც ჩვენ მივეძალეთ. მერე, რაღა არ გამახსენდა: ფინური აბანო, ფინური მაცივარი, ფინური დანა, ფინური ლუდი, თეთრფინელები და, რა ვიცი, კიდევ რა. ენციკლოპედიებსა და ცნობარებშიც ჩავიხედე. ხუთ მილიონამდე კაცი ცხოვრობსო ფინეთში, ოთხმოცდათოთხმეტი პროცენტი თვითონ ფინელები არიანო, სახელმწიფო ენაც ფინურიაო და ყველაფერი ეს ჩავინიშნე — ხომ უნდა იცოდე სად მიდიხარ. ამგვარი მეთოდით ზოგი უფრო დიდ საქმესაც აკეთებს. ამასწინათ, ერთი სქელტანიანი წიგნი წავიკითხე — ჩვენებურ მწერალს ტურისტად უმოგზაურია გერმანიასა და ინგლისში. რასაც კი ავტობუსით ჩაუარა, ყველაფრის ისტორია დაწვრილებით აქვს მოთხრობილი. ცხადია, ამდენს გიდისგან ვერ მოისმენდა და წიგნებიდან ამოკრეფილი შემოგვთავაზა. ჰოდა, რაკი ისტორიულ და გეოგრაფიულ წყაროებზე ხელი ყველას ადვილად მიუწვდება, მე აღარ შევუდგები ფინეთის დახასიათებას და პირდაპირ საქმეზე გადავალ.

ამ ათიოდე წლის წინათ, სათანადო მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე, შეიქმნა სამართლებრივ საკითხებზე თანამშრომლობის ფინეთ-საბჭოთა კავშირის შერეული კომისია, რომელსაც დაევალა ორ ქვეყანას შორის საკონსულტაციო და მეცნიერული ინფორმაციის ურთიერთგაცვლისათვის ხელისშეწყობა, იურისტთა შეხვედრების, სიმპოზიუმებისა და სემინარების მოწყობა, უკეთ გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვა ღონისძიებათა განხორციელება. კომისია შექმნილია პარიტეტულ საწყისებზე, ორივე მონაწილე წარმოდგენილია თანაბარი რაოდენობითა და უფლებამოსილებით, თითოეულ მხარეს კომისიაში მყავს თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი. კომისიას თავმჯდომარეობენ იუსტიციის მინისტრები, ხოლო კომისიის წევრთა რაოდენობისა და პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრა ხდება წინასწარი შეთანხმებით. კომისია შუშაობს მხარეების მიერ მოწონებული გეგმის მიხედვით და წელიწადში ერთხელ მაინც მორიგეობით იკრიბება ერთ-ერთ ქვეყანაში. კომისიის მორიგი, მეთორმეტე სხდომა გაიმართა ფინეთში გასული წლის სექტემბრის ბოლოს. კომისიის შემადგენლობაში მეც ვმონაწილეობდი. ჩვენი მხრიდან კომისიას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ბ. კრავცოვი, ხოლო პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას ასრულებდა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი გ. შუმსკი. ჩვენს გარდა კომისიის შემადგენლობაში იყო სსრ კავშირის გენერალური პროკურორის თანაშემწე გ. ვოროშილოვი. ფინეთის მხრიდან კომისიას თავმჯდომარეობდა ფინეთის იუსტიციის მინისტრი კრისტოფერ ტაქსელი, პასუხისმგებელი მდივანი იყო სამინისტროს საკანონმდებლო განყოფილების უფროსი ანტი კივივუორი, ხოლო წევრებად — ფინეთის უმაღლესი სასამართლოს წევრი ერკი აილო და ჰელსინკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი აულის არნიო.

ჰელსინკში მატარებლით ჩავედით. კოკისპირულად წვიმდა. დამხვდურებმა ქოლგები მოგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეჩეს ხელში და იქვე ახლომდებარე რესტორანში ამოგვაყოფინეს თავი. პირველი შეხვედრა და სადილი, ბუნებრივია, ურთიერთგაცნობას მიეძღვნა. კომისიის თავმჯდომარეები იცნობდნენ ერთმანეთს, დანარჩენები კი პირველად შევხვდით. იმათი არ ვიცი, მაგრამ ჩემზე ყველამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, უაღრესად კულტურული და ტაქტიანი ხალხია. განსაკუთრებით მომწონა იუსტიციის მინისტრი, იგი ახალგაზრდა კაცია, ოცდათვრამეტი წლის. მერვე წელია, რაც იუსტიციის მინისტრის პოსტი უკავია. ფინეთში ამ ხნის მანძილზე მინისტრის და, მითუმეტეს იუსტიციის მინისტრის პოსტი რომ ეკავოს ვინმეს, იშვიათი შემთხვევა ყოფილა. ტაქსელის დანიშვნამდე ხუთი წლის მანძილზე იუსტიციის ექვსი მინისტრი შეცვლილა. რით არის გამოწვეული ბოლო მინისტრის ასეთი სტაბილურობა, ძნელი სათქმელია. პირადი თვისებების და მომხიბლაობის გარდა, ალბათ, სხვა მიზეზებიც იქნება. ტაქსელი ეროვნებით შვედია, აღზრდილია იურისტების ოჯახში, მამა პროფესორი ჰყავს, დედა ადვოკატი. მისი მშობლიური ქალაქია ტურკუ, პარლამენტშიც იქიდან არის დეპუტატად არჩეული. იმდენად უყვარს თავისი მშობლიური ქალაქი, რომ ცოლსა და ბავშვს მუდმივად იქ აცხოვრებს. ეს სამოცი კილომეტრია ჰელსინკიდან და შაბათობით ხან ისინი ჩამოდიან ხან მე მივდივარ მათთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტითო, ამასაც გაუსვა ხაზი. ეტყობა პატიოსნება ყველგან ფასობს. არცერთ კომერციულ საქმეში მე არ ვმონაწილეობო, სამხედრო სამსახურიც გავიარე და ბინაც სახელმწიფომ მომცაო, გვითხრა ტაქსელმა დაუფარავი სიამაყით.

კომისიის წევრების გარდა, სადილზე, რამდენიმე ოფიციალური პირიც იყო — იუსტიციის სამინისტროსა და უმაღლესი სასამართლოს თანამშრომლები. თარჯიმანის მოვალეობას დახვედრიდან გამოცილებამდე ასრულებდა ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი თომას პარლანდი. იგი საკმაოდ გამართულად ლაპარაკობს რუსულად, ენის შესასწავლად ორი წელი ყოფილა საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც არის ორჯერ თუ სამჯერ ნამყოფი, ქართული სიტყვები იცოდა და სატრფიალო წინადადებების თქმასაც ახერხებდა. ქართველი ქალი შემიყვარდაო და იმიტომ დავიწყე ქართულის შესწავლაო, ადრე უფრო ბევრი სიტყვები ვიცოდიო, მითხრა. ვერაფრით ვერ ვათქმევინე, ვინ უყვარდა, როგორ მოხიბლა ქართველმა ქალმა და რით დამთავრდა მისი სიყვარული. რამდენჯერმე შევეცადე, მაგრამ ამაოდ. სიყვარულსა მალვა უნდაო, მითხრა ბოლოს ქართულად და მეც მოვეშვი.

სადილის შემდეგ კომისიის მთელმა შემადგენლობამ აეროპორტისაკენ ავიღეთ გეზი და გადავფრინდით ქალაქ როვანიემში, რომელიც ფინეთის ჩრდილოეთი ნაწილის — ლაპლანდიის ადმინისტრაციული, კულტურული და სამრეწველო ცენტრია. როვანიემი ქალაქის სტატუსს 1980 წლიდან ატარებს, მისი მოსახლეობა ოცდათხუთმეტ ათას კაცს აღწევს. ქალაქის სიამაყეა ლაპლანდიის უნივერსიტეტი, რომელიც 1980 წელს გახსნილა. ეს ფინეთის მესამე უნივერსიტეტია. მისი ძირითადი კორპუსი ამჟამად მშენებლობის პროცესშია, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობას იმდენად ღირებულად მიაჩნია ეს სასწავლო დაწესებულება, რომ მშენებლობაც დაგვათვალიერებინეს. კარგად აშენებენ, გაზაფხულისათვის ვარაუდობენ დამთავრებას.

მოვეწყვეთ სასტუმრო „პოხიანნოკში". იმავე სასტუმროს პრესდარბაზში გაიმართა კომისიის სხდომა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებიც დაესწრნენ. მიღებული რეგლამენტის შესაბამისად, სხდომას ხელმძღვანელობდა ფინეთის იუსტიციის მინისტრი. მანვე გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ წლის მანძილზე რა პრობლემებზე მუშაობდა სამინისტრო კანონმდებლობის სრულყოფისა და მისი სწორად გამოყენების უზრუნველსაყოფად. სამინისტროს მოუმზადებია და პარლამენტში შეუტანია, მაგალითად, კანონპროექტი პირველი ინსტანციის სასამართლოების უნიფიკაციის შესახებ. საქმე იმაშია, რომ ამ სასამართლოების ამჟამად მოქმედი სისტემა არ არის ერთგვაროვანი, საქალაქო სასამართლოში პირველი ინსტანციით საქმეს იხილავს სასამართლო სამი პროფესიული მოსამართლის, ხოლო სასოფლო სასამართლოში — მოსამართლისა და ორი ნაფიცმსაჯულის შემადგენლობით. ამჟამად დგას საკითხი, რომ ყველა სასამართლოში საქმე იხილებოდეს ნაფიცმსაჯულთა მონაწილეობით, ხოლო განსაკუთრებით რთულ საქმეებზე მათი რიცხვი ექვსამდეც კი გაზარდონ. პარლამენტის წინაშე დაუყენებიათ, აგრეთვე, საკითხი მსჯავრდებულთა შეწყალებისა და ვადამდე განთავისუფლების საქმეში იუსტიციის სამინისტროს ფუნქციების გაზრდის შესახებ. ფინეთში თავისუფლების აღკვეთის ადგილები იუსტიციის სამინისტროს განმგებლობაშია. სამინისტროს ემორჩილება თვითონ პოლიციაც, რომელიც აღნიშნულ დაწესებულებებს იცავს. სამინისტრო იხილავს და წყვეტს მსჯავრდებულის ვადამდე განთავისუფლებისა და სასჯელის შემცირების საკითხებს. რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში, სამინისტროს შეუძლია მსჯავრდებულს გაუდიდოს სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული სასჯელი. მაგალითად, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსჯავრდებულს ციხეში ერთი ლიტრი ალკოჰოლური სასმელი უნახეს, ძირითად სასჯელს ორი კვირაც დაემატება. ამჟამად დაყენებულია საკითხი, რომ იუსტიციის მინისტრს მიეცეს უფლება, რათა სასჯელი განუსაზღვროს და შეუმციროს იმ მსჯავრდებულებს, რომელთაც სამუდამო პატიმრობა აქვთ მისჯილი.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა ბ. კრავცოვმა გააკეთა ინფორმაცია საბჭოთა საკანონმდებლო სიახლეებზე. დიდი ინტერესი გამოიწვია ლოთობისა და უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ახალმა კანონმდებლობამ. ბ. კრავცოვის წინადადებით კომისიას მოვახსენე ჩვენი რესპუბლიკის კანონმდებლობის თავისებურებათა შესახებ, რომელიც ეხება ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის პასუხისმგებლობას. გადაწყდა, რომ კომისიის შემდგომი სხდომა სწორედ ამ პრობლემებს მიეძღვნას და სასურველად მიიჩნიეს ამ სხდომის თბილისში ჩატარება.

კარგად შეღამებული იყო, კომისიის სხდომა რომ დამთავრდა. მასპინძლებმა შემოგვთავაზეს ქალაქგარეთ ვივახშმოთო და ჩვენც აღარ გამოვიდეთ დიდი თავპატიჟი, ასეთ დროს ხომ ყველაფერი წინდაწინ არის დაგეგმილი და გადაწყვეტილი. წაგვიყვანეს რესტორანში, რომელსაც ჰქვია „ონნის კუნძული". რესტორანი მდებარეობს კუნძულზე, რომელიც ქალაქიდან ათი კილომეტრითაა დაცილებული და რომელსაც ოთხივე მხრიდან ჩამოუდის ფინეთის ყველაზე დიდი მდინარე კემი. ამ კუნძულსაც აქვს თავისი ისტორია. მე-17 საუკუნემდე მას ძირითადად სამხედრო დანიშნულებისათვის იყენებდნენ. 1780 წელს კუნძული შეუძენია ვიღაც აფთიაქარს და მისთვის თავისი მეუღლის აინოლას სახელი დაურქმევია. კუნძულის დღევანდელი პატრონია კომერსანტი ონნი, რომელსაც ეროვნულ სტილში აუშენებია რესტორანი და კუნძულისთვისაც და რესტორანისათვისაც თავისი სახელი უწოდებია. საზოგადოებრივმა აზრმა ეს სახელწოდება კარგად მიიღო თურმე იმიტომაც, რომ სიტყვა „ონნი" ფინურად ბედნიერებასაც ნიშნავს. რესტორანი აფხაზური ფაცხის ყაიდისაა, მხოლოდ უფრო კომფორტული და დიდი მასშტაბის. კუნძულზე ფეხით გადადიან დაკიდული ხიდით. კუნძულიც და რესტორანიც მორთულია ფინეთის უძველესი მეჯოგე ტომის — საამის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ექსპონატებით. რესტორანი არ არის მუდმივად მოქმედი. მას ხსნიან წინასწარი შეკვეთით საპატიო სტუმრებისათვის და საკმაოდ სოლიდურ თანხასაც ახდევინებენ შემკვეთს. თორმეტი კაცი ვიყავით ვახშამზე რაღაც ორი საათით და, როგორც შემდეგ გავიგე, იუსტიციის სამინისტროს ამ სიამოვნებისათვის ათი ათასი მარკა გადაუხდია. შუა ვახშამში თუ ქეიფში რომ ვიყავით, თვითონ მეპატრონე ბ-ნი ონნიც გვეწვია, გაგვაცნო კუნძულის ისტორია და გადაგვიხადა მადლობა სტუმრობისათვის. ჩემი ქართველობა რომ გაიგო, ძალიან გაიხარა. მეგობარი მყავს შვედი ბარმენი, ამას წინათ საქართველოში იყო და მოხიბლულია თქვენი სუფრითა და სტუმართმოყვარეობითო. ეტყობა იმ მეგობარმა ზოგი რამ ამასაც ასწავლა, რადგან ცოტა ხანში შამფურზე შემწვარი მწვადი შემოდგეს და ბ-ნი ონნი გამარჯვებული ფალავანივით მომაჩერდა. ერთი სადღეგრძელო მათქმევინეს და რომ დავამთავრე, საიდანღაც გაჩნდა ბაიანისტი და ტუშის მსგავსი მუსიკა მიაყოლა. ვახშამს რომ ვამთავრებდით, ბ-ნმა ონნიმ მოიტანა ლამაზად გაფორმებული ალბომი და და მე და ბ. კრავცოვს გვთხოვა ჩამოწერეთ თქვენი შთაბეჭდილებებიო. ამ ალბომში ინგლისის დედოფალს, შვეციის პრინცს და სხვა ისეთ ცნობილ პიროვნებებს ჰქონდათ ჩანაწერი გაკეთებული, რომ ჩემი პიროვნების აღნიშვნა ცოტა ვიუხერხულე, მაგრამ რას ვიზამდი, ბ-ნი ონნი არ მომეშვა. შთაბეჭდილება ლექსად დავწერო თუ პროზად-მეთქი და ამაზე მთლად გადაირია. ლექსად, ლექსადო! პირველი კაცი იქნები, ვინც ლექსი დამიწერაო. ცოტა რამ, ეტყობა, კუთხიდანაც მომდგამს და ჯანსუღ ჩარკვიანმა ხომ ისე გამწყაფა კაფიანობაში, რომ ერთი-ორი ხტროფის ექსპრომტად თქმა დიდად არ მიჭირს. რუსულად ლექსის დაწერას რას გავბედავდი და ფშავურ კილოზე ჩავუმარცვლე:

„აბა, რა გითხრა ონნია,
დუქან კი კარგი გქონია,
რაც ქართველებს დაგვავიწყდა,
შენ ის ახალი გგონია.
ფულებმ არ გაგათამამონ
გამოგაცალონ გონია,
ყველა იმ ქვეყანას მიდის,
მდიდარი, არას მქონია, —
ეს სიბრძნე რუსთაველმა თქვა,
მე კი არ მამიგონია".

ისე გაეხარდა იმ ოჯახაშენებულს ეს მიძღვნა, რომ მგონი, კნეინა ვოლკონსკაიასაც არ გახარებია ასე პუშკინის მიერ მიძღვნილი მადრიგალი. შემომიჩნდა შინაარსი გადამითარგმნეო, მაგრამ ცივ უარზე დავდექი, ლექსის თარგმნა არ შემიძლია-მეთქი. ამას ხვალვე ვათარგმნინებ და გაზეთშიც დავაბეჭდინებო, დაიქადნა. რა ქნა, არ ვიცი, იმ საღამოს მერე აღარც ონნი მიჩახავს და აღარ მის შესახებ მსმენია რამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს დილიდანვე ვეწვიეთ როვანიემის სააპელაციო სასამართლოს. შესასვლელში დაგვიხვდა სასამართლოს პრეზიდენტი ესკო რიეპულა, რომელიც წინადღეს გავიცანით და საღამოსაც ჩვენთან იყო ვახშამზე. იგი სამოც წელს მიტანებული კაცია, უაღრესად დახვეწილი, აკადემიური ინტელიგენტი და მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება. ოცი წლის წინათ დაუცავს სადოქტორო დისერტაცია, მუშაობდა ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორად, ერთ დროს რექტორიც ყოფილა, მაგრამ შემდეგ რაღაც პრინციპის გამო მიუტოვებია ყველაფერი და ადვოკატად დაუწყია მუშაობა. როვანიემის სააპელაციო სასამართლო 1979 წელს შეიქმნა და მის პირველ პრეზიდენტად მოიწვიეს ესკო რიეპულა, რომელიც წარმოშობით ჩრდილოეთიდანაა და ამით დაითანხმეს. მან ბრწყინვალედ იცის მსოფლიოში მოქმედი თითქმის ყველა სამართლებრივი სისტემა, თავისუფლად ფლობს ევროპულ და სკანდინავიურ ენებს, კარგად კითხულობს რუსულად და ლაპარაკსაც ახერხებს.

ფინეთში სულ ექვსი სააპელაციო სასამართლოა. სასამართლო სისტემის ძირითადი რგოლია საქალაქო და სასოფლო სასამართლოები. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში. მართლმსაჯულებას სათავეში უდგას ფინეთის უმაღლესი სასამართლო, რომელიც, გარდა საერთო სასამართლოებისა, ხელმძღვანელობს აგრეთვე შრომის, მიწის, წყლისა და სადაზღვევო სასამართლოებს. ცალკე არსებობს უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო თავისი ძირეული და შუალედური რგოლებით.

როვანიემის სააპელაციო სასამართლოში შედის სამი საქალაქო და თვრამეტი სასოფლო-სასამართლო. სასამართლოში სამოცი კაცი მუშაობს, საიდანაც თექვსმეტი მოსამართლეა, ხოლო დანარჩენი დამხმარე და ტექნიკური პერსონალი. სასამართლო წელიწადში ორი ათასამდე საჩივარს იხილავს. საქმის განხილვა ხდება სექციაში, სამი მოსამართლის შემადგენლობით. საქმე, როგორც წესი, იხილება საქმეში არსებული და დამატებით წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე. თუ საქმე განსაკუთრებით რთულია ან თუ მხარეები ამას მოითხოვენ, ეწყობა საქმის ზეპირი ანუ არსებითი განხილვა, ხდება მოწმეების დაკითხვა და სხვა მტკიცებულებათა სრული გამოკვლევა. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს პირველი ინსტანციით განიხილოს ნებისმიერი საქმე, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება. ასევე იშვიათია უმაღლესი სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა.

ძალიან მოგვეწონა სასამართლოს ბიბლიოთეკა, სადაც ლიტერატურული თუ ნორმატიული წყაროები ისეა მოწესრიგებული და განლაგებული, რომ ადვილად შეიძლება მათი მონახვა და გამოყენება. ბიბლიოთეკაში დგას დისპლეი, რომელიც ჰელსინკის გამოთვლით ცენტრშია ჩართული და სატელეფონო კავშირის მეშვეობით იღებს იურიდიული ხასიათის ინფორმაციას. ესკო რიეპულა ამ ტექნიკური მიღწევის მიმართ მაინც და მაინც დიდი სიმპათიით არ არის განწყობილი, მიაჩნია, რომ განათლებულ იურისტს საჭირო ინფორმაცია საკუთარ თავში უნდა ჰქონდეს. შენობის დათვალიერების შემდეგ ესკო რიეპულამ მიგვიწვია თავის კაბინეტში, სადაც ჭიქა ყავაზე გაიმართა გულახდილი, ძირითადად ინფორმაციული ხასიათის საუბარი ფინეთისა და საბჭოთა მართლმსაჯულების საკითხებზე. მე ცოტა უხერხულად მომეჩვენა ჩვენი მასპინძლის უზარმაზარი ფერწერული პორტრეტი, რომელიც თვალსაჩინო ადგილას იყო გამოკიდებული. იქ რას ვიტყოდი, მაგრამ მერე გავიკითხე და მითხრეს, ეს ჩვეულებრივი ამბავია, თავის კაბინეტში კაცს რასაც უნდა იმას დაკიდებსო. სასამართლოდან ფეხით გადავედით „ლაპიაში“. ასე ეწოდება სახლს, სადაც ქალაქის მმართველობა იმყოფება. მიგვიღო ქალაქის მერმა, გაგვაცნო ქალაქისა და ლაპლანდიის მხარის ისტორია, დაგვათვალიერებინა მუზეუმი, რომელიც იმავე შენობაშია მოთავსებული. ჩვენს პატივსაცემად მერმა სადილი გამართა ქალაქის ერთ-ერთ რესტორანში. სადილობის დროს მერმა დაგვასაჩუქრა ფინური დანებით. მე და ბ. კრავცოვს დიდი დანები გადმოგვცა, ხოლო დანარჩენებს უფრო პატარა ზომის. ვიღაც შეეკითხა, ეს რა უსამართლობაოო. მინისტრებს ბევრი ჰყავთ მტერი და იარაღიც დიდი უნდა ჰქონდეთო, არ დაიბნა მერი. ჩვენს მტრებს მარტო დანები ვერაფერს უზამს-მეთქი, მეც ჩავაწოდე შინაური მტრები მყავს მხედველობაშიო, მოიგერია მერმა.

ფინეთში ფინური აბანო თუ არ ნახე, მაშინ არც ფინეთი გინახავსო, ასე მიაჩნიათ მასპინძლებს და როგორ ვეტყოდი უარს, როცა ნამდვილ ფინურ აბანოში წასვლა შემოგვთავაზეს. მითუმეტეს, რომ ეს იყო ჩვენი პირველი და როგორც შემდეგ დავრწმუნდით, ერთადერთი გასვლა ქალაქგარეთ. დაახლოებით სამოცდაათი კილომეტრი გავიარეთ და გადავუხვიეთ ტყეში, სადაც მდინარის პირას, ფიჭვნარში ძველებური ფინური აბანოა მოწყობილი. ეს სიძველე იმაში გამოიხატება, რომ აბანო მთლიანად ხისაგან არის გაკეთებული, გათბობაც შეშით ხდება, განათებისათვის წუმწუმა სანთლებია გამოყენებული, ხოლო წყლის პროცედურების მისაღებად — ხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასრები და კათხები. აბანოს გვერდით მოწყობილია თანამედროვე შენობა თბილი ბუხრით და ყველა კომპონენტით, რაც ამ სიტუაციას უხდება.

აბანოს შემდეგ დაგვათვალიერებინეს ვანტტაუკოსკის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობს. ჯერ კიდევ დღე იყო და გზადაგზა ვათვალიერებდით დახახლებულ პუნქტებს, მინდვრებს, ტბებს, ტუნდრას, რომელიც სავსეა ირმებით. ლაპლანდიაში ორასი ათასი კაცი ცხოვრობს და ოთხასი ათასი ირემიაო, გვითხრეს.

ჩვენი მთა-მინდვრებისა და ტყე-ჭალების პატრონს ვისი რა უნდა გაგიკვირდეს და შეგშურდეს, მაგრამ ზოგი რამ კი გეცემა თვალში. ერთ მტკაველ მიწას ვერ ნახავთ, რომ არ იყოს ათვისებული და დამუშავებული. მერე როგორ არის ნაკვეთები დასუფთავებული და დაწკრიალებული. სად ნახავ სასუქის ნარჩენებსა თუ უპატრონოდ მიტოვებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. საერთოდ, ყველგან იდეალური სისუფთავეა, რაც, ბუნებრივია, მარტო მეეზოვეების, დამლაგებლების, შვეიცრებისა თუ სხვა სპეციალური პერსონალის დამსახურება არაა. საერთოდ დაინტერესება და მონდომება ჩანს, ამ საქმეში.

ფინეთის საავტომობილო პარკი ორ მილიონამდე ავტომანქანას ითვლის. მანქანების სიუხვე აშკარად იგრძნობა, ყველა სახლსა თუ საწარმოს წინ უამრავი მანქანა დგას, მაგრამ ქუჩები და საავტომობილო ტრასები არ არის მაინცა და მაინც გადატვირთული. ეტყობა უმიზნოდ და უსაქმოდ არ უყვართ სიარული. თვალშისაცემია ისიც, რომ დღისით ტრასებზე ავტომანქანები ჩართული ფარებით მოძრაობენ. ეს მეტად აფრთხილებს მოძრაობის მონაწილეებსა და კარგ შედეგს იძლევაო, გვითხრეს. შეიძლება ასეც იყოს. ერთი შეხედვით კი დღის შუქზე ჩართული ფარებით მომავალი ავტომანქანების კოლონა, რაღაც უხერხულ ხურათსა და განწყობას ქმნის.

მეორე დღეს დილითვე ავიკარით გუდა-ნაბადი და გადავფრინდით ჰელსინკში. მოგვაწყეს ქალაქის ცენტრალურ სასტუმრო „მარსკში". ცოტა მოვწესრიგდით და წაგვიყვანეს იუსტიციის სამინისტროში, რომელიც სასტუმროდან რაღაც ორას მეტრში მდებარეობს. გაგვაცნეს სამინისტროს სტრუქტურა, ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები. სამინისტროს, ბუნებრივია, მინისტრი ხელმძღვანელობს. მინისტრს მოადგილეები არ ჰყავს. კანცელარიის უფროსია მისი მოადგილეც და მარჯვენა ხელიც. ფუნქციების შესაბამისად სამინისტროში შექმნილია ოთხი განყოფილება: სასამართლოების, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და ციხეების. მართლმსაჯულების განხორციელებაში სამინისტრო უშუალოდ არ მონაწილეობს, მაგრამ სასამართლო კადრების მომზადება, სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება კი მის კომპეტენციაში შედის. ასეთივე უფლებებს ახორციელებს სამინისტრო ადმინისტრაციული სასამართლოების მიმართ. იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს გააპროტესტოს სასამართლოს გადაწყვეტილებანი, მაგრამ ამ უფლებით იგი იშვიათად სარგებლობს. საკანონმდებლო განყოფილება რასაც აკეთებს, სათაურიც მიგვანიშნებს. იგი ამზადებს კანონპროექტებს ან დასკვნას აძლევს სხვა უწყებების მიერ მომზადებულ პროექტებზე, ახდენს მოქმედი კანონმდებლობის სისტემატიზაციას, საკანონმდებლო ინფორმაციას აწვდის იუსტიციისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. ციხეების განყოფილება ხელმძღვანელობს თავისუფლების აღკვეთის ადგილების საქმიანობას და, როგორც აღვნიშნეთ, ახორციელებს ფართო უფლებამოსილებას მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და შეწყალების ხაზით.

სამინისტროს სხდომათა დარბაზში ორ საათზე დაიწყო და დღის ბოლომდე გაგრძელდა სიმპოზიუმი არასრულწლოვანთა დამნაშავეობის საკითხებზე. წინასწარი შეთანხმების შესაბამისად სიმპოზიუმზე ორი მოხსენება ფინეთის მხარემ გააკეთა, ორი — ჩვენ. სამინისტროს თანამშრომლებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელების გარდა, სიმპოზიუმს ესწრებოდნენ განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა წარმომადგენლებიც. თავიანთ მოხსენებებში ფინელმა კოლეგებმა დაახასიათეს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სამართლებრივი და ფსიქოლოგიური კრიტერიუმები, გამოთქვეს მოსაზრება, რომ ყველა დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა დგებოდეს თექვსმეტი წლის ასაკიდან და ოცდაერთ წელს მიუღწეველი ახალგაზრდები უფრო მსუბუქად ისჯებოდნენ. შემდეგ შეეხნენ არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზებს და ისინი, ძირითადად, ახსნეს ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებებით. გ. ვოროშილოვმა თავის მოხსენებაში დაახასიათა არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პროფილაქტიკის ხაბეჭოთა სისტემა, ხოლო ჩემი მოხსენების თემა იყო არასრულწლოვანთა სამართლებრივი აღზრდა და მისი გავლენა დამნაშავეობის მდგომარეობაზე. მოხსენების შემდეგ მრავალ კითხვაზე მოგვიწია პასუხის გაცემა. შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა იქ სრულიად უცხო ხილია და აუცილებლად მიიჩნიეს ხაბეჭოთა გამოცდილების უფრო საფუძვლიანად გაცნობა და შესწავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს შვიდ საათზე საბჭოთა საელჩომ დარბაზობა გამართა ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად. მოიწვიეს ჰელსინკში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნის საელჩოთა წარმომადგენლები. სამოცამდე კაცი მოვიდა. ჩვენი ელჩი შვებულებაში იყო და მასპინძლის მოვალეობას მისი მოადგილე ასრულებდა. ჩვენც, ბუნებრივია, ისე ვგრძნობდით თავს, როგორც საკუთარ სახლში. ქართველი კაცი ხომ არსად დაიკარგება. იმდენი ნაცნობი, უფრო სწორად, საქართველოს თანამოვანისმცემელი გამომიჩნდა, რომ ერთი წუთი მოცლა არ მქონდა, ვიდებდი და ვარიგებდი უმისამართო მოკითხვებს.

ფინელებიც არ დარჩნენ ვალში და იმავე ღამეს დიდი დარბაზობა მოაწყეს სახელმწიფო საბჭოს ოფიციალურ მიღებათა დარბაზში. ძირითადად იქაც ჩვენი საელჩოს სტუმრები იყვნენ მოწვეულნი და ურთიერთგაცნობის დიდი ცერემონიალი აღარ ჩატარებულა. ჩვენ საელჩოში თუ ალკოჰოლიანი სასმელების ბაჭანება არ იყო, ფინელებს ყველა სახის სასმელით გაეცხოთ სუფრა. ასეთ შეხვედრებზე დიდი ბამა-სმა საერთოდ არ არის მიღებული, მაგრამ ჩვენ ნამეტანს ვშვრებოდით, იქაც ვამტკიცებდით ლოთობასთან ბრძოლის შესახებ ახალი კანონმდებლობის ერთგულებას. ჩემს მოპირდაპირედ იჯდა ფინეთის პოლიციის მინისტრი. გადამეკიდა ფინური შამპანური უნდა გასინჯოო. რაღას ვიზამდი, გამოვცალე ერთი გვარიანი ბოკალი. შამპანურის გარდა ყველაფერს გავდა. შემატყო დიდად რომ არ აღვფრთოვანდი და მითხრა, არ მოგეწონაო, ჩვენ ამას ვაშლის წვენისაგან ვამზადებთო. ასეთი წვენისაგან ჩვენთან შამპანური ვერა, მაგრამ შამპუნიური კი მზადდება-მეთქი და ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი. არ ვიცოდი, თუ შამპუნი მართლა ხილის წვენისაგან მზადდებოდა. ასე მხიარულებაში დრო სწრაფად გავიდა, გვიან ღამით დავიშალეთ, ახლად შეძენილმა მეგობრებმა სასტუმრომდის ფეხით მიგვაცილეს.

მეორე დღეს სამშობლოში მოვემგზავრებოდით და ოფიციალური ღონისძიებებით აღარ შეგვაწუხეს. მოგვცეს თავისუფალი დრო ქალაქის დასათვალიერებლად. სამ-ოთხ საათში ჰელსინკის დათვალიერება შეუძლებელია, მაგრამ რაღაც მაინც მოვასწარით. ფინელები თავიანთ დედაქალაქს ბალტიის ზღვის ქალიშვილს ეძახიან. მართლაც ლამაზი ქალაქია, თანამედროვე, არც ისტორიული ძეგლებით არის გადატვირთული და არც ცათამბჯენები და თავბრუდამხვევი რეკლამა მოგვრით თვალს. კულტურული ცხოვრების დონეზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ნახევარმილიონიან ქალაქში ათი თეატრი და ორმოცდაათი კინოთეატრია. მუზეუმებიც საკმაოდაა: ატენიუმის მუზეუმი, ეროვნული მუზეუმი, სოუმენლინის ციხე-დარბაზი და ა. შ. ამა, ამათ დათვალიერებას რას შევძლებდით, ავტომანქანით მოვიარ-მივიარეთ და გარეგნული ნახვით დავკმაყოფილდით. მოვინახულეთ ურხო კეკონენის საფლავი და ყვავილებით შევამკეთ. ერთ საათამდე ფეხით ვიარეთ ქალაქის ცენტერში და დროის ბიუჯეტიც ამოიწურა. ხუთ საათზე უკვე მატარებელში ვისხედით და გაღიმებული სახეებით ხელს ვუქნევდით ფინელ კოლეგებს.

ამ სამდღიან ვიზიტს, გარდა პროფესიონალურისა, წმინდა ადამიანური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს ფინეთის შესახებ ცნობებს სულ სხვა სითბოთი და სიყვარულით ვკითხულობ. ამასწინათ ამხანაგი ნ. ი. რიეკოვი იყო ფინეთში. როცა „ვრემიაᲘ აჩვენებდა მის ჩასვლას, ჩემს ოჯახში ერთი ურიამული ატყდა, ნახე, ნახე, იუსტიციის მინისტრი, იუსტიციის მინისტრიო. ჩემს მიერ ჩამოტანილი სურათებიდან იცნეს ტაქსელი. აი, ეს მიმაჩნია ამგვარი ურთიერთობების მთავარ შედეგად, თორემ ერთი-მეორის ხამართალს ისედაც კარგად ვიცნობთ.

—•—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართლებული გუმანი

ილია მოსეს ძე დავარაშვილი საპროკურორო-საგამოძიებო დარგის ღვაწლმოსილი და გამოცდილი მუშაკია. აგერ უკვე ორმოც წელზე მეტია, რაც იგი თავის საყვარელ საქმეს ემსახურება და ერთგულად მიუყვება არჩეულ გზას.

შრომითი საქმიანობა მან სტუდენტობის წლებში დაიწყო, როცა 18 წლის ჭაბუკი სასამართლოს სხდომის მდივნად განაწესეს. მის მდიდარ და ბევრისმთქმელ ბიოგრაფიას ამშვენებს პროკურატურის სახალხო გამომძიებლობა თბილისის კალინინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში, ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებლობა, შემდეგ კი საგამოძიებო განყოფილების პროკურორობა, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორობა ხოლო შემდეგ რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილეობა და სხვა. ამჟამად ილია დავარაშვილი საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეა.

ილია მოსეს ძე დავარაშვილს ამასწინათ საიუბილეო თარიღები შეუსრულდა. მეგობრებმა და თანამოსაქმეებმა სიყვარულით მიულოცეს მას დაბადების 60 და პროკურატურის ორგანოებში მუშაობის 40 წელი. ითქვა ბევრი სამადლობელი, გაიხსენეს ის ადამიანები ვის გვერდით დგომაც ყოველთვის საამაყო ექნება ილიას, დაძაბული დღეები, გაჭირვება და მარცხიც არ დავიწყებიათ, მაგრამ მთავარი მაინც გამარჯვებები იყო, დამნაშავეებთან ბრძოლის დროს გამოჭედილი უამრავი გამარჯვებები.

უურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს ი. მ. დავარაშვილს საიუბილეო თარიღებს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს შრომით საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

* * *

რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ილია დავარაშვილი უკვე დამთავრებულ საქმეს ფურცლავდა და ერთხელ კიდევ ამოწმებდა თავის ვერსიას, რომ იგი საბრალდებო დასკვნით გადაეგზავნა სასამართლოში.

საქმე რთული არ იყო და არც გასჭირვებია მისი დადგენა-დაზუსტება. დამნაშავეთა ჯგუფმა ორგანიზებული ბანდა შექმნა და ძარცვას მიჰყო ხელი. ბოროტმოქმედება ხან ერთგან ხდებოდა, ხან მეორეგან, რადგან ისინი დიდხანს დათარეშობდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში. როცა გამოძიებამ ყველაფერს ახადა ფარდა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობები გამოამეღავნა, გამოცდილი მძარცველებიც ველარაფერს გახდნენ მტკიცების წინაშე და იძულებული იყვნენ ყველაფერი ეღიარებინათ.

მოკვლეულ მასალებში ერთი შეხედვით თითქოს აღარაფერი იყო საეჭვო, მაგრამ პროფესიონალ გამომძიებელს მაინც აწუხებდა რაღაც უკმარისობის გრძნობა და ეჩვენებოდა, რომ ზოგიერთი რამ აქ კვლავ ბურუსით იყო მოცული, დაპატიმრებულები გულწრფელნი არ იყვნენ ყველაფერში.

დამნაშავეთა ჯგუფს ბიძაშვილები ხელმძღვანელობდნენ. ისინი წინასწარმოფიქრებულად ადგენდნენ ავკაცობის გეგმებს და არაფერს ერიდებოდნენ, ოღონდ სხვათა თვალთაგან როგორმე წაეშალათ დანაშაულის კვალი. ბევრი ბოროტმოქმედება შერჩათ ამგვარად, მაგრამ ერთდროს მოუხელთებელი და უშიშარი ბიჭები გამომძიებლის წინაშე ამჯერად მაინც შემკრთალნი ჩანდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. დავარაშვილმა ერთ თითქოსდა უმნიშვნელო დეტალსაც ჩასჭიდა ხელი და დაკითხვის ფურცელზე წითელი ფანქრით დიდი კითხვის ნიშანი დასვა. დაპატიმრებამდე ბიძაშვილები რომელიღაც სოფელში იყვნენ, იქ რაღაცაზე წაკინკლავდნენ, წაიჩხუბნენ და ხმამაღლა აგინეს ერთმანეთს. „გაჩუმდი თორემ — შიშით წამოაყვედრა ჩხუბის დროს ერთმა მეორეს — ჩვენი საქმე თუ გაიგეს არც ერთს არ შეგვრჩება თავი მხრებზე. ხომ არა გგონია ძარცვა და ყაჩაღობა იყოს ისიც, მთელი სოფელი ჩაგვქოლავს“. მერე შიშით მიიხედ-მოიხედეს, ხომ არავინ გვისმენდაო და სიტყვის უთქმელად გამოიძურწნენ სოფლიდან.

რამ შეაკრთო ყაჩაღობითა და ძარცვით გამამპარტავნებული ბიჭები? რა დანაშაულისათვის ეშინოდათ ასე ძლიერ არაკაცებს? — აი რა ფიქრები აეკვიატა ი. დავარაშვილს. ეჭვი კი იმან უფრო გაუძლიერა, რომ ორივე სახელი ზუსტად ემთხვეოდა ერთ გაუხსნელ საქმეში დასახელებულ პირებს, რომლებსაც ბრალი არავინ წაუყენა.

... მარტის სუსხიანი დღე იყო. ნუგზარი და ვალიკო მეგობარს ესტუმრნენ სახლში და მასპინძელი მოიკითხეს. დიასახლისმა სუფრა გაშალა, მაგრამ ოჯახის უფროსმა რატომღაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს და სიტუაცია დაიძაბა. სტუმრებმა თავიანთი მეგობარი მამაკაცი გაამტყუნეს და შენიშვნაც მისცეს.

ამის შემდეგ მალე აიშალა სუფრა. სტუმრები დიასახლისს თავაზიანად დაემშვიდობნენ და წავიდნენ. ოჯახის უფროსიც თან გაჰყვა, მასპინძლის წესით გააცილა ისინი, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა.

შეწუხდა ოჯახი, სად არ ეძება დაკარგული, მაგრამ კვალს ვერავინ მიაგნო. ვალიკომ და ნუგზარმა დამწუხრებული მეუღლე იმით დაამშვიდეს, რომ უთხრეს რუსეთში უნდოდა სამუშაოდ წასვლა, ჩვენც დაგვემშვიდობა და ალბათ თქვენზე გაბრაზებულმა არაფერი გითხრათო.

ახლობლები ათასნაირ ეჭვს გამოთქვამდნენ, მაგრამ უბედურების დაჯერება არავის უნდოდა. თუმცა, რამოდენიმე ხნის შემდეგ თბილისის ზღვაში უცნობი კაცის გვამი იპოვეს, რომელიც საშინლად იყო დამახინჯებული. მეუღლემ და ნათესავებმა ამ გვამში დაკარგული „გ“ ამოიცნეს.

დაიკითხნენ ახლობლები და მეზობლები, მაგრამ საქმე არ აღძრულა, რადგან მეუღლემ დაბეჯითებით განმარტა: ჩემს ქმარს ღვინო უყვარდა, ხშირად თვრებოდა და როგორც ჩანს, სიმთვრალის დროს დაიღრჩო ზღვაშიო.

ი. დავარაშვილის ეჭვი იმან უფრო გააძლიერა, რომ იმ საბედისწერო ღამის სტუმართა და დაპატიმრებულ მძარცველთა სახელები, ვალიკო და ნუგზარი, ზუსტად ემთხვეოდა ერთმანეთს.

... შავებში ჩაცმული ქალი გაოცებული შესცქეროდა გამომძიებელს და ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძლეოდა პასუხს. მეუღლის დაღუპვას იგი კვლავ უბედური შემთხვევით ხსნიდა, ეჭვი არავისზე ეპარებოდა და ვალიკოსა და ნუგზარის ვინაობაც ძლივს გაიხსენა. მართალია, გვარები ვერ მოიგონა, მაგრამ ისეთი პირები მაინც დაასახელა, ვინც კარგად იცნობდა მათ.

გამართლდა ი. დავარაშვილის გუმანი. მძარცველთა ბანდის უფროსები და გაუბედურებული ოჯახის იმ საბედისწერო ღამის სტუმრები ერთი და იგივენი აღმოჩნდნენ.

პირველმა დაკითხვამ შედეგი არ გამოიღო. ვალიკო და ნუგზარი შემკრთალნი და გაფითრებულნი იძლეოდნენ პასუხებს, მაგრამ ახლად წაყენებულ ბრალდებაში თავს მაინც არ ცნობდნენ დამნაშავედ და ზოგჯერ თავხედურად აქეთაც კი შემოუტევდნენ ხოლმე. თუმცა, ეს სითამამე მალე ჩაცხრა, როდესაც მათი ბინის ჩხრეკის დროს აღმოჩენილ ნივთებში გარდაცვლილის მეუღლემ თავისი ქმრის შარვალი და პერანგი ამოიცნო. მდგომარეობა დაიძაბა, სასამართლო სამედიცინო დასკვნის აქტი ხელშესახებს არაფერს იძლეოდა და აუცილებელი გახდა გვამის ეგზეგუმაციის ჩატარება. გვამის გამოკვლევა რვა საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ათასგზის შემოწმდა ყველაფერი, რის შედეგადაც თავის ქალის მიდამოებში შემავალი ხვრელი აღმოჩნდა. გარეგნული დათვალიერებით ეს ხვრელი თითქმის შეუღწეველი იყო, მაგრამ როცა ქალას ღრუს შეეხნენ, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ძვლებს შუა ორი ტყვია იყო ჩაჭედილი.

შემდეგ დღეებში ექსპერტიზამ ისიც დაადგინა, რომ ეს ტყვიები მძარცველთა რევოლვერიდან იყო გასროლილი.

ვალიკო და ნუგზარი უკვე ვეღარ გაექცნენ ამდენ სამხილ მასალებს და იძულებული გახდნენ, რომ მკვლელობა ელიარებინათ. ვერ შეთანხმდნენ მხოლოდ იმაში, თუ რომელი იყო უშუალოდ მკვლელი და უსირცხვილოდ აბრალებდნენ ერთიმეორეს გაუგონარ ავკაცობას, როცა ოთხასი მანეთისათვის სასიკვდილოდ გაიმეტეს კაცი.

ასე აეხადა ფარდა კიდევ ერთ ბნელით მოცულ დანაშაულს პროფესიონალი გამომძიებლის ი. დავარაშვილის გულმოდგინებისა და მიხვედრილობის წყალობით.

ანგი არსენაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიკოსთა შეხვედრა ერევანში

1986 წლის ოქტომბერში ერევანში გაიმართა სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტის, სომხეთის ისტორიის ინსტიტუტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამუშაო შეხვედრა დასავლეთ გერმანიის მაქს პლანკის სახელობის ევროპული სამართლის ისტორიის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.

სხდომები მიმდინარეობდა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში, მატენადარანში, რესპუბლიკის ისტორიის ინსტიტუტის შენობაში.

სსრ კავშირ-დასავლეთ გერმანიის მეცნიერთა შეხვედრას ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ს. ბ. ხრომოვი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაქს პლანკის სახელობის ევროპული სამართლის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა დ. ზიმონ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული მაქს პლანკის სახელობის 52 ინსტიტუტიდან უმრავლესობა საბუნებისმეტყველო პროფილისაა, ორი მათგანი კი სწავლობს სამართლის ისტორიის აქტუალურ პრობლემებს. ამ დარგით მუშაობს ოცი წამყვანი მეცნიერი, ოცი ახალგაზრდა მეცნიერთანამშრომელი, ოცდაათამდე ლაბორანტი და ასპირანტი, სულ 70 კაცი. ინსტიტუტი დიდი არ არის, მაგრამ თავისი სამეცნიერო პროდუქციით და მაღალი ღირსებით მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

ინსტიტუტი ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) სამართლის ისტორიით არის დაინტერესებული და მისი საკვლევი დაწესებულება რეგულარულად გამოსცემს სერიას: „გამოკვლევები ბიზანტიური სამართლის ისტორიიდან". საპროფილო სერიით იბეჭდება სქელტანიანი, ფუნდამენტური ნაშრომები, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უკვე გამოქვეყნებული ათზე მეტი ნაშრომი.

კარგა ხანია, რაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბიზანტიის ისტორიის კვლევის სფეროში ფრანც დელგერის სკოლამ დაამკვიდრა თავისი მიმართულება. ეს ის შემთხვევაა, როცა მკვლევარი ერთსადაიმავე დროს იურისტიც არის და ფილოლოგიც. ერთ მკვლევარში იურისტისა და ფილოლოგის გაერთიანებამ მეცნიერების წინაშე ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა.

მაქს პლანკის სახელობის ევროპული სამართლის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები კარგად არიან მომზადებულნი, როგორც სამართლის ისტორიაში, ასევე ფილოლოგიასა და ენათმეცნიერებაშიც. ამიტომ, მათთვის რომელიმე სამართლებრივი ძეგლის მაღალ დონეზე გამოცემა დიდ სიძნელს არ წარმოადგენს.

დოქტორ დ. ზიმონის განცხადებით მისადმი დაქვემდებარებული ინსტიტუტის ამოცანაა ბიზანტიური სამართლის ისტორიის საკითხების ფუნდამენტური კვლევა-ძიება. მათ აინტერესებთ ბერძნულ-რომაული ანუ ბიზანტიური სამართლის ბედი ადრეფეოდალური ხანიდან XIX საუკუნემდე.

პირობითად მთელ სამართლებრივ მასალას ისინი ყოფენ რომაულ-ლათინური და არალათინური წარმოშობის სამართლებრივ ძეგლებად. ცხადია, რომის სამართალი დიდ გავლენას ახდენდა მთელი ხმელთაშუაზღვის ვრცელი რეგიონის სამართალგანვითარებაზე, მაგრამ თავის მხრივ სამართლის ალტერნატიული სისტემებიც ახდენენ გავლენას რომის სამართლის ჩამოყალიბებაზე. ცხადია, რომის სამართლის გავლენა დიდი მნიშვნელობისა იყო და სამართლის ისტორიაში სწორედ ეს მომენტებია ხაზგასმული. ამას კი იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ბერძნულ-ბიზანტიური სამართლის ძეგლები ისე კარგად არ არის გამოცემული, როგორც რომისა. საჭიროა ბიზანტიური სამართლის ძეგლების თანამედროვე მეცნიერულ დონეზე გამოცემა, მისი ყოველმხრივი შესწავლა. ამ მიზნით მაქს პლანკის სახელობის ევროპული სამართლის ისტორიის ინსტიტუტი დიდ მუშაობას ეწევა. აგროვებს ბიზანტიურ-ბერძნული წარმოშობის ყოველნაირ ხელნაწერებს ან მათ მიკროფილმებს.

ინსტიტუტს აქვს დიდი საგამომცემლო ბაზა და შესრულებული ნაშრომების ბეჭდვა არ უჭირს.

პროფ. დ. ზიმონმა თავის გამოსვლაში აღნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნა, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები, ბიზანტიოლოგები უკვე თანამშრომლობენ ევროპული სამართლის ისტორიის ინსტიტუტთან მაინის ფრანკფურტში და დადებით შედეგებსაც აღწევენ. ბიზანტიური სამართლის ღრმად შესწავლისათვის აუცილებელია აგრეთვე ზედმიწევნით ვიცოდეთ ქართული, რუსული და სომხური სამართლის ძეგლები.

ახალგაზრდა პროფესორმა ლუდვიგ ბურმანმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის ჩვენამდე მოღწეული ბიზანტიური სამართლის ძეგლების თარგმნას. მაგალითად, ეკლოგის სლავური თარგმანი ჩვენ საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ბერძნული დედანი, საიდანაც ითარგმნა ის სხვადასხვა ენებზე.

1988 წელს ლუდვიგ ბურგმანის რედაქციით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოიცა „ეკლოგა, კონსტანტინე V და ლეონ III სამართლის წიგნი". ხსენებული სამართლის წიგნის რუსული გამოცემაც არსებობს, პროფ. ე. ლიფშიცის თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით.

რუსული გამოცემისაგან განსხვავებით გერმანულ გამოცემაში დაბეჭდილია პარალელური ტექსტები, სამართლის წიგნის ბერძნული დედანი ნაშრომის მარცხნივაა დაბეჭდილი, ხოლო თარგმანი — მარჯვნივ, რაც შესაძლებლობას იძლევა უშუალოდ შევადაროთ ერთმანეთს ბერძნული დედანი და მისი თარგმანი. გარდა ამისა, გამოკვლევა, რომელიც თან აქვს დართული „ეკლოგის" გერმანულ თარგმანს, მეტად მნიშვნელოვანია და მისი ცალკე გამოქვეყნებაც, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა. უნივერსალურადაა შესწავლილი „ეკლოგის" ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები, მათ შორის თარგმანების ხელნაწერებიც, სლავური ეკლოგა, სომხური ეკლოგა და არაბული ეკლოგა.

პროფ. ლ. ბურგმანი აღნიშნავს, რომ ბიზანტიურ-ბერძნული ძეგლების სლავურ, ქართულ თუ სომხურ თარგმანებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ ბიზანტიური სამართლის გაგებისათვის და ისინი ძვირფას წყაროს წარმოადგენენ მთარგმნელი ხალხების სამართლის ისტორიის შესწავლისათვის.

დასავლეთ გერმანელ სამართლის ისტორიკოსთა გამოსვლებში გაშუქებული იყო აგრეთვე საინტერესო საკითხები ბიზანტიური სამართლის გავრცელების არეალის შესახებ. შედგენილია სათანადო რუკა, თუ რომელ საუკუნეებში და სადამდე ვრცელდებოდა ბიზანტიური (ბერძნულ-რომაული) სამართლის გავლენა აღმოსავლეთში, სად, რომელი ბიზანტიური სამართლის ძეგლი გამოიყენებოდა და ა. შ.

ფრაუ ფოგე თავის გამოსვლაში შეეხო ბიზანტიური წყაროების გამოცემის თანამედროვე მდგომარეობას. მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად უკვე ქვეყნდება ბიზანტიური წყაროების კორპუსი, ხსენებული სამეცნიერო პუბლიკაცია შვიდ სერიად გამოვა ვაშინგტონში, პარიზში, სალონიკში, მაინის ფრანკფურტში და ა. შ. გამოცემას დააფინანსებს ის ქვეყანა, რომლის ენაზედაც იბეჭდება ესა თუ ის წყარო. განზრახულია ხელახლა გამოიცეს ე. წ. „ბონის კორპუსი" ორმოცდაათტომად და ბიზანტიური სამართლის წიგნების იურიდიული ლექსიკონები.

შეხვედრის მონაწილენი ერთსულოვანნი იყვნენ, და თავიანთ გამოსვლებში აღნიშნავდნენ, რომ ბიზანტიური სამართლის ძეგლების რუსული, ქართული, სომხური და სხვა ენებზე არსებული თარგმანების გამოცემისა და გამოკვლევისათვის საჭიროა მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა პროფ. შჩაპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიზანტიური სამართლის საფუძვლიანი შესწავლისათვის აუცილებელია კომპლექსურად ვიცოდეთ ყველა ის სამართლებრივი ძეგლის დედანი და თარგმანი, რომელიც მოგვეპოვება.

სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის, ხელნაწერთა ინსტიტუტის „მატენდარანის" და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის პროფ. ს. ხრომოვის წინადადებას, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ გერმანიის მეცნიერ-ისტორიკოსთა შორის ბიზანტიური სამართლის უფრო ღრმად შესწავლისათვის.

ჯერ რომისა და შემდეგ ბიზანტიის იმპერიის წიაღში შემუშავებული სამართალი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბიზანტიური სამართლის შესწავლა შედარებით ისტორიულ ასპექტში შეუძლებელი იქნება, თუ არ გვეცოდინება სომხეთში, საქართველოსა და რუსეთში მოქმედი საკანონმდებლო ძეგლები. სამართლის შედარებითი ისტორიული მეთოდის მეშვეობით უნდა გამოვიკვლიოთ ისტორიული პროცესის როგორც ზოგადი, ასევე მისი კერძო მხარეებიც.

საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მეცნიერთა ერევნის სიმპოზიუმზე საქართველოდან მიწვეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის

ინსტიტუტის ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილება.

მეცნიერთა სამუშაო შეხვედრამ ისიც გამოავლინა, რომ სამწუხაროდ, გერმანელ მეცნიერებს სრული ინფორმაცია არ გააჩნიათ ქართული სამართლის ისტორიის დღევანდელ მდგომარეობაზე. მათთვის სრულიად უცნობი აღმოჩნდა, ის, რომ საქართველოში კარგა ხანია გამოქვეყნებულია „ხელმწიფის კარის გარიგების" გერმანული და რუსული თარგმანები.

სტუმრებს საჩუქრად გადავეცით დ. ფურცელაძის თარგმნილი „ვახტანგ VI სამართლის წიგნის" რუსული თარგმანი, აგრეთვე „ბაგრატ კუროპალატის სამართლის წიგნის" და „კათალიკოზის სამართლის" რუსული თარგმანი, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ამასთან დაკავშირებით სტუმრებმა გვთხოვეს, რომ უფრო ხშირად გამოვაქვეყნოთ ნაშრომები რუსულ და გერმანულ ენებზე.

პროფ. კაუფმოლდმა აღიარა, რომ მისთვის დღემდე უცნობი იყო, ქართულ ენაზე არსებული ბიზანტიური სამართლის ძეგლების თარგმანები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში შესული ე. წ. „სამართალი ბერძნული" ოც წელზე მეტია რაც ცალკე წიგნადაა გამოცემული მშვენიერი გამოკვლევითა და ბერძნული ტექსტით.

უცნობი იყო გერმანელი მეცნიერებისათვის ისიც, რომ ქართულ „დიდ სჯულის კანონში" ჩვენ ბიზანტიური საერო კანონებიც გვაქვს შემონახული და ბიზანტიური წარმოშობისაა აგრეთვე „ქორწინების თავთავი", რომელიც გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში ითარგმნა.

როგორც ჩანს, ტრადიციის გავლენით საქართველოში ბიზანტიური სამართლის ძეგლებს XVII-XVIII საუკუნეებშიც თარგმნიდნენ, ეს ის დრო იყო, როდესაც სამართალგანვითარების უმაღლესმა დონემ დასავლეთ ევროპაში გადაინაცვლა, მაგრამ რატომღაც ქართველთა გულისყური მაინც ბიზანტიური სამართლისაკენ იყო მიპყრობილი.

ბიზანტიური სამართლის გავლენის საკითხი რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიან ხალხებზე სრული არ იქნება, თუ აქვე არ გავიხსენებთ გვიანფეოდალური ხანის მოლდავურ სამართალს, სადაც სხვებზე უფრო მეტად იგრძნობოდა იგი.

სწორედ ამიტომ ვთქვით საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერთა შეხვედრაზე, რომ ბიზანტიური სამართლის სხვა ქვეყნებზე გავლენის შესწავლა სრულყოფილი არ იქნება მოლდავური სამართლის ისტორიის მონაცემების ღრმად შესწავლის გარეშე.

ქართველების, სომხების და ზოგიერთი სხვა ხალხების ისტორიული ბედი იმგვარი იყო, რომ ისინი კარგად იცნობდნენ ძველი ბაბილონის, რომისა და ბიზანტიის კანონმდებლობას. სარწმუნოა, რომ ბაბილონის, კერძოდ კი სამურაბის კანონებმა კავკასიაში ძველი სპარსეთის მეშვეობით შემოაღწია. ასე რომ ჩვენს წინაპრებს უძველესი დროიდანვე ჰქონდათ კონტაქტები მხოფლიოს სამართლებრივი კულტურით მაღალ დონეზე მყოფ ხალხებთან და სახელმწიფოებთან. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბაბილონური და ბერძნულრომაული სამართლის პრინციპებისა და ნორმების ათვისება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონეს გულისხმობდა. თუ შედარებით მწირ ცნობები მოგვეპოვება საქართველოში ბაბილონური სამართლის გავლენის შესახებ, სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს ბერძნულ-ბიზანტიურ სამართალთან დაკავშირებით. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ძველბერძნული ცივილიზაციის გავლენა მეზობელ ხალხებზე უფრო დიდი მნიშვნელობისა იყო, ვიდრე ძველი აღმოსავლურისა. აკი ამიტომ წერდა სამართლის ერთი ცნობილი ისტორიკოსი: იყო ქვეყნად პატარა ხალხი, პროგრესის პრინციპის შემოქმედი და ეს ხალხი ბერძნებია. ყოველივე რაც ამ ქვეყნად იძვრის და მოძრაობს, ბუნების ბრმა ძალების გარდა, თავის სათავეს ძველ საბერძნეთში იღებს."

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ „პროგრესის პრინციპის" შემოქმედებაში ბერძნებთან ერთად ჩვენი წინაპრებიც მონაწილეობდნენ.

გარკვეულ ხანებში, მაგალითად XII საუკუნის მეორე ნახევარში და XIII საუკუნის დასაწყისში, საქართველო ბიზანტიასაც კი ეჯიბრებოდა სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაციის საკითხებში.

თამარის მეფობის დროს საქართველოში მკვეთრად იზღუდებოდა სიკვდილით დასჯა, აიკრძალა დამასახიჩრებელი სასჯელები, არ მიმართავდნენ სიკვდილით დასჯას პოლიტიკურ დანაშაულთათვის და ა. შ. აღიარებდნენ პრინციპს, რომ ადამიანის სიცოცხლე ზღუდეა პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზაზე.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერთა ერევნის შეხვედრა დამთავრდა, მაგრამ იგი კვლავ გაგრძელდება 1988 და 1990 წლებში, როდესაც საბჭოთა და გერმანელ სამართლის ისტორიკოსებს შესაბამისად უმასპინძლებენ თბილისი და მაინის ფრანკფურტი.

გიორგი ნადარეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედანზე და მის გარეთ

კარს მოგვადგა ახალი საფეხბურთო სეზონი, მალე კვლავ ახმაურდებიან ჩვენი ქვეყნის სტადიონები, გავხდებით მოწმენი პირველი გოლების, გამარჯვებებისა და დამარცხებების, მოწმენი იმისა თუ საფეხბურთო კოლექტივები როგორ მოემზადნენ, რა იღონეს იმისათვის, რომ სიხარული არ მოაკლონ ფეხბურთის გულშემატკივრებს... მართალია, შემოდგომამდე ჯერ კიდევ შორს არის და „წიწილების დათვლა" ახლა, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ გასული საფეხბურთო სეზონი მრავალ საჭირბოროტო, უაღრესად მწვავე პრობლემებზე იძლევა ყურადღების გამახვილების საკმაო საფუძველს.

„გარდაქმნა, — თქვა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ჩვენი პარტიის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, — ეს არის... დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაფართოება ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროში; ეს არის პიროვნების მნიშვნელობისა და ღირსების ამაღლებული პატივისცემა". დიახ, თვით ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროში გარდაქმნის დაჩქარების აუცილებლობა. ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის წარმატებით გადაჭრის საფუძვლად კი სამართლიანად არის მიჩნეული დისციპლინისა და წესრიგის შემდგომი განმტკიცება. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში, კერძოდ, ფეხბურთში, რომელსაც ქომაგთა მრავალმილიონიანი არმია ჰყავს. ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, გივი ჩოხელი და ბევრი სხვა, სამაგალითონი იყვნენ და არიან არამარტო სპორტში, არამედ საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაშიც. სწორედ ამ საკითხებზე ესაუბრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მთავარი სამმართველოს უფროსს, რესპუბლიკური გაერთიანება საქაგრომშენის თავმჯდომარეს პატივცემულ იოსებ ხარატიშვილს ჩვენი ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტი გელა ბერძენიშვილი.

გთავაზობთ ამ საუბრის შინაარსს.

* * *

— ბატონო იოსებ! ამჟამად ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებით იღწვიან სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში საქმიანობის ძირეული გარდაქმნისათვის. საინტერესოა, რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრება როგორ უპასუხებს ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენას?

— სკკპ XXVII ყრილობამ და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებამ ფართო პერსპექტივები დასახა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს დაჩქარებული განვითარებისათვის. ეს დროის მოთხოვნაა და მწარედ ცდება ის, ვისაც, სამწუხაროდ, მიაჩნია, რომ გარდაქმნა ნაკლებად ეხება სპორტს, კერძოდ კი, ფეხბურთს. ეს მაშინ, როცა წლების განმავლობაში სათანადო კონტროლის მოდუნებით, ხელმოშვებულობით, ხშირად კი სრული განუკითხობით რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში, განსაკუთრებით ცალკეულ კოლექტივებში თავი იჩინეს ნეგატიურმა მოვლენებმა. ამიტომ, მუშაობის ძირეული გარდაქმნა ფეხბურთშიც აუცილებელია და ეს პროცესი მიმდინარეობს კიდეც...

— ნეგატიური მოვლენები ახსენეთ, კერძოდ, რას გულისხმობდით? თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ ამ საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კეთილი, მკაცრი მომთხოვნელობის საგრძნობლად დაქვეითებამ გამოიწვია ცალკეული ფეხბურთელების, ზოგჯერ კი მთელი საფეხბურთო კოლექტივების მიერ სპორტული რეჟიმის სისტემატური დარღვევები, უდისციპლინობის, ლოთობისა და უზნეობის ფაქტები, მორალური, ზნეობრივი კოდექსის უგულებელყოფა, უშრომელი შემოსავლის ძიება, ფეხბურთისაგან რაც შეიძლება მეტის გამორჩენის სულისკვეთება... თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი ფეხბურთელი იმდენად გათავხედდა, რომ „შეთავსებით" ერთდროულად ორ გუნდში ირიცხებოდა და, ცხადია, ხელფასსაც ორივე ადგილიდან იღებდა. ამის შემდეგ, იქნებ, ზოგიერთს კომენტარი ზედმეტად მოეჩვენოს, ჩვენ კი სხვაგვარად ვფიქრობთ — სწორედ ასეთი და სხვა მსგავსი შემთხვევები გავხადეთ მკაცრი და საჯაროდ მსჯელობის საგნად, გამოვიტანეთ სათანადო დასკვნები და შესაბამისი ღონისძიებებიც გავატარეთ: გუნდებიდან გაირიცხა უდისციპლინო ფეხბურთელები, შეიცვალა ცალკეული კოლექტივების ხელმძღვანელობა და სხვ.

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, პატივცემულ ოთარ ჩერქეზიას მიერ „სოვეტსკი სპორტისათვის" მიცემულ ინტერვიუში კონკრეტულად იყო მითითებული იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გატარდა საფეხბურთო მეურნეობაში სანიმუშო დისციპლინის დასამყარებლად. საქართველოს პირველობის მონაწილე ერთ-ერთი გუნდი კი საერთოდ დაიშალა, რადგან მთლიანად დაკომპლექტებული იყო მოწვეული ფეხბურთელებით. რას გვეტყოდით ამის თაობაზე?

— დიახ, „გასტროლიორობას" მეტად მავნე შედეგები მოაქვს. ჯერ ერთი, აღარ ზრუნავენ საკუთარი, ადგილობრივი კადრების აღზრდისათვის, ხოლო მეორეც ის, რომ გუნდების ამ მცდარი მეთოდით შეკოწიწებას თან ახლავს სხვადასხვა სახის მაქინაციები, ზოგჯერ კი სისხლისსამართლებრივი დანაშაულიც. საერთოდ კი, გაუგებარია ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელთა ყალბი პრესტიჟულობა, რათა აუცილებლად კარგი გუნდი ჰყავდეთ. ცხადია, ასეთი სურვილი თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ როცა ეს თვითმიზნად იქცევა და იწყება შეუწყნარებელი „მეცენატობანას" თამაში, ჩვენ ამას ვერ შევურიგდებით. სწორედ ამ მიზეზით საქართველოს პირველობაზე უსაშველოდ გაიზარდა გუნდების რაოდენობა, ხოლო შესაბამისად იკლო თამაშის ხარისხმა, ზოგიერთი გუნდის დონე კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ამიტომ რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოსა და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი ღონისძიებების შედეგად უკანასკნელ ხანს დავიწყეთ გუნდების რაოდენობის შემცირება. ახლა შეხვედრები გაცილებით საინტერესო და სპორტულად დაძაბულია, რამდენადმე ამაღლდა ფეხბურთელთა ოსტატობაც.

— ბატონო იოსებ! გასული საფეხბურთო სეზონის ცალკეულ მატჩებში ცოტა როდი იყო უხეშობის, თვითნებობის, უდისციპლინობისა და ეგრეთ წოდებული „ჩაწყობილი", წინასწარ დადგმული „სპექტაკლების" გამართვის ფაქტები. სწორედ ამის თაობაზე დიდი გულისტკივილით ილაპარაკა „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე თბილისის „დინამოს" კაპიტანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრე ჩივაძემაც. ამიტომ შეუძლებელია კიდევ ერთხელ არ გავახსენოთ, რომ ფეხბურთი უაღრესად პოპულარულია განსაკუთრებით მოზარდ თაობაში, ამდენად ადვილი წარმოსადგენია ის უდიდესი ზიანი, რაც ნებისმიერი, მითუმეტეს გამოჩენილი ფეხბურთელის უმსგავსო საქციელის თუნდაც ერთ ფაქტს მოაქვს ახალგაზრდობის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების საშვილიშვილო საქმისათვის.

— სრული სიმართლეა. ავიღოთ თუნდაც ერთი მაგალითი: შარშან თბილისის „სინათლის" ფეხბურთელთა გუნდმა უაღრესად აღმაშფოთებელი საქციელი ჩაიდინა — მატჩის დამთავრებამდე დემონსტრაციულად დატოვა მოედანი, რითაც უხეშად შეურაცხყო საბჭოთა სპორტისა და მაყურებელთა ინტერესები. აღმოჩნდა, რომ ამ გუნდში თავი მოეყარათ შემთხვევით, პირადი გამორჩენის მაძიებელ ფეხბურთელებს, რომლებიც ადრეც მრავალგზის იყვნენ შემჩნეული დისციპლინის დარღვევებში. მართალია, გუნდი დაუყოვნებლივ მოიხსნა გათამაშებიდან, ხოლო სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" და თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ხელმძღვანელობა საკადრისად დაისაჯნენ, მაგრამ წერტილის აქ დასმა შეუძლებელია, რადგან აუნაზღაურებელია ასეთი თვითნებობით გამოწვეული მორალური ზიანი. დასკვნა ერთია: ბავშვთა და მოზარდ ფეხბურთელთა აღზრდის საქმე მოითხოვს გადაუდებელ, ძირეულ გაუმჯობესებას. აბა, რა აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სპორტულ შედეგებს გამოდევნებული მშობლები თუ მწვრთნელები აღსაზრდელთა თვალწინ მიუტევებელ დანაშაულს სჩადიან — აყალბებენ ნორჩ ფეხბურთელთა საბუთებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ვერაფერი, თუნდაც მაღალი სპორტული შედეგი ვერ აანაზღაურებს ასეთი საქციელით ბავშვის სულიერ სამყაროში, მის რწმენაში მომხდარ უარყოფით მოვლენებს. ერთი სიტყვით, ჩვენი მთავარი საზრუნავია ფეხბურთელთა ზნეობრივი სრულყოფის საკითხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყველაფერს ვიღონებთ, რომ თითოეული ფეხბურთელი სანიმუშო იყოს მოედანზე და მის გარეთ, რაინდულად იქცეოდეს ყველგან და ყოველთვის.

— კვლავ საგულისხმო პრობლემად რჩება მსაჯობის საკითხი... გასულ სეზონში ცოტა რადი იყო უხარისხო მსაჯობის შემთხვევები, უფრო მეტიც, ზოგჯერ მსაჯები, მათი მოვალეობის პირდაპირ საწინააღმდეგოდაც კი მოქმედებენ — ნებსით თუ ენებლიედ, მიკერძოებული მსაჯობით ხელს უწყობდნენ მოედანზე არაჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას, მოკლედ რომ ვთქვათ, თავს ვერ ართმევდნენ დაკისრებულ საქმეს...

— მართალი შენიშვნაა. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ შარშან მსაჯობის ხარისხი მეტად დაბალი იყო. მსაჯთა ერთი ნაწილი, მიუხედავად სპეციალური განათლებისა, საოცარ უსუსურობას იჩენს მოედანზე შექმნილი ელემენტარული სიტუაციის გარკვევის დროსაც კი. ამიტომ იყო, რომ 1984 წლიდან 1986 წლის სეზონის მეორე ნახევრამდე არაკეთილსინდისიერი მსაჯობისათვის 35 მსაჯს აეკრძალა საქართველოს პირველობის მატჩების მომსახურება. კაცმა რომ თქვას, რა წესრიგი უნდა დაამყაროს თვითონ მოუწესრიგებელმა და უდისციპლინო მსაჯმა. ასეთების მიმართ ჩვენ კვლავაც უკომპრომისონი ვიქნებით.

იმისათვის, რომ ჩვენს ფეხბურთში სრული წესრიგი დამყარდეს, საჭიროა რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია დაინტერესებული ორგანიზაციებისა თუ სპორტული უწყებების მხრიდან მუდამ გრძნობდეს თანადგომასა და მხარდაჭერას. მხოლოდ ასეთი მჭიდრო კონტაქტებით შეიძლება საერთო მიზნის მიღწევა.

— ბატონო იოსებ! ცოდვა გამხელილი სჯობიაო, ნათქვამია და, ცოტას ჩვენც ხომ არ ვცოდავთ მსაჯების მიმართ, ბევრს ვთხოვთ და სამართლიანადაც, მაგრამ თვითონ ისინი რატომღაც ჩრდილში არიან... სიტყვამ მოიტანა და მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი უურნალის კოლექტივის ინიციატივითა და სარედაქციო კოლეგიის თანხმობით, ვფიქრობთ, დავაწესოთ უურნალ „საბჭოთა სამართლის“ პრიზი „სეზონის საუკეთესო არბიტრისათვის“. აქვე თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ჩვენს რესპუბლიკას არც ერთი საკავშირო პრიზი არა აქვს დაწესებული, ვფიქრობთ საკითხი აქტუალურია...

— დიახ, მეტად დროული და საჭირო წამოწყებაა და იგი ყოველმხრივ მხარდაჭერას საჭიროებს. ფეხბურთის ფედერაცია პრაქტიკულად იმოქმედებს, რათა ამ წინადადებას ხორცი შეესხას.

— და ბოლოს, რას იტყვით საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ლანჩხუთის „გურიის“ უპრეცენდენტო წარმატების შესახებ...

— გულახდილად რომ გითხრათ, ათასობით გულშემატკივართან ერთად, ეს მოვლენა ჩემთვისაც მოულოდნელი იყო და ლანჩხუთელთა წარმატება შემთხვევითი მეგონა, მაგრამ როცა ამას წინათ ლანჩხუთის რაიონი შემოვიარე (სტადიონის სარეკონსტრუქციო მშენებლობას ჩვენი გაერთიანება უძღვება) და ჩემი თვალით ვნახე, რომ ყველა სოფელს, დიდსა თუ პატარას, ყველა კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობას საკუთარი საფეხბურთო მოედანი აქვს, აზრი შემეცვალა და ახლა მიმაჩნია, რომ „გურიის“ წარმატება კანონზომიერი მოვლენაა. დიახ, იქ, სადაც ასეთი დიდი ყურადღება ექცევა ფეხბურთის ჭეშმარიტ მასობრიობას, სპორტის როლის ამაღლებას ახალგაზრდობის სწორად აღზრდის საქმეში, წარმატება გარდაუვალია... სხვათა შორის, რაიონისა და გუნდის ხელმძღვანელობას ვთხოვე, რათა პირველივე მეტოქეს — კიევის „დინამოს“ კოლექტივს აჩვენონ ბავშვებითა და მოზარდებით სავსე ეს მოედნები...

— ახლა, ბატონო იოსებ, ნება მიბოძეთ, რათა ჩვენი უურნალის ათასობით მკითხველის სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ საინტერესო საუბრისათვის და გისურვოთ წარმატებები ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო მეტყველების ძეღული

სასამართლო მეტყველების სტილის შერჩევის დროს ორატორი შეუზღუდავია. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს ლექსიკა, რიტორიკული სამკაულები, რიტმულობა, ემოცია, პაუზა, მიმიკა და ჟესტიკულაცია, მაგრამ აქვე არ უნდა უგულებელყოს აგრეთვე ენის ტიპები: საინფორმაციო, ტექნიკური, მხატვრული, სამეცნიერო, სასამართლო და სხვა.

მართალია, მეტყველების სტილი და ენათა ტიპები ერთგვარ გავლენას ახდენენ სიტყვის ხანგრძლივობაზე, მაგრამ ისინი არ განაპირობებენ არც ცალკეული საკითხების და არც მსჯელობის მთელი თემისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობას.

ორატორმა საჯაროდ გამოსვლამდე უნდა განსაზღვროს სიტყვის სიდიდე და მისი საორიენტაციო ხანგრძლივობა. მართალია იგი დამოკიდებულია სამეტყველო საგანზე, საკითხთა სიმრავლეზე, ცნებებზე, ზემოქმედებით საშუალებებსა და აუდიტორიაზე, მაგრამ მისი მიახლოებითი განსაზღვრა სათანადო მეთოდის გამოყენებით მაინც შეიძლება.

სასამართლო მეტყველება დასაბუთებული მეტყველებაა. იგი ეხება ცალკეულ პირთა დანაშაულებრივ ქმედობას თუ უმოქმედობას, ცნებებისა თუ საგნების ბუნების გარკვევას, მათი ნიშან-თვისებების ახსნას. ეს კი თავისთავად მოითხოვს რაოდენობრიობისა და და თვისებრიობის ნიშანთა დადგენას.

თვისებრივ და რაოდენობრივ ნიშანთა დადგენით გავარკვევთ სადაო საკითხის სამართალდარღვევის არსს, მის ზომას.

ზომა რაოდენობრივი და თვისებრივი ნიშნების ისეთი ერთიანობაა, როდესაც გარკვეული თვისებრიობა აუცილებლად არის დაკავშირებული გარკვეულ რაოდენობრიობასთან. იგი მრავალასპექტოვანია. სტატისტიკური თვალსაზრისით გამოხატავს საზომ ერთეულს ან განზომილებას. როცა ვლაპარაკობთ ზომა-წონაზე, ვგულისხმობთ მეტრს, კილომეტრს, მილს, გრამს, კილოგრამს და სხვა.

მორალის სფეროში ზომას ვუწოდებთ „ზომიერებას". იგი შეიძლება შეიცავდეს ამა თუ იმ ნორმატიულ ნიშნებს: „ზომიერი კაცი", „ზომიერი კლიმატი", „ზომიერი სიტყვა" და სხვა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ ტერმინის ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, ეთიკურ და სხვა მნიშვნელობასთან.

ზომა გამოიყენება აგრეთვე წმინდა ლოგიკური და ეტიმოლოგიური მნიშვნელობითაც, საწყაოს აღნიშნავს — ბათმანი, კოდი, ლიტრა, მოქმედების წესს — სასჯელის ზომა, მკაცრ ზომა და სხვა.

არსებობს დარგობრივი ტერმინები, რომლებიც სხვა სიტყვებით გამოითქმება, მაგრამ აზრობრივად ზომას აღნიშნავენ. მაგალითად, გრაცია გამოხატავს მოძრაობის მოწესრიგებულობას, ორგანიზაციას; რიტმი — თვისებისა და რაოდენობის სინთეზს, მის დინამიკურ გაშლას ან სტატიკურ აგებულებას.

ზომა, როგორც ფილოსოფიური კატეგორია, ამ მნიშვნელობათაგან განსხვავდება ნიშნებისა და მხარეების რაოდენობრივი და თვისებრივი ერთობლიობით.

ბერძენი ფილოსოფოსები ზომას იხსენიებდნენ „თანაზომიერებად", „გაწონასწორებულობად", „შუაგულად", „ცენტრად" და სხვა. ჰერაკლიტეს თქმით — მზე არ არღვევს ზომის ფარგლებს მოძრაობაში. დემოკრიტეს მიაჩნია, რომ თანაბარი, თანაზომიერი ყველაფერი ზომიერია. სიჭარბე და ნაკლოვანება მშვენიერება არ არის. სამყაროში საგანთა უმცირესი ატომები ქმნიან სიმეტრიისა და ასიმეტრიის სტრუქტურას, ზომიერებას.

პროტაგორას აზრით, ადამიანი არის ყოველ საგანთა საზომი. ამ ანთროპოლოგიურ გაგებას იგი როგორც აპრიორს უთანაზომებს ყველაფერს სამყაროში.

ფართო მნიშვნელობა აქვს ზომას არისტოტელეს ფილოსოფიაშიც. „იყოს მთელი და განუყოფელი, ნიშნავს იყოს ამოსავალი ზომა ყოველი გვარისათვის"... არისტოტელე ხშირად იყენებს ზომის პრინციპს ეთიკაშიც. „სიმამაცე შუაგულია სიმხდალესა და სიშლეგეს შორის, გულუხვობა — სიძუნწესა და მფლანგველობას შორის". ფილოსოფოსი გვირჩევს ზომა (თანაზომიერება) დავიცვათ მეგობრობაში, სიყვარულში და ა. შ. მისი მოძღვრება სიკეთის შესახებ გამოხატავს ზომას, რომელიც გაურბის, როგორც სიმცირეს, ასევე სიჭარბეს; არისტოტელეს მთელი ფილოსოფია, დაწყებული სამყაროს ონტოლოგიური საფუძვლით და დამთავრებული ესთეტიკური და ეთიკური მოძღვრებით, გამსჭვალულია ზომის კატეგორიის პრინციპით.

ზომის ანტიკური კონცეფცია, რომელიც ვითარდებოდა ბერძნულ-რომაული სამყაროს მთელ პერიოდში, არც შემდეგ ეპოქებშია მივიწყებული. იგი იღებდა სხვადასხვა ფორმას, შინაარსს თავისი დროისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ახალი ფილოსოფიის ისტორიაში ჰეგელმა შექმნა მოძღვრება ზომის შესახებ, დაამუშავა საგნის თვისებისა და რაოდენობის კატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორია.

ჰეგელის განმარტებით, ზომა არის თვისებრივად განსაზღვრული რაოდენობა, უწინარეს ყოვლისა როგორც რაღაც უშუალო, გარკვეული რაოდენობრიობა, რომელთანაც დაკავშირებულია ყოველივე არსებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰეგელი ემყარება თვისებისა და რაოდენობის დიალექტიკურ ერთიანობას. იგი ამბობს: წყალი ინარჩუნებს თხიერ მდგომარეობას 0-დან 100-გრადუსამდე ამ მომენტს უწოდებს „სპეციფიკურ რაოდენობრიობას". რაოდენობრივი მხარე მხოლოდ რაოდენობა კი არ არის, არამედ გარკვეულად გაზომილი თვისებაა, ანუ, როგორც ჰეგელი უწოდებს, „მასპეციფირებული ზომა". თუ ერთად აიღებთ ერთსაცა და მეორესაც, მაშინ თვისობრივ-რაოდენობრივი გარკვეულობა ე. ი. ტემპერატურა 0-დან 100 გრადუსამდე წარმოგვიდგება ერთიან, განუყოფელ, მთლიან თვისებად.

თვისებისა და რაოდენობის ასეთი ცოცხალი სინთეზი, ჰეგელის აზრით, შეინიშნება ყველგან, იქნება ეს არაორგანული თუ ორგანული სამყარო, სულიერი, საზოგადოებრივი, ეთიკური თუ ისტორიული სფერო.

ზომის კატეგორიის მრავალასპექტოვან გამოხატულებათაგან სასამართლო მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ეთიკური და ფილოსოფიური თვალსაზრისი.

ეთიკური თვალსაზრისით ორატორი ზომიერი უნდა იყოს საგნის ან პიროვნების დახასიათების, გაკიცხვის, ლანძღვის თუ ბრალდების დროს. ასევეა საჭირო ზომიერება ქების, ხოტბის, განდიდების შემთხვევებშიც.

ხუმრობას, მახსრობას და დაცინვას ზომიერება სჭირდება ისევე, როგორც ჭმუნვის, წუხილისა და გლოვის გამოხატვას.

სასამართლო მეცნიერებაში ფილოსოფიის თვალსაზრისით ზომის კატეგორიის გამოყენება ნიშნავს მოვლენის, ცნების, საგნის ისეთ დახასიათებას, როცა თვისობრიობა რაოდენობასთან დიალექტიკურ ერთობლიობაში გამოხატება. ამით საგანს ამომწურავად, სრულად წარმოვაჩენთ, მსჯელობას განვცვრთავთ ზედმეტი ნიშნებისაგან. საკითხთა დამახასიათებელი ნიშნების რიცხობრივი გარკვეულობა შესაძლებლობას გვაძლევს წინასწარ განვსაზღვროთ მსჯელობისათვის საჭირო დრო. ამრიგად, ზომის კატეგორიის გამოყენებას მნიშვნელობა აქვს სამეტყველო სიტყვის ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლში ხულიგნობა ასეა ჩამოყალიბებული. „განზრახი მოქმედება, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემლობას საზოგადოებისადმი". დისპოზიცია ხაზს უსვამს ხულიგნობის ცნების სამ ნიშანს: „განზრახ მოქმედებას", „საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას", „საზოგადოებისადმი უპატივცემლობას". ამ ნიშანთა რაოდენობრიობისა და თვისებრიობის ერთიანობა გვაძლევს ხულიგნობის ცნების განსაზღვრას, ხულიგნობის ზომას. ანუ ხულიგნობის ცნების მაკვალიფიცირებელ ნიშანთა სისრულეს.

ხულიგნობის ცნება დაირღვევა, თუ მის ნიშნებს ხელოვნურად გავზრდით ან შევამცირებთ.

სამართალში მიცემული პიროვნების დასახასიათებლად საჭიროა გვქონდეს ამ პირის ადმინისტრაციული, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული დახასიათებები. მათში რაოდენობრივი მხარეები შეფასდება თვისობრიობასთან ერთობლიობაში და მივიღებთ დახასიათებელი პიროვნების, სუბიექტის მოქალაქეობრივ თვისებებს. ეს თვისებები და მათი ოდენობა იმავე პირის ღირსება-უღირსობის ამსახველი ზომაა.

პიროვნების, როგორც ინდივიდის ზომა, ანუ ნიშან-თვისებათა ერთიანობა სრული არ იქნება, თუ გავზრდით ან დავაკლებთ ნიშნებს. დახასიათება სრული არ იქნება, თუ დავაკლით ადმინისტრაციის დახასიათება და დავჯერდით პროფკავშირულ დახასიათებას. პიროვნების თვისებებსა და ნიშნებს სრულად ვერ გამოვხატავთ, თუ დაირღვევა ზომა ე. ი. ხელოვნურად გავზრდით ან შევამცირებთ პიროვნების დახასიათებებს.

მეტყველების ფონეტიკურ გამოხატვას ესაჭიროება დრო. როგორ უნდა განვსაზღვროთ იგი? ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ საგნის ნიშნები, თვისებები, მხარეები, გავიაზროთ მეტყველების მთელი მასალა. ნიშნებისა და მხარეების ოდენობა გადავიტანოთ მეტყველებისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობაში და განვსაზღვროთ სიტყვის წარმოსათქმელი დრო.

მოვლენის, საგნის, ცნების რაობის გარკვევას ზომის კატეგორიის გამოყენებით და მის წარმოსათქმელად საჭირო დროს შეიძლება ვუწოდოთ სასამართლო მეცნიერ მეტყველების მოდული.

მეცნიერ მეტყველების მოდულით სასამართლო ორატორი არკვევს საგნებისა და ცნებების ბუნებას, განტვირთავს სიტყვას ზარბი და უსაგნო მეტყველებისაგან, განსაზღვრავს საორიენტაციოდ მსჯელობისათვის საჭირო დროს.

ვახტანგ კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა-მოსამსახურეთა ახალი ტიპობრივი შრომითი შინაგანაწესი

გიორგი ზონია,

ადვოკატი

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით დაამტკიცა და მოქმედებს „საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეების ახალი ტიპობრივი შრომითი შინაგანაწესი“.

ახალი ტიპობრივი შრომითი შინაგანაწესი ხელს შეუწყობს მუშა-მოსამსახურეთა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდას, დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერებისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

შინაგანაწესის მე-19-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით აკრძალულია საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარება და მუშა-მოსამსახურეთა მოცდენა სამუშაო დროის პერიოდში. აქ იგულისხმება შეკრებები, სემინარები, სპორტული შეჯიბრებები, მხატვრული თვითმოქმედი წრეების მეცადინეობა და სხვა.

შინაგანაწესის მეორე თავში ჩამოყალიბებულია სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის წესები.

მუშები და მოსამსახურეები სარგებლობენ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით და შრომით ხელშეკრულებას დებენ საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან. სამუშაოზე მიღების დროს ადმინისტრაციამ მისაღებ პირს უნდა მოსთხოვოს შრომის წიგნაკი, ხოლო თუ პირველად იწყებს მუშაობას, ცნობა უკანასკნელი საქმიანობის შესახებ, გაცემული შესაბამისი საბინაო-საექსპლოატაციო ორგანოს ან სასოფლო საბჭოს მიერ და პასპორტი. სამუშაოზე მიღება ამ დოკუმენტების წარდგენის გარეშე დაუშვებელია.

თუ სამუშაო საჭიროებს სპეციალურ ცოდნას, ადმინისტრაციას უფლება აქვს პირს მოსთხოვოს დიპლომი ან სხვა დოკუმენტი განათლების ან პროფესიის დასადასტურებლად. აკრძალულია სამუშაოზე მიღების დროს ისეთი დოკუმენტის მოთხოვნა ან წარდგენა, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

სამუშაოზე მიღება ფორმდება ბრძანებით (განკარგულებით), რასაც ადმინისტრაცია მუშაკს წერილობით გააცნობს.

შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ ადმინისტრაციამ პირი ფაქტობრივად დაუშვა სამუშაოზე და იგი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. ასეთ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, დაცული იყო თუ არა სამუშაოზე გაფორმების დადგენილი წესი.

სამუშაოზე მიღების ან სხვა სამუშაოზე გადაყვანის დროს ადმინისტრაცია ვალდებულია პირს გააცნოს შრომის პირობები, უფლება-მოვალეობანი, შრომითი შინაგანაწესი და კოლექტიური ხელშეკრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოდ ახლადმიღებული პირების შრომის წიგნაკი ივსება ბრძანების დაწერიდან ხუთი დღის განმავლობაში. მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებით, რასაც თან უნდა ერთვოდეს პროფკავშირული კომიტეტის წინასწარი თანხმობა.

მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომლებსაც განუსაზღვრელი ვადით აქვთ დადებული შრომითი ხელშეკრულება, თავიანთი ინიციატივით სამუშაოდან გათავისუფლების დროს, როგორც წესი, ორი თვით ადრე უნდა მიმართონ წერილობით ადმინისტრაციას, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი ერთი თვით ადრე.

გაფრთხილების აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მუშას ან მოსამსახურეს უფლება აქვს მიატოვოს სამუშაო, ხოლო ადმინისტრაცია ვალდებულია მუშაკს მისცეს შრომის წიგნაკი და გაუსწოროს საბოლოო ანგარიში.

მუშაკი, რომელიც შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დისციპლინური სასჯელის წესით სამ თვემდე ვადით არის გადაყვანილი დაბალხელფასიან სამუშაოზე ან ჩამოქვეითებულია დაბალ თანამდებობაზე, ამ ვადის გასვლამდე ვერ გათავისუფლდება სამუშაოდან.

ადმინისტრაციის თანხმობით მუშაკს შეუძლია შრომითი ხელშეკრულება მოშალოს გაფრთხილების ვადის გასვლამდეც.

ადმინისტრაცია ვალდებულია სამუშაოდან გათავისუფლების დღესვე მისცეს მუშაკს შრომის წიგნაკი და გაუსწოროს საბოლოო ანგარიში. გათავისუფლების მიზეზი შრომის წიგნაკში ჩაწერილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის ზუსტი ფორმულირებით, შესაბამისი მუხლისა და პუნქტის ჩვენებით. მუშაობის უკანასკნელი დღე ითვლება გათავისუფლების დღედ.

შინაგანაწესის თანახმად მუშა-მოსამსახურეები ვალდებული არიან იმუშაონ კეთილსინდისიერად, დაიცვან შრომის დისციპლინა, ნაყოფიერად გამოიყენონ სამუშაო დრო, ზუსტად შეასრულონ ადმინისტრაციის განკარგულება, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, მიაღწიონ გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებას, არ დაუშვან წუნი, გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ სოციალისტური საკუთრება, ეფექტიანად გამოიყენონ სამუშაო მოწყობილობანი, მანქანები, დაზგები, დაიცვან სოციალისტური ერთად ცხოვრების წესები, ხელი არ შეუშალონ სხვას, თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებაში.

საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია ისე წარმართოს მუშა-მოსამსახურეთა შრომა, რომ თითოეული მათგანი თავისი სპეციალობითა და კვალიფიკაციით მუშაობდეს, ნერგავდეს შრომის სტიმულირების ბრიგადულ ფორმებს, უზრუნველყოფდეს მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას, მაღალ შრომით ნაყოფიერებას, აუმჯობესებდეს შრომის პირობებს, იცავდეს შრომის კანონმდებლობას, ანვითარებდეს სოციალისტურ შეჯიბრებას, ყურადღებით ეკიდებოდეს მუშაკთა საჭიროებებს, მათ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

შინაგანაწესის მეექვსე და მეშვიდე თავები ითვალისწინებს მუშა-მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

შრომის მაღალი მაჩვენებლების, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების, მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვების და ხანგრძლივი უმწიკვლო მუშაობისათვის გამოიყენება წახალისების ისეთი სახეები, როგორიცაა მადლობის გამოცხადება, პრემიის მიცემა, ფასიანი საჩუქრით ან საპატიო სიგელით დაჯილდოება და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წახალისება ფორმდება ბრძანებით ან განკარგულებით, ეცნობება მთელ კოლექტივს და იწერება შრომის წიგნაკში. კეთილსინდისიერ და მოწინავე მუშაკებს პირველ რიგში ეძლევათ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, საცხოვრებელი ბინები, უპირატესობა ენიჭებათ დაწინაურების დროს და ა. შ. წახალისების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომითი კოლექტივის აზრს.

განსაკუთრებული შრომითი დამსახურების მქონე პირთა სიები იგზავნება შესაბამის ზემდგომ ორგანოებში მათი ორდენებით, მედლებით, საპატიო სიგელებითა და სამკერდე ნიშნებით დაჯილდოებისათვის. ასევე ხდება საპატიო წოდებების ან ამა თუ იმ პროფესიაში საუკეთესო მუშაკის წოდების მინიჭება.

შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაცია იყენებს ასეთ დისციპლინურ სასჯელებს: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, გადაყვანა დაბალი ანაზღაურების სამუშაოზე სამ თვემდე, ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება ამავე ვადით.

შრომის დისციპლინის სისტემატური დარღვევის, არასაპატიო მიზეზით გაცდენისა ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისათვის მუშა-მოსამსახურე შეიძლება გადაიყვანონ დაბალი ანაზღაურების სამუშაოზე ან ჩამოაყენონ დაბალ თანამდებობაზე სამ თვემდე ვადით. დისციპლინური სასჯელის სახეა აგრეთვე, სამუშაოდან დათხოვნა.

მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა, როგორც დისციპლინური სასჯელი, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა იგი არასაპატიო მიზეზით სისტემატურად არ ასრულებს თავის მოვალეობას, ხოლო ადრე უკვე იყო ამ წესით დასჯილი. სამუშაოდან დათხოვნა დასაშვებია აგრეთვე არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების გამო.

გაცდენად ითვლება არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობა მთელი დღე. გამცდენებად ჩაითვლებიან აგრეთვე ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც სამუშაო დღის განმავლობაში სამი საათით ან უფრო მეტი დროით მიატოვებენ სამუშაოს.

როგორც წესი, არასაპატიო მიზეზით ხშირად გამცდენ მუშა-მოსამსახურეებს შვებულება უმცირდებათ გაცდენილი დღეების მიხედვით, მაგრამ ისე, რომ იგი არ იყოს ორკვირაზე ნაკლები (12 სამუშაო დღე) და ჩამოერთმევათ საწარმოო პრემია მთლიანად ან ნაწილობრივ.

დისციპლინური სასჯელის დადების უფლება აქვთ მხოლოდ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებს და სხვა თანამდებობის პირებს, ვისაც იგი მინიჭებული აქვს შესაბამისი სამინისტროებისა თუ უწყებისაგან.

საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს არ გამოიყენოს დისციპლინური სასჯელი და საკითხი განსახილველად გადასცეს მშრომელთა კოლექტივს, ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

შრომის დისციპლინის დამრღვევმა სასჯელის დადებამდე უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, მაგრამ თუ უარს იტყვის ამაზე, იგი არ იქნება სასჯელის დამაბრკოლებელი გარემოება.

ადმინისტრაცია დისციპლინურ სასჯელს იყენებს გადაცდომის გამომჟღავნებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ერთი თვისა მისი გამოვლინებიდან. აქ არ შედის მუშაკის ავადმყოფობა ან მისი შვებულებაში ყოფნა. დისციპლინური სასჯელის დადება არ შეიძლება გადაცდომის ჩადენიდან ექვსი თვის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ არ ჩაითვლება სისხლის სამართლის საქმის წარმოების დრო.

შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ერთი სასჯელი. ამ დროს მხედველობაში აუცილებლად უნდა იყოს მიღებული ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, გარემოებანი, რამაც განაპირობა იგი, მუშაკის წინანდელი მუშაობა და ყოფაქცევა.

ბრძანება (განკარგულება) დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ მუშაკს გამოეცხადება (ეცნობება) ხელწერილით სამი დღის ვადაში.

საჭიროების შემთხვევაში იგი უნდა გაიცნონ აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაკებმა.

თუ დისციპლინური სასჯელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში მუშამ ან მოსამსახურემ არ ჩაიდინა რაიმე გადაცდომა ან დარღვევა, იგი თავისთავად თავისუფლდება სასჯელისაგან. ადმინისტრაციას იმის უფლებაც აქვს, რომ საკუთარი ინიციატივით ან მშრომელთა კოლექტივის შუამდგომლობით ისე მოუხსნას დადებული დისციპლინური სასჯელი პირს, რომ არ დაელოდოს ერთი წლის გასვლას, თუ რა თქმა უნდა, მუშამ ან მოსამსახურემ დაიმსახურა იგი და თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა, კეთილსინდისიერმა მუშაკმა.

შრომის კანონმდებლობისა და მოქმედი ტიპობრივი შრომითი შინაგანაწესის საფუძველზე სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, შესაბამისი პროფესიული კავშირების კომიტეტებთან შეთანხმებით, იღებენ ისეთ შინაგანაწესებს, სადაც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის დარგთა სპეციფიკა და თავისებურებები.

მიღებული შრომითი შინაგანაწესი უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე, რათა თითოეულმა მუშაკმა ბოლომდე გაიცნოს და შეისწავლოს იგი, შეუფერხებლად ისარგებლოს მინიჭებული შეღავათებითა და უპირატესობით, გააძლიეროს მომთხოვნელობა მათზე, ვინც კვლავაც უპასუხისმგებლოდ არღვევს შრომის დისციპლინას და არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას იჩენს დაკისრებული მოვალეობისადმი.

სანოტარო პრაქტიკა

როცა განსაკუთრებული წარმოების წესით სასამართლოში განიხილება საჩივარი სანოტარო მოქმედების შესრულებასა ან შეუსრულებლობაზე, მხოლოდ ის სახელმწიფო ნოტარიუსი უნდა იყოს გამოძახებული, რომელმაც გასაჩივრებული სანოტარო მოქმედება შეასრულა. „სახელმწიფო სანოტარო კანტორის წარმომადგენლად“ იმ ნოტარიუსის გამოძახებას, რომელსაც გასაჩივრებული სანოტარო მოქმედება არ შეუსრულებია, კანონი არ ითვალისწინებს.

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 30-ე მუხლის თანახმად დაინ[illegible] ყოებულ პირს, რომელსაც უმართებულოდ მიაჩნია შესრულებული სანოტარო [illegible]ება ან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა, უფლება აქვს ამის შესახებ საჩივარი შეიტანოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სახელმწიფო სანოტარო კანტორის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სანოტარო მოქმედების მართებულობა სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს აგრეთვე პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურორის განცხადებით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი).

დაინტერესებული პირის საჩივარი ან პროკურორის განცხადება განიხილება განსაკუთრებული წესით საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 253-255 და 286-288 მუხლების თანახმად.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლით დაინტერესებული პირის საჩივარი (პროკურორის განცხადება) სასამართლოს მიერ განიხილება იმ სახელმწიფო ნოტარიუსის მონაწილეობით, რომლის მოქმედების ან მის შესრულებაზე უარის თქმის გამო არის შეტანილი საჩივარი. ამასთან მისი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას საქმის განხილვისათვის.

იმ შემთხვევაში როცა სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სახელმწიფო ნოტარიუსი აღნიშნული თანამდებობიდან განთავისუფლებულია, „სახელმწიფო სანოტარო კანტორის წარმომადგენლად“ სხვა სახელმწიფო ნოტარიუსის სასამართლოში გამოძახება კანონით გათვალისწინებული არ არის და ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებს, რადგან სამართლებრივ საკითხებზე დასკვნების გაცემა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

ინდივიდუალურ მშენებელთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში არსებული ბინის გასხვისების დროს საჭირო არ არის სხვა მობინადრეთა თანხმობა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილით ინდივიდუალურ მშენებელთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი ბინა. მიუხედავად საბინაო-სამშენებლო კოლექტივის საერთო ქონების არსებობისა (კიბის მოედნები, სახურავი, ფუნდამენტი და სხვა), ყოველ ინდივიდუალურ მშენებელს, როგორც საბინაო-სამშენებლო კოლექტივის წევრს, უნარჩუნდება პირადი საკუთრების უფლება ერთ ბინაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ ბინაზე არ ვრცელდება საერთო საკუთრების წესები, თუ ეს ბინა კანონით გათვალისწინებული წესით რამდენიმე პირის საკუთრებაში არ აღმოჩნდება (იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 აგვისტოს № 539 დადგენილებით დამტკიცებული — დებულება ინდივიდუალურ მშენებელთა ძალებით ძრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ერთობლივი მშენებლობის შესახებ).

ინდივიდუალურ მშენებელთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში არსებული ბინის გასხვისების დროს ტექ-ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ გაცემულ ცნობაში მითითებული უნდა იყოს საბინაო-სამშენებლო კოლექტივის იმ წევრის გვარი, სახელი, მამის სახელი, ბინის ნომერი, მისი საერთო და საცხოვრებელი ფართობი, ვისზედაც პირადი საკუთრების უფლებით ირიცხება აღნიშნული ბინა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 10 თებერვლის № 136 დადგენილების („საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის წესის შესახებ“) შესაბამისად მიღებული სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსტრუქციით (1985 წლის 15 ივლისი № 380) „ინდივიდუალურ მშენებელთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივების მრავალბინიანი სახლები აღირიცხება მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების რეესტრში, ამასთან აღინიშნება მშენებელთა კოლექტივის ყოველი წევრის, ვისზედაც პირადი საკუთრების უფლებით ირიცხება აღნიშნული ბინა, გვარი, სახელი, მამის სახელი, ბინის ნომერი, მისი საერთო და საცხოვრებელი ფართობი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰააგის საერთაშორისო სასამართლო

ჰააგის ცენტრში მდებარეობს მშვიდობის სასახლე — ჰოლანდიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა. სწორედ აქ, ამ სასახლეში, რომელიც მშვიდობის ჰარმონიულ სიმბოლოს წარმოადგენს, იკრიბება საერთაშორისო სასამართლო.

საინტერესოა თვით საერთაშორისო სასამართლოს შექმნის ისტორია. 1898 წელს რუსეთმა წამოაყენა წინადადება საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო იმ დროისათვის საგანგაშოდ მზარდი შეიარაღების შეზღუდვისათვის. საფრანგეთ-პრუსიის 1872 წელს დამთავრებული ომი საუკუნის ბოლომდე ისტორიაში ცნობილია, როგორც „საბრძოლო მშვიდობის" პერიოდი. დროდადრო სხვადასხვა რეგიონებში კონფლიქტები წარმოიქმნებოდა ხოლმე, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ევროპაში მწვავდებოდა იმპერიალისტური ურთიერთობანი. ყველა გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა მშვიდობის საწინააღმდეგო ხანძარი. ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფოებმა ინტენსიური შეიარაღება დაიწყეს — სტარტი მიეცა გამალებულ შეიარაღებას. შესაძლებელი კატასტროფის თავიდან აცილებისა და ომის საშიშროების შემცირების მიზნით 1899 წლის 18 მაისს ჰააგაში, „ხაიუს ტენ ბოშში" („სახლი ტყეში"), ჩატარდა პირველი სამშვიდობო კონფერენცია.

თუ ამ კონფერენციის შედეგებით ვიხელმძღვანელებთ, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო შეიარაღებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ მან კრახი განიცადა. მაგრამ კონფერენციის ჩატარებამ თავისი დადებითი შედეგებიც გამოიღო. მიღებულ იქნა კონვენცია, რომლის თანახმადაც საერთაშორისო კონფლიქტს მშვიდობიანი გზით მოაგვარებდა სასამართლო არბიტრაჟი.

ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც კონფლიქტის მოსაგვარებლად არბიტრაჟის დახმარებას მიმართავენ. ერთ-ერთ ასეთ ცნობილ მაგალითს წარმოადგენს ე. წ. „ალაბამას" საქმე, რომელსაც საფუძვლად დაედო კონფლიქტი აშშ-სა და ინგლისს შორის. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ომის დროს, აშშ-ის სამხრეთის შტატებმა გამოიყენეს ლივერპულში აგებული ხომალდი „ალაბამა". ინგლისი იძულებული გახდა ფულადი ჯარიმა გადაეხადა და ამით დასრულდა კიდევაც ეს კონფლიქტი.

პირველ მშვიდობიან კონფერენციაზე დაფუძნებულმა საერთაშორისო სასამართლომ სახელად მუდმივი სამართლიანობის სასამართლო მიიღო, საქმეებს ხუთი წევრისაგან შემდგარი ჯგუფი იხილავდა, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში იკრიბებოდნენ. მშვიდობის კონფერენციამ 1899 წელს გადაწყვიტა, რომ სასამართლოს მუდმივი ადგილსამყოფელი ჰააგა იქნებოდა.

რუსეთის წარმომადგენელს ფეოდორ მარტენსს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პირველ სამშვიდობო კონფერენციაში, მიაჩნდა, რომ საერთაშორისო სასამართლოს თავისი შენობაც უნდა ჰქონოდა. შენობის ასაგებად საჭირო იყო ხოლიდური თანხა, მარტენსის არაერთმა ცდამ შედეგი არ გამოიღო. მშვიდობის სასახლისათვის თანხები ამერიკელმა მილიონერმა ენდრიუ კარნეგიმ გაიღო. ე. წ. „კარნეგის ფონდმა" კონკურსი გამოაცხადა საუკეთესო პროექტისათვის. პირველი პრემია ფრანგ არქიტექტორს, ქალაქ ლილის მკვიდრს ლ. მ. კორდონირს ერგო. სასახლის აშენებაში მას ჰოლანდიელი არქიტექტორი ვამდერ სტიური ეხმარებოდა. 1907 წლის 30 ივლისს მეორე სამშვიდობო კონფერენციის დელეგატთა თანდასწრებით კონფერენციის პრეზიდენტმა, რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ე. ნელიდოვმა საფუძველი ჩაუყარა მშვიდობის სასახლეს, რომლის მშენებლობაც 1913 წელს დასრულა. რამდენიმე წლის შემდეგ ეროვნებათა ლიგის საბჭომ მოთათბირეთა კომიტეტში 10 იურისტი დანიშნა. მშვიდობის სასახლეში შეკრებილი ეს კომიტეტი რამდენიმე კვირის მანძილზე ადგენდა „საერთაშორისო სამართლიანობის მუდმივი სასამართლოს წესდებას". იმავე წელს პროექტი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებულ იქნა და მშვიდობის სასახლე საერთაშორისო სასამართლოს რეზიდენციად იქცა. 1922-1940 წლებში სასამართლომ 31 განაჩენი გამოიტანა და 26 იურიდიული რჩევა მისცა.

1940 წლის მაისში ჰოლანდიაში ფაშისტების შეჭრის შემდეგ საერთაშორისო სასამართლომ შეწყვიტა თავისი საქმიანობა.

1944 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირმა, აშშ-მა, ჩინეთმა და ინგლისმა წამოაყენეს პროექტი ახალი ორგანიზაციის შექმნის თაობაზე, რომელიც ხელს შეუწყობდა მშვიდობის უშიშროებას. ასეთად იქცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე „სამართლიანობის საერთაშორისო სასამართლოს" აღდგენას, რომლის გახსნის საზეიმო ცერემონიალი შედგა კიდევაც 1941 წლის 18 აპრილს.

საერთაშორისო სასამართლოს 15 პირის შემადგენლობით ირჩევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო. ამჟამად მის შემადგენლობაში შედიან 5 სახელმწიფოს მოსამართლე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები და აგრეთვე პოლონეთის, ინდოეთის, ალჟირის, იაპონიის, ბრაზილიის, სენეგალისა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. მსაჯულებს 9 წლის ვადით ირჩევენ, ხოლო ყოველი 5 წლის განმავლობაში კოლეგიის შემადგენლობა თითქმის მესამედით იცვლება.

თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე საერთაშორისო სასამართლომ 70-ზე მეტი საქმე განიხილა: გამოიტანა 46 განაჩენი და 18 საკონსულტაციო დასკვნა. კონკრეტულ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ინგლისსა და ნორვეგიას შორის თევზჭერის გამო გამოწვეული კონფლიქტი; ლიბიასა და ტუნისის, ლიბიასა და მალტას შორის სასაზღვრო ზოლის გავლება.

კონფლიქტში გახვეული სახელმწიფოები აუცილებლად უნდა აღიარებდნენ სასამართლოს იურისდიქციას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი აუცილებლად უნდა შესრულდეს. 1984 წლიდან საერთაშორისო სასამართლო განიხილავს ნიკარაგუას საჩივარს აშშ-ის სამხედრო მოქმედების გამო. ამ სახელმწიფოს მიმართ განხილვის პირველი სტადია დროებითი ზომების მიღებას გულისხმობდა. სასამართლომ დაავალა აშშ-ს, შეწყვიტოს ნიკარაგუას ნავსადგურების დანაღმვა და დაადგინა, რომ დაცულ იქნეს მისი სუვერენიტეტი და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. სხვა შემთხვევაში ყოველგვარი სამხედრო თუ ნახევარსამხედრო მოქმედება ეწინააღმდეგება არსებულ წესდებას. ისიც ცნობილია, თუ როგორ ასრულებს აშშ საერთაშორისო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას. კიდევ უფრო მეტი — ნიკარაგუას საჩივრის განხილვისას აშშ-მა უარი განაცხადა საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის აღიარებაზე.

1986 წლის აპრილში საერთაშორისო ორგანიზაციამ თავისი არსებობის 40 წლისთავი აღნიშნა. საზეიმო ცერემონიალზე, რომელიც ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა, მრავალი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობამ კიდევ ერთხელ ცხადყო საერთაშორისო სასამართლოს ავტორიტეტი და მსოფლიო საზოგადოებრიობის რწმენა, რომ ყოველგვარი სადავო საკითხი სამართლიანი გზით უნდა იყოს მოგვარებული.

მალხაზ რადიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ედუარდ ყიფიანი, თამაზ შავგულიძე

„დოქტორი“

მამიას ნათქვამი გამართლდა — გამთენიისას აღარ თოვდა. მალე მზემაც გამოაჭყიტა და თოვლიც სწრაფად დადნა. ასე რომ, როცა გოჩა და მამია მოადგნენ ჭიშკარს, თოვლი მხოლოდ ჩრდილებშიღა იყო შემორჩენილი...

ბუხარს მიუსხდნენ. ბიძინამ სქელი საქაღალდე დაიდო მუხლებზე და იკითხა: — ვიდრე საქმეს შევუდგებოდეთ, შეკითხვა ხომ არ გაქვთ რაიმე...

— კი, მაქვს კითხვა, — გამოცოცხლდა მამია, — პაპუნა გვეტაძე გეცოდინება, თავგამოდებული მონადირე იყო, შვილიშვილიც მის კვალს გაჰყვა. ჰოდა, ამას წინათ აიღო თოფი და სანადიროდ წავიდა, თან ამხანაგებიც გაიყოლა...

— რამხელა იყო?

— მეათე კლასში სწავლობდა... ტყეში პაპუნას ძმისწული შემოაკვდა. ტყიბულში იყო სასამართლო. ბიჭს ორი წელი მისცეს, პაპუნას კი — ერთი!

— რა გიკვირს მერე?!

— რა და, პაპუნა იმ საშინელი შემთხვევის დროს ქუთაისში იყო და... რას ერჩოდნენ?!

— მოიცა მოიცა! — შეაჩერა ბიძინამ, — როგორც ჩანს, არ დასწრებიხარ იმ სასამართლოს.

— არა, მაგრამ ბიჭიც დაიჭირეს და ბაბუაც. ეს ნამდვილად ვიცი.

— ის თოფი ხომ პაპუნასი იყო?

— კი.

— ჰოდა „დაუდევრად“ ჰქონია შენახული.

— დაუდევრად რას ჰქვია! ჩემი თოფიც კედელზე მაქვს ჩამოკიდებული, ტყვიები კი უჯრაში მიწყვია...

— იცოდე, იმ შენი თოფით რომ მარცხი მოხდეს, შენც მოგთხოვენ პასუხს.

— რატომ, ვითომ...

— პაპუნა იმიტომ კი არ დაუსჯიათ, რომ იმ ბიჭის ბაბუა იყო! გარკვეულ ვითარებაში პასუხისმგებლობა მშობელსაც ეკისრება, მხოლოდ, არასისხლისსამართლებრივი. სისხლის სამართლის წესით პასუხს მხოლოდ ის აგებს, ვინც დანაშაულს ჩაიდენს. თოფი კედელზე კი არ უნდა გეკიდოს, არამედ, დაშლილი, შალითაში ჩადებული და საიმედოდ შენახული უნდა გქონდეს. ეს პირობა კი არ დაუცავს პაპუნას... ყველა მონადირემ უნდა იცოდეს ეს!

— აჰა, გასაგებია, ბატონო! ერთი შეკითხვა კიდევ... ვახტანგს... ჩემს შუათანა ვაუზე გეუბნები, ქუთაისის ავტოქარხანაში მუშაობს ინჟინრად, „ჟიგულის“ ყიდვა უნდოდა, მაგრამ ქარხანამ „ვოლგა“ შესთავაზა. ცოტა მე მივეცი, ცოტაც ისესხა, თვითონაც ხომ ქონდა და იყიდა. ერთი წლის შემდეგ ქალიშვილი გაათხოვა. ვალს ვალი მიუმატა, რა ექნა, ადგა და „ვოლგა“ 20 ათასად გაყიდა. თვითონ „ნივა“ შეიძინა, სიძეს კი ნახმარი „ჟიგული“ უყიდა, ვალიც გაისტუმრა და ორიოდე კაპიკიც დარჩა. არ მომეწონა მისი საქციელი, სპეკულაციაა-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ, მანქანა ჩემია და, რასაც მინდა, იმას ვუზამო.

— გასაგებია! მოსაწონი საქმე არ ჩაუდენია, მაგრამ სპეკულაცია მაინც არ არის...

— თხუთმეტად რომ იყიდა და ოცად გაყიდა?

— სპეკულაცია სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად არის გამოსარჩენად რაიმეს ყიდვა და, შემდეგ, უფრო ძვირად გაყიდვა. ასეთ კაცს ან ჯარიმას გადაახდევინებენ, ან ორი წლით გამასწორებელ სამუშაოს მიუსჯიან. ორი წლით თავისუფლების აღკვეთაც არის, მდგომარეობას გააჩნია. ქონების კონფისკაციასაც კი გულისხმობს ეს მუხლი, თუ სპეკულაცია დამამძიმებელ გარემოებაში მოხდა... დიდი ოდენობით, განმეორებით და სხვა, ორიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა.

პირველი ნაწილის დასასრული. დასაწყისი იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1986 წ. № 1, 2, 3, 4, 5, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სპეკულაცია არაერთგზის არის ჩადენილი ან ეს პირი ამ საქციელისათვის ადრე ნასამართლევიც იყო, ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ეკუთვნის. ხედები, რა ხდება?! ვახტანგს საგანგებოდ გასაყიდად ხომ არ შეუძენია ის „ვოლგა“?!

— არა.

— თავისთვის იყიდა. შემდეგ, ვითარება შეიცვალა და გაყიდა. ეს არ არის სპეკულაცია. თუმცა, უფრო ძვირად გაყიდვაც არ შეიძლება. წესით ის 5 ათასი მანეთი სახელმწიფო ანგარიშზე უნდა გადარიცხულიყო.

— გასაგებია. ახლა ერთი რამ გამახსენდა და მისმინე, თუ კაცი ხარ, — არ ცხრებოდა მამია, — ერთხელ, ეს ჩემი ვაუბატონი აჰყოლია გოქაძის ბიჭს, უბედური ჰყავს გამჩენს, სადღაც გამოუწვავი კირი უშოვიათ, ჩაუყრიათ ღვაღვანაში და მოუწამლავთ. ერთი კალათა თევზით მომადგა კარზე. იმწამსვე მივხვდი, ეს ღლაპი მთელ კალათ თევზს როგორც დაიჭერდა! არც დაუმალავს, ნახე, კირით რამდენი თევზი დავიჭირეო.

— რამდენი წლის იყავი მაშინ? — ჩაეკითხა ბიძინა გოჩას.

გოჩამ თავი ჩაღუნა: — თხუთმეტის.

— გოქაძის ბიჭი?

— ჩვიდმეტის.

— თხუთმეტი წლის ბიჭი ასეთი საქციელისთვის სისხლის სამართლის წესით არ ისჯება, ხოლო იმ ახალგაზრდას, მოიცა, არც მე მახსოვს ზუსტად, — ბიძინა კოდექსს გადასწვდა, გადაშალა, 175-ე მუხლი წაიკითხა: „თევზის ან სხვაგვარი მოპოვებითი წყალსარეწი საქმიანობა ტერიტორიულ წყლებში, მდინარეებში, ტბებში, ტბორებსა და წყალსაცავებში აკრძალულ დროს, ნებადაურთველ ადგილებში და ნებადაურთველი საჭერი იარაღით, საშუალებით ან ხერხით, თუ იგი ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში დღიდან ასეთი მოქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორას მანეთამდე, მთელი მოპოვებულის ან საჭერი იარაღის კონფისკაციით. ასე რომ, გოქაძის ბიჭი ოთხ წლამდე ციხეს გადარჩენილა... მსგავსი მუხლებია აგრეთვე 177-ე, 178-ე და 180-ე.

— რას ჰქვია მსგავსი?

— რას და... არ შეიძლება ნაკრძალებში და აღკვეთილ ადგილებში ნადირობა... შეიძლება ნაკრძალი არ იყოს, მაგრამ დრო იყოს ნადირობისთვის აკრძალული, ან ისეთი ნადირი ან ფრინველია, „წითელ წიგნში“ რომ არის შეტანილი. ტრანსპორტით ნადირობაც არ შეიძლება. მანქანით რომ დასდევენ ხოლმე ღამე კურღელს, მელას... ნადირობამ დიდი ზარალიც არ უნდა გამოიწვიოს, ეს წესები თუ არ დაიცავი, რა თქმა უნდა, დაისჯები: ნანადირევს და ნადირობის საშუალებას ჩამოგართმევენ, დაგაჯარიმებენ. ხოლო თუ კიდევ გაიმეორე, ბოდიშობანას აღარ დაგიწყებენ, გამასწორებელი სამუშაოებიც შეიძლება მოგისაჯონ და სამი წლით პატიმრობაც. ტყის უკანონო გაჩეხვაც ისჯება, მაგალითად პარკებში, ნაკრძალებში, მეცნიერული და ისტორიული მნიშვნელობის ტყეებში, აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ჩვენში მიწა ნაციონალიზებულია, ესე იგი, მიწა კერძო საკუთრება არ არის, იგი სახელმწიფოსია, საკარმიდამო ნაკვეთი პირადი სარგებლობისთვის გაქვს და არა საკუთრებად, ამიტომ, თუ მიწის ნაკვეთი ვინმეს აჩუქე, დააგირავე, იჯარით გაეცი ან გაყიდე, ამით კანონს დაარღვევ. თუ ასე გაყიდულ ან ნაჩუქარ მიწაზე რამე არის აშენებული, დაანგრევენ ან ჩამოგართმევენ, ჯარიმასაც გადაგახდევინებენ. გარემოებას გააჩნია, შეიძლება, ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთაც მოგისაჯონ...

— ერთი კიდევ და...

— შენ ეს „ერთი“ არ გელევა, მამია, მთელ კოდექსს ხომ არ წაგიკითხავ!

— ბარემ არაყის გამოხდაზეც გვითხარი რამე...

ბიძინამ კოდექსი აიღო, გადაშალა და შიგ ჩადებული ფურცელი ამოიღო:

— ეს კანონის ახალი რედაქციაა. 173-ე მუხლის თანახმად: „გასაღების მიზნის გარეშე შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების გამოხდა, გასაღება, შენახვა, გასაღების მიზნის გარეშე შინნახადი არაყის, ჭაჭის არაყის, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, გასაღების მიზნის გარეშე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით სამას მანეთამდე. იგივე მოქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე. გასაღების მიზნით შინნახადი არაყის, ჭაჭის არაყის, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, ანდა გასაღების მიზნით მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა, აგრეთვე აღნიშნული სპირტიანი სასმელების ან აპარატების გასაღება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოდ, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ანდა ჯარიმით ხუთასიდან ათას მანეთამდე. ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული მოქმედებანი ჩადენილი განმეორებით — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით. იგივე ქმედობა ჩადენილი განმეორებით — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით“. ამით კითხვა-პასუხი მოვრჩეთ და დავიწყოთ ახალი ამბავი, — თქვა ბიძინამ და საქაღალდე გადაშალა: — სხვადასხვა საბუთებიდან ამოვიწერე ის ადგილები, რაც ერთ კერძო დანაშაულს ეხებოდა, მაშ, ასე...

მილიციის რაიონული განყოფილების ოპერატიული ცნობა 1982 წლის 15 ოქტომბერი

1982 წლის 14 ოქტომბერს ღამის სამ საათზე „2106“ მარკის მწვანე ფერის „ჟიგულით“ (ბ 3886 გა) შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ნიკოლოზ დავითის ძე ღვინჯილია, 40 წლის, თბილისის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე, მცხოვრები თბილისში ვ. ბარნოვის ქ. № 133. წინა დღით, 13 ოქტომბერს, 13 საათზე უცნობმა პირმა მოიტაცა ნ. ღვინჯილიას შვილი თამარ ღვინჯილია, თბილისის 215-ე სკოლის მესამე კლასის მოსწავლე.

ამონაწერი ნანა ღვინჯილიას ჩვენებიდან

ჩვენს შვილს, თამრიკოს, სწავლა პირველის ნახევარზე უმთავრდებოდა. 13 ოქტომბერს თერთმეტ საათზე ქალმა დარეკა, პიონერთა ხელმძღვანელი ვარ, ბავშვები თოჯინების თეატრში მიჰყავთ ავტობუსით და მასწავლებლის დავალებით ვრეკავო. ოთხ საათზე მოაკითხეთ სკოლაში და წაიყვანეთო. სკოლა მოშორებით არის, ბავშვი მეუღლეს მოჰყავს ხოლმე მანქანით. დავურეკე ჩემს მეუღლეს, ოთხი საათისათვის მე მივალ და ბავშვს გამოვიყვან-მეთქი. ოთხზე რომ მივედი, თამრიკო ვერ ვნახე, ვერც მისი მასწავლებელი. დირექტორთან შევედი: დღეს თეატრში არავინ წაგვიყვანია, III-ა კლასი, როგორც ყოველთვის, პირველის ნახევარზე გავუშვით შინო. რა მექნა, დავბრუნდი, იქნებ გზაში ამცდა-მეთქი. შინ არ დამხვდა. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც ვაჟმა დარეკა, თამრიკო საიმედო ადგილზეა და თუ ორმოცდაათ ათას მანეთს არ მოგვცემთ, მოვკლავთო. ამ დროს ნიკოც მოვარდა; სამსახურში მისთვისაც დაერეკათ, ფული გაამზადე, კიდევ დავრეკავთ, თუ ვინმეს გაუმხელთ, ბავშვს ვეღარ იხილავთო.

რა უნდა გვექნა?! ნიკო დატრიალდა, მაგრამ ხუთი ათასზე მეტი ვერ იშოვა... ღამის სამ საათზე დარეკეს: ახლავე წამოიღე ფული, კახეთის გზატკეცილზე გამოდი მანქანით, თან არავინ წამოიყვანო, ნელა იარე, აგედევნება თეთრი „ვოლგა“, „გაზ 24“, თუ იმ მანქანიდან დიდი დედოფალა დაგანახეს, მანქანა გააჩერეო.

ნიკო მაშინვე წავიდა და აღარ დაბრუნებულა, იმედი დავკარგე და მილიციაში დავრეკე.

გამოძიებლის ჩანაწერებიდან

1982 წლის 16 ოქტომბერი.

ნიკოლოზ ღვინჯილიას მანქანა არ აღმოჩნდა კახეთის გზატკეცილზე, გამოცხადდა მანქანის ძებნა.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ვნახე თამრიკო ღვინჯილიას ოცდათექვსმეტი თანაკლასელი:

— ბავშვებო! თქვენი ამხანაგი თამრიკო ღვინჯილია მესამე დღეა არ გამოჩენილა. არ იცით, სად არის?

ბავშვები ხმაგაკმენდილი მომჩერებოდნენ. ბოლოს, ერთმა გოგონამ გაუბედავად ასწია ხელი:

— გუშინწინ... არა, იმის წინ, მე და თამრიკო ერთად წავედით სკოლიდან, ქუჩაში ერთმა კაცმა დაგვიძახა. მანქანაში იჯდა. ძივედით. გვითხრა, თამრიკოს მამამ გამომგზავნა, ბებიასთან უნდა წავიყვანო მცხეთაშიო. წავედით. მე შინ მიმიყვანა.

— არ უკითხავს, სად ცხოვრობო?

— არა, იცოდა; პირდაპირ მიმიყვანა. ჩვენ, მე და თამრიკო, ხან მამაჩემს მივყავართ, ხან თამრიკოს მამას, ზოგჯერ თამრიკოს მამა თავის ამხანაგებს აგზავნის ხოლმე.

— ის კაცი პირველად ნახე მაშინ?

— დიახ, პირველად.

— როგორი კაცი იყო; მსუქანი, გამხდარი, მაღალი?

— ახალგაზრდა იყო, ჯინსები ეცვა. კამფეტები მოგვცა.

— რა მანქანა იყო?

— თეთრი იყო...

— თეთრი „ვოლგა“ იყო, 24-ი! — წამოიძახა ადგილიდან ბიჭმა.

— ნამდვილად თეთრი „გაზ“-24 იყო?

— დიახ, ნომერი ორი ხუთიანით მთავრდებოდა... იმ დღეს მეც ორი ხუთიანი მივიღე და იმიტომ მახსოვს...

ბავშვებმა გულიანად გაიცინეს.

— კიდევ რა დაინახე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სკოლის წინ იდგა. დავინახე, რომ მზია და თამრიკო სხდებოდნენ...

მეტი ვერაფერი შევიტყვე.

მილიციის რაიგანყოფილების ოპერატიული ცნობა

1982 წლის 12 ოქტომბერი.

დაიკარგა თბილისის პირველი ტაქსომოტორის პარკის მანქანა; თეთრი „ვოლგა" — გაზ-24. ნომერი 63-55 გაა. მანქანა იძებნება.

ამონაწერი ჩვენებიდან

1982 წლის 30 ოქტომბერი.

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, ვიღაცამ დამირეკა, შენი შვილი თამრიკო ღვინჯილია დამალული გვყავს საიმედო ადგილას, თუ გინდა ცოცხალი ნახო, ორმოცდაათი ათასი მანეთი მოამზადეო... თუ ვინმესთვის გაგიმხელია ეს ამბავი, ბავშვს დანით გამოვჭრით ყელსო. დამცეცხლა; ვიღაც ხომ არ მეხუმრება-მეთქი. შინ დავრეკე. არავინ იღებდა ყურმილს. მაშინვე შინისკენ გავქანდი. ჩემს მეუღლეს ადამიანის ფერი აღარ ედო. მეც ასე დამირეკესო, მითხრა. სკოლაშიც ვიყავი, ბავშვი არსად ჩანსო... ღამის სამზე დარეკეს, ფული თუ მოამზადეო, კი-მეთქი. აბა, რა მეთქვა, ბავშვს ხომ ვერ გავწირავდი!

ისე ვიყავი დაზაფრული, ფულზე საერთოდ არ მიფიქრია, ანდა, შუა ღამით ამდენი ფული რა საბაბით მეთხოვა. სულ ხუთი ათასი მქონდა სახლში, წავიღე და გავიქეცი. ვიფიქრე, მივცემ, ავუხსნი ამდენი ფულის ასე სწრაფად შოვნა შეუძლებელია, ცოტა მადროვეთ-მეთქი.

გამომძიებლის ჩანაწერიდან

1982 წლის 17ოქტომბერი.

თამრიკო ღვინჯილია შინ დააბრუნეს. გოგონა ტახტზე იჯდა, მკერდში დიდი, თითქმის მისი ტოლა თოჯინა ჩაეხუტებინა. მაინცდამაინც შეშინებული არ ჩანდა. გამოველაპარაკე:

— ეს თოჯინა ვინ გაჩუქა, თამრიკო?

— გენო ბაბუმ.

— გენო ბაბუამ წაგიყვანა სკოლიდან?

— არა, ახალგაზრდა იყო. გენო ბაბუა თეთრი წვერებიანია.

— სკოლიდან რომ წაგიყვანა, იმ კაცს რა ერქვა?

— არ ვიცი.

— რა ეცვა, გახსოვს?

— კი, ჯინსები და სვიტერი.

— სად წაგიყვანა?

— დიდხანს რომ ვიარეთ, მივხვდი, მცხეთაში არ მივდიოდით. შემეშინდა. ვიტირე. გამიწყრა: ჩუმად იყავი, თორემ, ყურებს დაგაჭრიო. უკან ჩაწექიო. მიბრძანა, მშიოდა, მერე დამეძინა. დილით სხვა მანქანაში გადამსვეს, ჯოტო ბაბუას რომ ჰყავს ისეთში...

— „კოლხოზნიკი" — განმარტა ნანა ღვინჯილიამ.

— ღამე მანქანაში გეძინა?

— ჰო. დილით სადღაც სოფელში მივედით. იქ კიდევ ორი... არა, სამი კაცი იყო, გენო ბაბუაც იმას გაუწყრა, რატომ წამოიყვანე ბავშვი, თანაც დაგიმშევიაო. კარგი კაცი იყო, რომ გაიგო 9 წლის გავხდი, ეს თოჯინა მაჩუქა. მთელი დღე ვსეირნობდით და მეთამაშებოდა, ირგვლივ სულ მთები იყო, სახლები კი ცოტა, თანაც შიგ არავინ ცხოვრობდა, კარ-ფანჯრები ფიცრებით იყო აჭედილი.

— აბა, გაიხსენე, სულ რამდენი კაცი ნახე!

—ერთი ვინც წამიყვანა, გენო ბაბუა და ორიც კიდევ სხვა... ისინი ხან მიდიოდნენ, ხან ისევ მოდიოდნენ...

— ქალი არავინ იყო?

— არა.

— შინ წაყვანას არ ითხოვდი?

— როგორ არა! მამაშენი მოვა აქ და ის წაგიყვანსო.

— სხვებს რა ერქვათ?

— არ ვიცი. გენო ბაბუა ექიმი იყო, დოქტორს ეძახდნენ...

— მერე, მერე?

— მერე, გენო ბაბუამ მამასთან წამიყვანა. მთელი ღამე ერთად ვიყავით. ოთახში თავ ეყარა. იქ ვიწექით. ასე მითხრა, შენს საძებნელად წამოვედი და მანქანით ხეს დავეჯახეო. სახე დასიებული ჰქონდა. შენ დილით წაგიყვანენ და მე ზეგ ჩამოვალ, მანქანას უნდა მივხედოო, წუხელ ასე მითხრა.

— რა ერქვა იმ სოფელს, ხომ არ იცი?

— მე კი არა, გენო ბაბუამაც არ იცოდა, მე მკითხა, ამ სოფელს რა ჰქვიაო...

ამონაწერი აფხაზეთის ასსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო განყოფილების პატაკიდან

1982 წლის 18 ოქტომბერი.

1982 წლის 14 ოქტომბერს ვასილ აქვსენტის ძე თევზაძემ, დაბ. 1960 წ. მცხოვრებმა ქალაქ საგარეჯოში, ვაზისუბნის ქ. № 11, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა კახეთის გზატკეცილის მე-19 კილომეტრიდან გა-

ტაცა უმეთვალყურეოდ მიტოვებული „2106“ მარკის მწვანე ფერის „ჟიგული“ სახელმწიფო ნომრით ბ 38-86 გა. იმავე დღეს თევზაძე დაუკავშირდა ზაზა ნოდარის ძე ბერაიას, დაბ. 1960 წ. მცხოვრებს ქალაქ საგარეჯოში, ჭავჭავაძის ქუჩა № 21, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტს. თევზაძემ და ბერაიამ მოტყუებით ჩასვეს ბერაიას თანაკლასელი ნანა ესტატეს ასული თოდაძე და ბერაიასთვის ცოლად შერთვის მიზნით გაიტაცეს გალის რაიონის სოფელ ლიაში. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად თევზაძე და ბერაია დაკავებული არიან.

გოჩამ რაღაცის თქმა დააპირა. ბიძინამ კითხვას თავი ანება და მას მიაცქერდა.

— ამდაგვარი რამ ჩემმა ორმა ნაცნობმაც ჩაიდინა. მოპარული მანქანით ქალი მოიტაცეს. იმ გოგოს, თურმე, ჰყვარებია მომტაცებელი, მაგრამ მშობლები ყოფილან უარზე.

— რა ბედი ეწიათ? — ჰკითხა ბიძინამ.

— ჩაფარცხეს საქმე. გოგო თანახმა იყო. ქალის მშობლები კი ფაფხურობდნენ პატარა ხანს, მაგრამ ისინიც შეირიგეს. რომ ეჩივლათ, ქურდობისთვის დაიჭერდნენ ალბათ...

— არა, ეს ქურდობა არ არის! ქურდობის მიზანი მანქანის გაძარცვა ან მითვისება უნდა იყოს... თევზაძეს და ბერაიას მანქანის არც გაძარცვა უნდოდათ და არც — მითვისება. დროებით გამოიყენებდნენ და შემდეგ დააბრუნებდნენ, ასე დაადგინა გამოძიებამ.

— არ დასჯიდნენ?

— 243-ე მუხლის თანახმად „სატრანსპორტო საშუალებების, ესე იგი, ყველა სახის ავტომობილების, ტრაქტორების და სხვა თვითმავალი მანქანების, ტრამვაი-ტროლეიბუსების, აგრეთვე მოტოციკლების და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ანდა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ან ჩადენილი სიმთვრალეში, ან პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება არა აქვს, ანდა დაკავშირებული ძალადობასთან, რომელიც საშიში არაა დაზარალებულის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა, ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცება, რაც დაკავშირებულია დაზარალებულის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან რვა წლამდე.“

— კარგა გვარიანი სასჯელია — წამოიძახა მამიამ, — თვითმფრინავის გატაცებისთვის უმაღლესი ზომაც კი არისო.

— კი, თუ გატაცებას მსხვერპლი მოჰყვება. თუ არა, მაშინ სამიდან ათ წლამდეა.

— ისე, დახვრეტა, რა ვიცი, ნამეტანი მგონია...

— ვიღაც ტუტუცი რომ ასობით ადამიანს საფრთხეში აგდებს, სხვათა სიცოცხლეს შეიწირავს, როგორ, არ ეკუთვნის დახვრეტა?! — გაცხარდა ბიძინა.

— ის გოგო ცოლად მოიყვანა ბიჭმა? — თემა შეცვალა გოჩამ, — გოგო გაჯიუტდა, ჯერ შინ მიმიყვანეთ, მაგაზე მერე ვილაპარაკოთო... მაინც დასაჯეს.

— ქალის გატაცება ცოლად შერთვის მიზნით გამასწორებელი სამუშაოებიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, გააჩნია ვითარებას. ახლა კი განვაგრძოთ...

ამონაწერი საარქივო მასალიდან

1949 წლის 20 თებერვალს მილიციის რაიგანყოფილებაში შემოვიდა ცნობა: ქურდების ჯგუფი ერთ-ერთი სახლის სარდაფში ზარს თამაშობდა. ოთხი მათგანი დააკავეს, ერთი გაიქცა. დაკავებულთაგან ერთ-ერთს, მარატ შავდიას, სტუდენტს, პალტოს ჯიბეში აღმოაჩნდა ფული, „ტტ“-ს სისტემის პისტოლეტი და მორფის 20 ამპულა. პისტოლეტში ტყვია არ ყოფილა. მარატ შავდიამ უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე და წინასწარ პატიმრობის საკანში შიმშილობა გამოაცხადა.

მარატ ლავრენტის ძე შავდიას დახასიათება

მარატ ლავრენტის ძე შავდია დაიბადა 1926 წელს ქ. თბილისში. საშუალო სკოლაში ბეჯითი და მორიდებული მოსწავლე იყო. განსაკუთრებულ ნიჭს იჩენდა მათემატიკურ საგნებში. ამ ხანაგებს შორის ავტორიტეტით სარგებლობდა. გატაცებულია სპორტით, თავისუფალ ჭიდაობაში აქვს პირველი თანრიგი. მშობლები ადრე გარდაეცვალა. გაზარდა ბებიამ.

1944 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა.

ალკ-ს წევრი არ არის.

1944 წლის 30 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამონაწერი ნიკოლოზ ღვინჯილიას ჩვენებიდან

1982 წლის 3 ნოემბერი.

კახეთის გზატკეცილზე რომ გავედი, თეთრი „ვოლგა“ დავინახე; ბნელში იდგა, ნომერი ვერ გავარჩიე. ნელა ჩავუარე გვერდი. უკან გამომყვა. ერთხანს ასე ვიარეთ. მერე, გამასწრო და მანქანის სარკმელში დედოფალა დავინახე. გაჩერა. მეც გავჩერდი. გადავედი და მანქანას მივუახლოვდი. შიგ მხოლოდ მძღოლი იჯდა. თავი ჩემსკენ არც მოუბრუნებია, ისე მანიშნა, ჩაჯექი უკანო. ჩავუჯექი. ფულიო, ერთი სიტყვა მითხრა მხოლოდ. აგერ ხუთი ათასი და დანარჩენს მერე გიშოვითმეთქი. ხმა არ ამოუღია. ძალიან მოკლე სიგნალი მისცა. იქვე, სიბნელიდან ორი კაცი გამოვიდა, მანქანასთან მოვიდნენ და აქეთ-იქიდან შემომისხდნენ. მანქანა დაიძრა და წავედით. სად მიდიხართ-მეთქი. მარჯვნივ მჯდომმა დანის წვერი მომაბჯინა ყელზე, მეორემ რაღაც ჩამომაფხატა თავზე, მერე ხელებიც გამიკრეს ზურგსუკან და ასე დიდხანს ვიარეთ. სადღაც რამდენიმე საათი ვიდექით კიდეც, ორიენტაცია დავკარგე ვეღარ განვსაზღვრე, სად ვიყავით — იქვე ახლოს, თუ — შორს. მეორე დღეს, როგორც იქნა, სადღაც მივედით, ბოლო რამდენიმე კილომეტრი უასფალტო გზაზე ვიარეთ. თვალახვეული შემიყვანეს სადღაც, ხელები გამიხსნეს, თვალსახვევიც მომაძრეს და მარტო დამტოვეს. სოფლური სახლის პირველ სართულზე ვიყავი დამწყვდეული. კედლები ქვით იყო ნაგები. მაშინვე დავასკვენი, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში უნდა ვყოფილიყავი სადღაც. ქვის ასეთი წყობა იქ იციან. ოთახში ავეჯი არ იდგა, იატაკზე ეყარა მხოლოდ თივა. სახლი მიტოვებული ჩანდა. ოთახს ცერის სიმსხო გისოსებიანი სარკმელები ჰქონდა ცალ მხარეს. სარკმლიდან ვრცელი სივრცე ჩანდა. სახლი მთის ფერდობზე უნდა ყოფილიყო დადგმული. წინ, თითქმის ჩაშლილი ღობის გასწვრივ, ღრმა და ფართე ხეობა უნდა ყოფილიყო. თითქოს მეცნო კიდეც იქაურობა. იმ დღეს არავის გავხსენებივარ. მეორე დილით კი ის ორი კაცი შემოვიდა, მანქანაში რომ მესხდნენ. ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის თუ იქნებოდნენ. ორმოცდახუთი გაქვს კიდევ დასადებიო, მითხრა ერთმა. ბავშვი სად არის-მეთქი. შაგრად გამარტყა, შენ რასაც გეუბნები, იმაზე მიპასუხეო. ვიდრე ბავშვს არ მაჩვენებთ არაფერს გეტყვით-მეთქი. კიდევ შემომკრა, წავიქეცი, ერთი-ორი წიხლიც მომაყოლა და წავიდნენ. რომ შემოვიდნენ კარი ღია დატოვეს. კვლავ გამიელვა გონებაში ამ სოფელში ნამდვილად ნამყოფი ვარ-მეთქი.

საღამოს წყალი და პური შემომიდგეს. ბავშვზე დარდით გული მეწურებოდა, იმ დღეს ხომ ცხრა წელი შეუსრულდა. ისეთი ხალხის ხელში არის, ნამდვილად არ დაინდობენ-მეთქი, ვფიქრობდი სასოწარკვეთილი.

მარატ ლავრენტის ძე შავდიას დახასიათება

მარატ ლავრენტის ძე შავდია 1944 წელს ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველ კურსზე. სწავლობს წარჩინებით. პროფესორ-მასწავლებლებთან კარგი დამოკიდებულება აქვს, ბოლო ხანს ხშირად აცდენს ლექციებს. ამხანაგებს შორის ავტორიტეტით სარგებლობს. საზოგადოებრივ საქმიანობას თავს არიდებს.

ამჟამად სწავლობს IV კურსზე.

1949 წლის 25 მარტი.

ამონაწერი საარქივო მასალიდან

საქართველოს სსრ პროკურორს.

სამართალში მიცემული მარატ ლავრენტის ძე შავდიას ახსნა-განმარტება.

მომთხოვეს, განმემარტა შიმშილობის გამოცხადების მიზეზი. სიტყვიერად ამის თაობაზე ველაპარაკე მილიციის წარმომადგენელს. ახლა თქვენ გწერთ, თუმცა ვიცი, ეს წერილი თქვენამდე არ მოაღწევს. თუ მოხდა სასწაული და მოაღწია, ალბათ არც წაიკითხავთ, მაგრამ ვე მაინც გწერთ...

დავიბადე 1926 წელს. მამაჩემი „ჩეკაში“ მუშაობდა და საკმაოდ მაღალი თანამდებობაც ეკავა. 1937 წელს იგი დაუპატიმრეს და „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს. მას შემდეგ თორმეტი წელიწადი გავიდა, მაგრამ რას ნიშნავდა „ხალხის მტერი“ და რატომ შეარქვეს მამას ეს სახელი, ვერ გავიგე. დედაჩემმა მოინდომა ამის გარკვევა და ისიც დაუპატიმრეს. დღემდე არ ვიცი, რა ბედი ეწია ერთს ან მეორეს. ვიცოდი მხოლოდ ერთი — მე „ხალხის მტრების“ შვილი ვიყავი. მალე მე, ჩემი უმცროსი და და ბებია ბინიდან გამოგვასახლეს. სოლოლაკის ერთ-ერთი სახლის კიბის ქვეშ უსარკმელო, ნესტიან ერთციცქნა სოროში ვცხოვრობდით. მე ჯანმაგარი, ამტანი ბავშვი ვიყავი და გავძელი, ჩემი და კი გაცივდა, დროზე ვერ ვუშველეთ. და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. არავინ გვეხმარებოდა, ძველი ნაცნობები აღარც კი გველაპარაკებოდნენ.

სკოლაში სანიმუშო მოწაფე ვიყავი, თუმცა, როგორც „ხალხის მტრის“ შვილი, კომკავშირში არ მიმიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებიას ძალიან უნდოდა, რომ ექიმი გამოვსულიყავი. მეც მომწონდა ეს პროფესია და სამედიცინო ინსტიტუტში ადვილად ჩავირიცხე, რადგან სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. ვიფიქრე, ნელ-ნელა ყველაფერი გამოსწორდება-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი.

მეორე კურსზე ბებიაც გარდამეცვალა. საცოდავი, ჩემს გამოსაკვებად ხან თეთრეულს ურეცხავდა მეზობლებს, ხან დამლაგებლადაც მუშაობდა, აუთოებდა. ასე გაგვქონდა თავი. რამდენჯერმე დავაპირე, სწავლისთვის თავი გამენებებინა და მუშაობა დამეწყო, მაგრამ ბებიამ არაფრით არ ჰქნა — თუ მაგას იზამ, თავს მოვიკლავო.

მისი გარდაცვალების შემდეგ სულ დამებნა გზა-კვალი. შემთხვევითი შემოსავლით ვირჩენდი თავს; ღამღამობით ხან ვაგონებს ვცლიდი, ხან მანქანებს ვტვირთავდი.

კარგი სტუდენტი ვიყავი. პროფესორები მემადლიერებოდნენ. ასე მეგონა, ცოტას გავიჭირვებ, ინსტიტუტს დავამთავრებ, ჩემი მშობლების წარსულსაც დაივიწყებენ და კაცი ვიქნები, გამოვადგები საზოგადოებას-მეთქი. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, როგორც ჩანს, ვიღაცას არ სურდა ჩემი წინსვლა... რას მერჩოდნენ, არ ვიცი...

შეიძლება, თავი ვერ დავიხსნა აქედან, მაგრამ, მინდა, ერთმა კაცმა მაინც იცოდეს სიმართლე, სწორედ ამან დამაწერინა ეს „აღსარება“. ჩვენების მიცემაზე კი უარს ვაცხადებ. მართალი ვარ და უნდა გამათავისუფლოთ.

მარატ შავდია.

1949 წლის 27 თებერვალი.

ამონაწერი მარატ შავდიას სასამართლო ჩვენებიდან

ჩემს დაკავებამდე ორი კვირით ადრე, 5 თებერვალს ქუჩაში შემთხვევით შევხვდი სკოლის ამხანაგს — გივი შოთაძეს. ერთმანეთი მოვიკითხეთ. ბეთანიაში საქმე მაქვს, ავიდეთ და ბარემ თითო ჭიქაც დავლიოთ, ყმაწვილობა გავიხსენოთო. უარი ვერ ვუთხარი.

ბეთანიის სასადილოში გივი შოთაძე ვიღაც ნაცნობებს შეხვდა და ერთი სუფრიდან მეორეზე გადავინაცვლეთ, ამჯერად ცალკე კაბინეტში. იმათ სუფრასთან გადასვლისას პალტო დამრჩა, როცა მოვიკითხე, ვეღარ ვნახე, ვიღაცას მოეპარა. ჩემს ცხოვრებაში ის პირველი პალტო იყო, თბილი სხვა არაფერი გამაჩნდა და გული დამწყდა. ოფიციანტი მოვძებნე, გვერდზე გავიყვანე, ჩემი პალტო ვინ წაიღო-მეთქი, ჯერ სასტიკად იუარა, მაგრამ აღარ მოვეშვი და ამოღერღა — ის კაცი ქურდია, რომ გითხრა, აქ აღარ დამედგომება, რატომ დგები ჩემი შვილების ცოდვაშიო. როგორც იქნა, დავარწმუნე, ისე მოვაგვარებ საქმეს, შენზე ეჭვს ვერ აიღებსმეთქი. მომპარავის მხოლოდ ზედმეტი სახელი იცოდა (ვერ გავამხელ მის ვინაობას).

ორი კვირა ვეძებე ის კაცი. ბოლოს, მივაკვლიე, ერთ სარდაფში ზარს თამაშობდა ვიღაც სამ კაცთან ერთად. მაშინვე ვიცანი, ჩემი პალტო ჰქონდა მოხურული. ზურგიდან წავადექი თავს და გადავაძრე. ფეხზე წამოვარდა. მეგონა, თავს დამესხმოდა, მაგრამ თითქმის უკანმოუხედავად მოსწყდა ადგილს, სარდაფის ბნელ კუთხეში ვიწრო გასასვლელიდან ელვის სისწრაფით გაუჩინარდა. მისი გასვლა იყო და იარაღმომარჯვებული მილიციელები დაგვადგნენ თავს. პალტო ხელში შემრჩა. მეცნენ, ვისია ეს პალტოო. ჩემია-მეთქი, ვუპასუხე. გამჩხრიკეს, ჩემს თვალწინ ამოალაგეს პალტოს ჯიბეებიდან ფული, პისტოლეტი და მორფის ამპულები. რა მეთქვა, ჩემი არ არის პალტო-მეთქი?! ერთი სიტყვით, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი...

წინასწარი გამოძიების დროს ჩვენება არ მიმიცია. დარწმუნებული ვიყავი არაფერს დამიჯერებდნენ...

ამონაწერი კავლე გოგიტიშვილის სასამართლო ჩვენებიდან

წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ვცნობ. ვთამაშობდი ზარს ფულზე. ოთხი კაცი ვთამაშობდით: მე, „ორთავა“ — მურთაზ შოშიტაიშვილი, „პრიხოდა“ — ჰაიკ გალსტიანი და „დუშაშა“, რომელიც გაიქცა. მისი გვარი არ მახსოვს. მარატ შავდიას არ ვიცნობ. იმ დღეს პირველად ვნახე. „დუშაშას“ პალტო წაეძრო. ვფიქრობ, რომ აგენტია. ჩვენი საქმე მაგან გახსნა.

ამონაწერი ჰაიკ გალსტიანის სასამართლო ჩვენებიდან

თქვენს შეკითხვაზე ვპასუხობ, რომ შავდია იმ დღეს პირველად დავინახე. მაშინვე მივხვდი, რომ მოგზავნილი იყო. თვალებში ეტყობოდა... ვერ მოვასწარი, თორემ! ვადასტურებ, რომ „ორთავასთან“ და „პრიხოდასთან“ ზარს ვთამაშობდი ფულზე. არც მაგათი და არც „დუშაშას“ გვარები და ნამდვილი სახელები არ ვიცი.

ამონაწერი მურთაზ შოშიტაიშვილის სასამართლო ჩვენებიდან

შავდია ვინ არის, არ ვიცი. ნამდვილად აგენტია. ისე ვერ გაბედავდა ჩვენთან შემოსვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლაც მიკვირს, როგორ წააძრო პალტო „დუშა-შას“. ჩემს დანაშაულს ვაღიარებ. „დუშაშას“ ნამდვილი სახელი და გვარი არ ვიცი.

ამონაწერი გივი ზოთაძის სასამართლო ჩვენებიდან

ამა წლის 5 თებერვალს კიროვის ქუჩაზე გასტრონომთან შევხვდი მარატ შავდიას. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქარხანაში ვმუშაობ მღარავად, თავისუფალი დრო ცოტა მრჩება და ძველ ამხანაგებს იშვიათად ვნახულობ ხოლმე. მარატ შავდია ძალიან ძლიერი მოსწავლე იყო. რამდენჯერმე გამოცდაზე გადამარჩინა... მაგალითად, გამოსაშვებ გამოცდაზე მათემატიკაში, თავისი სამუშაო გვერდზე გადასდო და ჩემი გამოიყვანა. ბიჭებს გვიყვარდა და დიდ პატივს ვცემდით. მისი სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო — ყოველთვის სწორს ამბობდა და იმიტომ.

ცხადია, ვიცოდი, რომ მშობლები ადრე გარდაეცვალა. ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. ხელფასი ახალი აღებული მქონდა და ფულის მიცემა მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე — ამაყი კაცია, არ ეწყინოს-მეთქი. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, მოვიმიზეზე, ბეთანიაში საქმე მაქვს, იქ კარგი სასადილოც არის-მეთქი. სინამდვილეში არავითარი საქმე არ მქონდა. რატომღაც ბეთანია მომადგა ენაზე, უბრალოდ, მისი დაპატიჟება მინდოდა. ბეთანიის სასადილოში ხუთი კაცი შემოვიდა, მათ შორის სამი ჩემი კარგი ნაცნობი, უბნელები: ავთო დევდარიანი, სოსო სუჯაშვილი და ვიქტორ შიროკი. ორს არ ვიცნობდი. თავი მოიკლეს, აუცილებლად ჩვენთან უნდა დასხდეთ, უარი არ გვითხრათ, ძალიან გვეწყინებაო. შვიდივე ცალკე კაბინეტში შევედით. დავლიეთ, რა თქმა უნდა. მახსოვს, მარატი სუფრიდან წამოდგა და გავიდა. ვიფიქრე, ტუალეტში გავიდა-მეთქი. ცოტა შეაგვიანდა. გამიკვირდა. წამოვიწიე, გავალ, გავხედავ-მეთქი, მაგრამ ამასობაში შემოვიდა კიდეც. მაშინ არაფერი უთქვამს და დღემდე ვერ ვიცოდი, რა მოხდა, ეტყობა, ჩვენი შარში გახვევა არ უნდოდა.

თუ სასამართლო საჭიროდ ჩათვლის, ჩემი ნათქვამის დადასტურება ხუთ კაცს შეუძლია“.

ბიძინამ საქაღალდე დახურა: — ყველაფერი არ წაგიკითხეთ. სასამართლოზე ყველა მოწმემ დაადასტურა, შავდიამ სიმართლე თქვაო. მისი საქმე, ბრალდების დაუდასტურებლობის გამო, შეწყდა და იგი გაათავისუფლეს.

— ვაჰ! — აღმოხდა მამიას, — მართლა ასე იყო?!

— არა. სინამდვილეში ზუსტად ისე იყო, როგორც ბრალი ედებოდა. გამოძიებაც დარწმუნებული იყო, იმიტომაც გადასცა სასამართლოს, მაგრამ მაინც დაიძვრინა თავი. წინასწარი ძიებისას არაფერი თქვა. შემდეგ, თამაშის მონაწილეებს გააგებინა, ასეთი ჩვენება მიეცითო. თვით სასამართლოს მიმდინარეობისას, ის ხალხი დაასახელა მოწმედ, ვინც პროცესს ესწრებოდა და მისი ჩვენება გაიგონა. მათაც დაუდასტურეს.

— ყველა ყველა და, ჭკვიანი კი ყოფილა, მაგრამ ამ შავდიას რა კავშირი აქვს ბავშვის მოტაცებასთან?

— გეტყვით. ჯერ მცირე განმარტება. როგორც ჩანდა, მარატ შავდია უკვე „ქურდი“ იყო, ან საამისოდ გამზადებული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ციხეში ხალხი დატრიალდა, ცრუ ჩვენებები შეთხზეს... როგორც იტყვიან, შავდიას „მიჰყავდა პარადი“.

— კაი გვარიან სასჯელს კი გადარჩენილა...

— კი, პისტოლეტში ტყვია არ ჰქონდა, მაგრამ... გოჩა! რა ეკუთვნოდა მისი ტარებისთვის?

— ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

— სწორია! ივარგებ იურისტად...

— ყომარბაზობაზეც ხომ არის სასჯელი? — დაამატა მამიამ.

— არის. 235-ე მუხლის თანახმად: „ბუნაგის მოწყობა აზარტული თამაშებისათვის (ბანქოს, ზარის, და ა. შ.) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმით სამას მანეთამდე. მონაწილეობა აზარტულ თამაშში, რომელიც ეწყობა ბუნაგში, სარდაფში, სადარბაზო შესასვლელში, ქუჩაში ან სხვა მისთ., თუ მას ადგილი ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში ასეთივე ქმედებისათვის საზოგადოებრივი ღონისძიების გამოყენების დღიდან — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე“. — ბიძინამ წიგნი გადადო, — მთავარი, მაინც, ნარკოტიკული ნივთიერება იყო. შავდიას პალტოს ჯიბეში 20 ამპულა მორფი ნახეს. ნარკოტიკული ნივთიერების ხმარება, საერთოდ, იკრძალება. პირველ შემჩნევისას, ვთქვათ, ადმინისტრაციულ ღონისძიებას მიიღებენ. თუ არ დაიშალა თავისი, თავისუფლების აღკვეთაა ექვსი თვიდან ერთ წლამდე. ამ საქმეში სხვისი აყოლიება მეტად მკაცრად ისჯება: ხუთ წლამდე. მცირეწლოვანის მიჩვევა კიდევ უფრო მკაცრად — ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

— კი, მაგრამ... — გაუბედავად შეესიტყვა გოჩა, — ზოგი ისეთი ავადმყოფია, რომ...

— რა თქმა უნდა! — აღარ დაამთავრებინა ბიძინამ, — ნარკოტიკების უმეტესობა წამალია. ეს აკრძალვები მაშინ მოქმედებს, თუ ექიმის დანიშნულების გარეშე ხდება ნარკოტიკის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღება. ასევე აკრძალულია ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბუნაგის მოწყობა და ისჯება ხუთიდან ათამდე.

— თუ თვითონ არ ხმარობს კაცი? — იკითხა მამიამ.

— თუ არ ხმარობ, მაშინ გასაყიდად გინდა, ამიტომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნით, აგრეთვე გასაღება — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. ასე ბრძანებს კანონი! ხოლო იგივე მოქმედება ჩადენილი განმეორებით, ან წინასწარი შეთანხმებით, პირთა ჯგუფის მიერ, ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ამგვარი დანაშაული, ან თუ ამ დანაშაულის ჩამდენი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტია, ანდა თუ ნარკოტიკული ნივთიერებები დიდი ოდენობისაა, ექვსიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. კიდევ რა გითხრათ? ჰო, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისთვის ხუთ წლამდე ციხეა. თუ გატაცებას ძალადობა და ამის მსგავსი რამ ახლავს, მაშინ სასჯელიც უფრო მკაცრია. ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი კულტურების: ხაშხაშის, ინდური, სამხრეთმანჯურული ან სამხრეთჩინური კანაფის (მცენარეების ჯიშებია) დათესვა და მოყვანაც ისჯება ხუთ წლამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში, სამიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

მამიამ მხრები აიჩეჩა: — შოკოლადს ან წამალს თუ გაყიდის კაცი, სპეკულაციაა, ამბობთ და ზოგჯერ, ათ წლამდე ციხესაც კი უსჯით, შხამს ყიდის კაცი, თვითონ მდიდრდება და ჩვენ ახალგაზრდობას ღუპავს, ასეთებისთვის, მე თუ მკითხავ, ტყვიას არ დავიშურებდი...

— გეთანხმები, მამია, მაგრამ ჯერჯერობით კანონი მეტ სასჯელს არ ითვალისწინებს და ჩვენც ამას უნდა დავჯერდეთ.

ბიძინამ კვლავ გადაშალა საქაღალდე:

— განვაგრძოთ ის ამბავი...

ნიკოლოზ ღვინჯილიას ჩვენებიდან

საღამოს, მზის ჩასვლამდე თამრიკო შემოიყვანეს, ხელში დედოფალა ეჭირა. მთელი ღამე ერთად გავატარეთ. რა უნდა მეთქვა, შენს წასაყვანად მოვდიოდი და გზაზე ხეს დავეჯახეთქი. ვიფიქრე, მაგ არამზადებს ფულზე არაფერს ვეტყვი, ვიდრე ბავშვს შინ არ მიიყვანენ, თამრიკოს მაინც გადავარჩენ-მეთქი.

ბავშვი მეტიტინებოდა: გენო ბაბუა კარგი კაცია, დღეს ეს დედოფალა მაჩუქაო. გენო, ალბათ, ადგილობრივი მოსახლე იყო. მე, თურმე, მეზობელ სახლში ვიყავი დამწყვდეული.

თივაზე მივწექით და ჩაგვეძინა. შუაღამეს უცებ გამეღვიძა და გამახსენდა — სოფელ ალდეთში ვიყავით: ორი წლის წინათ მე და ჩემი ამხანაგები სანადიროდ ამოვედით აქ. ღამეც კი გავათიეთ ერთი მიტოვებული სახლის აივანზე. სარკმელს მივადექი, ხომ არ მეშლება-მეთქი. ნამდვილად ალდეთი იყო.

ამას ბავშვს როგორ ვეტყოდი, რომ წამოსცდენოდა, მართლა მომიკლავდნენ. არც ფურცელი მქონდა, არც — ფანქარი. გამახსენდა, იატაკზე აქა-იქ ნახშირი იყო მობნეული. ცხვირსახოცი გავშალე და ნახშირით დავწერე ორი სიტყვა. მძინარე ბავშვს ფრთხილად გამოვაცალე დედოფალა, უკან, ზურგზე ლითონის ხუფი მოვხსენი, დაკეცილი ცხვირსახოცი ჩავტენე და ისევ დავხუფე. რა ვიცი, რისი იმედი მქონდა, მაგრამ რომ გაგიჭირდება, ხავსს მოეჭიდები კაცი...

გამომძიებლის ჩანაწერიდან

ა. წ. 18 ოქტომბერს, საღამოს ცხრა საათზე ტელევიზიით გადავეცით ცნობა, რომ 14 ოქტომბერს გაიტაცეს მოქალაქე ნიკოლოზ ღვინჯილია. გატაცება უნდა მომხდარიყო თეთრი ფერის ტაქსით, „ვოლგით“. მანქანის ბოლო ნომერი უნდა ყოფილიყო „55“. მოსახლეობას ვთხოვდით, ეცნობებინათ თუ რაიმე იცოდნენ ამასთან დაკავშირებით.

მეორე დღეს ხელმეორედ ვიყავი ღვინჯილიებთან.

კარებში ბავშვი შემომეგება; ფოტოსურათი ეჭირა ხელში. ფერად ფოტოზე თამრიკო იყო გამოსახული, მკერდზე დედოფალა მიეხუტებინა.

— ვინ გადაგიღო, გენაცვალე?

— ნოდარი ძიამ.

— ნოდარ დადვანი ნიკოლოზის მეგობარია. ძალიან არის შეწუხებული, — ჩაგვერია დიასახლისი, — ეს დღეები თითქმის არ მოგვცილებია, იცის ჩვენი მდგომარეობა...

— ეს სურათი ახალი უნდა იყოს.

— გუშინ გადაიღო. რა ნახეს ამ დედოფალაში, არ მესმის, არც ბავშვი იშორებს ხელიდან...

— მამამ თქვა, სულ თან გქონდესო, — თქვა თამრიკომ.

— რა, კიდევ სხვაც დაინტერესდა ამ დედოფალათი?

— არა... ნოდარზე ვამბობ, გინდა თუ არა დედოფალასთან ერთად უნდა გადავიღოო... ან, საერთოდ, რა დროს სურათებია... ის კაცი ცოცხალია თუ მკვდარი, ღმერთმა იცის!

ნოდარ დადვანის მისამართი გამოვკითხე, მივედი და პირდაპირ საქმეზე გადავედი:

— გუშინ თამრიკო ღვინჯილიას რატომ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუღეთ სურათი?

მხრები აიჩეჩა: — ბავშვის გახარება მინდოდა, ისეთი მღელვარება გადაიტანა, ვიფიქრე...

პატიოსანი კაცი ჩანდა, მაშინვე შევატყე, ტყუილს ამბობდა.

— მხოლოდ ერთი სურათი დაბეჭდეთ?

— დიახ.

— აპარატი მაჩვენეთ.

საშინლად დაიბნა...

— ნიკოლოზ ღვინჯილია თქვენი მეგობარია?

— ბავშვობის...

— პირობას გაძლევთ, ვიდრე დამნაშავეებს არ დავაპატიმრებთ, რასაც გამიმხელთ, ვერავინ შეიტყობს...

მცირე ხანს იყოყმანა, მაგრამ ბოლოს მომენდო:

— ვიღაც კაცმა გუშინ დილით გამაჩერა ქუჩაში, აპარატი მომცა და მითხრა, თამრიკოსთვის სურათი გადამეღო, აუცილებლად იმ დედოფალასთან ერთად... თბილისელი არ უნდა ყოფილიყო. ასე ოცდაათი წლის იქნებოდა, ჯმუხი გარეგნობის... საღამოს სურათს და აპარატს დამიბრუნებო.

— ადგილი დაგინიშნათ?

— არა. ისევ მოულოდნელად გამაჩერა ქუჩაში, ღვინჯილიებიდან რომ ვბრუნდებოდი; ერთის ნაცვლად ორი სურათი გადავიღე... ბავშვისთვის ხომ უნდა მიმეცა...

— დაგემუქრათ...

— დიახ. ვიფიქრე, მილიციისთვის მეცნობებინა, მაგრამ ნიკო ვერ გავწირე...

— სამწუხაროა...

— რა ვიცი, დავიბენი, კაცის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას და...

— რაკი მამა ხელში ჩაიგდეს, ბავშვი გამოუშვეს. ახლა ფულს ელოდებიან. დედოფალასთან ერთად გადაღებული სურათით კი დაარწმუნეს მამა, რომ თამრიკო უკვე შინ არის... ხომ ხვდებით? თქვენ ნიკოლოზის უახლოესი მეგობარი ხართ და ამიტომ შესაძლოა მისი წერილი მიიღოთ, რომ როგორმე ის ფული გაუგზავნოთ... ალბათ ისევ გზაში შეგაჩერებენ. როგორც კი წერილს მიიღებთ, მაშინვე ჩემთან მოდით. აი, ჩემი სახლის მისამართი, ვითომ მეგობრებში ფულს აგროვებთ. ერთი დღის ვადა ითხოვეთ. ფულს მე მოგცემთ, მაგრამ იცოდეთ, ჩემამდე კიდევ ორ ან სამ მეგობართან შეიარეთ, ვითომ ფულის გამოსართმევად. სინამდვილეში ფული არავის უხსენოთ. ბოლოს მოდით ჩემთან, დაახლოებით საღამოს თორმეტ საათზე. ჩემგან პირდაპირ შინისკენ გამოსწიეთ. ალბათ, მაშინ დაგიხვდებიან, ისე, ცოტა წაევაჭრეთ ფულზე. ოღონდ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. მანქანა გყავთ?

— დიახ.

— ჩემგან აუცილებლად შინ წამოდით, არსად შეიაროთ, ეს აუცილებელია!

ამონაწერი მოქალაქე მიხეილ სამადაშვილის შეტყობინებიდან

18 ოქტომბერს ტელევიზორში მოვისმინე განცხადება. აქამდე თბილისში ჩამოსვლა ვერ მოვახერხე. იქნებ ჩემი ჩვენება გამოგადგეს, არ ვიცი. თბილისიდან მანგლისში ვბრუნდებოდი. იქ ვცხოვრობ. ეს ამბავი თოთხმეტში მოხდა. „ჟიგული“ მყავს. ადრიანი დილა იყო, 24-ს გამასწრო, რატომღაც სისწრაფეს მოვუმატე და წამოვეწიე. წინ მხოლოდ მძღოლი იჯდა. უკან ჯერ სამი ჩანდა, შემდეგ ერთი გაქრა. გამიკვირდა: წინ არავინ ზის, უკანა სავარძელზე რას გაჰედილან-მეთქი. მერე ისე სწრაფად წავედინე, დევნა აღარ ღირდა. თეთრი „ვოლგა“ იყო, ნომერი 25-55. კარგად მახსოვს, საკუთარი მანქანა იყო...

გამოძიებლის ჩანაწერიდან

1982 წლის 20 ოქტომბერი.

პირად საკუთრებაში 25-55 ნომრით თეთრი „ვოლგა“ თბილისში მხოლოდ ერთია. იგი პროფესორ ხვედელიანს ეკუთვნის.

შესამოწმებლად ოპერმუშაკი გავგზავნე. ამბავი მოიმიტანა, მისი მანქანა ეზოში დგას, სამი თვეა ადგილიდან არ დაუძრავთო.

ამონაწერი საარქივო მასალიდან

1951 წლის 12 აპრილი.

გამოვლენილია ქურდების დიდი ჯგუფი. დაკავებულია თხუთმეტი დამნაშავე. ბანდის ორგანიზატორია განსაკუთრებით საშიში დამნაშავე მარატ ლავრენტის ძე შავდია. იგივე „დოქტორი“. იძებნება. იგი 24 წლისაა, საშუალო ტანისა, ჩასხმული. აქვს წაბლისფერი თმა, მუქი ლურჯი თვალები. შეიარაღებულია. განათლებით მედიკია. სხვა განსაკუთრებული ნიშნები არ აქვს.

ამონაწერი მილიციის უფროსი ლეიტენანტის ავთანდილ გოგიჩაიშვილის პატაკიდან

1951 წლის 30 აპრილი.

ქ. სოხუმის მილიციის განყოფილებაში შეტყობინება, ძებნაში მყოფი მარატ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავდია, იგივე „დოქტორი“ სასტუმროს ერთ-ერთ ნომერშია ქალთან ერთადო.

ოპერაციაზე ოთხნი წავედით. ნომერი მეორე სართულზე იყო. ერთი ფანჯრისქვეშ დადგა, გარეთ, მე — დერეფნის ბოლოს, ორი კი ნომრის კარს მიადგა. დააკაკუნეს. ვიღაცამ კარი გააღო, ვინ, ვერ დავინახე, შევიდნენ. მე ბოლო ნომრის კარზე ვიყავი ზურგით მიყრდნობილი. იარაღი გამზადებული მეჭირა. უეცრად კარი შიგნიდან გაიღო. წონასწორობა დავკარგე. სანამ გავიმართებოდი, კისერზე პისტოლეტის ლულა ვიგრძენი, ჩუმად მითხრა: — არ გაინძრე! დაგდე იარაღი!

ვიდრე რამეს მოვიფიქრებდი, უცებ შევბრუნდი და ვესროლე. ახალგაზრდა კაცმა ხელიდან რევოლვერი გააგდო, მოიკეცა და ხელები მუცელზე იტაცა. დაჭრილი მარატ შავდია იყო. მისი რევოლვერი პირველად მე ვნახე, შიგ ტყვია არ აღმოჩნდა.

ნიკოლოზ ღვინჯილიას ჩვენებიდან

ბავშვი მიიყვანეთ შინ და ფულზე შემდეგ ვიღაპარაკოთ, მანამდე, რომ დამკლათ, შაურის მომცემი არ ვარ-მეთქი. მინდოდა, ბავშვი გადამერჩინა. წაიყვანეთ, ჩააბარეთ დედამისს, დამარწმუნეთ, რომ ბავშვს საფრთხე აღარ ემუქრება და ფულს მერე გავახერხებ-მეთქი.

თამრიკო წაიყვანეს. ოთხი დღის შემდეგ, ცხრამეტში თუ ოცში... მართლაც მომიტანეს თამრიკოს სურათი. ბავშვი შინ იყო გადაღებული, დედასთან, ის დედოფალაც მკერდში ჩაეკრა. ესე იგი, ახალი გადაღებული იყო... ჰო, ვიდრე თამრიკოს წაიყვანდნენ, მითხრეს, ყველაზე მეტად ვის ენდობი, დაგვისახელეო. ნოდარ დადვანი მომაგონდა პირველად. სად ცხოვრობს, სად მუშაობს. ყველაფერი კი ვუთხარი, მაგრამ შემეშინდა, ისიც არ მოიტაცონ მეთქი...

— როგორც ჩანს ის „დოქტორი“ არ დაუხვრეტიათ მაშინ, — შეაწყვეტინა კითხვა მამიამ.

— არა.

— რატომ? ბანდიტიზმისთვის ხომ დახვრეტაა?!

ბიძინა ერთი წამით ჩაფიქრდა: — მაშინ, ჯერ ვნახოთ, რა წერია კოდექსში ბანდიტიზმზე „შეიარაღებული ბანდების ორგანიზაცია სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე ან ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ბანდებში და მათ მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობა — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“. ახლა კიდევ ერთ მუხლს წაგიკითხავთ: „მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ხოლო დამამძიმებელ გარემოებაში სიკვდილით“. ასე, რომ კანონის თანახმად სასამართლოს შეეძლო, შავდიასთვის სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა, მაგრამ, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს, რომ მას მანამდე ნასამართლობა არ ჰქონდა, მძიმედ დაიჭრა, აგრეთვე ისიც, ტყვია რომ არ ჰქონდა პისტოლეტში, და თხუთმეტი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. სასჯელს შავდია მაგადანის ოლქში იხდიდა. გასაგებია? ახლა კი გავაგრძელოთ...

გამომძიებლის ჩანაწერიდან

1982 წლის ოქტომბერი.

დილის 6 საათზე კახეთის გზატკეცილზე აღმოჩენილ იქნა თეთრი ფერის „ვოლგა“ — გაზ-24, ა 25-55 გა. ვიდრე რამეს გავარკვევდით, პროფესორი ირაკლი ხვედელიანი მოიჭრა სამმართველოში და აღელვებულმა მითხრა: — ჩემდაუნებურად შეგაცდინეთ, უნდა მაპატიოთ! ამ ხუთი დღის წინ თქვენი გამოგზავნილი კაცი იყო ჩემთან... ჩემი მანქანა სამ თვეზე მეტია დგას. აკუმულატორი ჰქონდა დამჯდარი. ჩემმა ვაჟმა დღეს მოიტანა ახალი აკუმულატორი. მანქანა ეზოში იდგა, ბრეზენტგადაფარებული, გადახადა ბრეზენტი და...

— იქ თქვენი მანქანის ნაცვლად სხვა იდგა, არა?..

— ჰო! ტაქსი — „13-55“, თქვენ რა, იცოდით?! ჩემი ბრალია, ის თქვენი თანამშრომელი მე შევაცდინე... დასჯით?

— საკმაოდ მკაცრადაც, ბრეზენტის სანახავად კი არ გამოგვიგზავნია!.. ოფიცერმა მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს... თქვენი მანქანა კი ახლა ჩვენ ეზოში დგას. წაიყვანეთ!

ეს კვალიც გაწყდა. მანქანით ვეღარ მივაგნებდით გამტაცებლებს. ერთადერთი იმედი ნოდარ დადვანი იყო, მაგრამ მასთან მისვლას აგვიანებდნენ. იქნებ, პირდაპირ ღვინჯილიას მეუღლეს დაუკავშირდნენ? ეს დაუჯერებელს ჰგავდა, მაგრამ მაინც მოვსინჯე. ნანა ღვინჯილია სასოწარკვეთილი იყო, ქმრის შესახებ არაფერი იცოდა, დავამშვიდე. ოთახში თამრიკო შემოვიდა. კვლავ ის დედოფალა ეჭირა ხელში. წონასწორობადაკარგულმა ნანამ უეცრად ხელიდან გამოსტაცა დედოფალა შვილს და კედელს მიანარცხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აღარ შემიძლია ამის დანახვა!

დედოფალა ხელში ავიღე და გადავაწვინე, თვალები დახუჭა, მაგრამ ხმა არ ამოუღია: — ეწყინა და ხმას აღარ იღებს, — ვცადე ხუმრობა.

— ხმას არც ადრე იღებდა, — დამამშვიდა თამრიკომ.

ჩემდაუნებურად რაღაც ეჭვი გამიჩნდა. დედოფალას ზურგზე კაბა ავუწიე და დავეჭედ. ლითონის ხუფი მოვხადე. თეთრი ნაჭერი გამოჩნდა. ამოვიღე, ცხვირსახოცი იყო. ზედ ნახშირით რაღაც ეწერა, წაკითხვა ვერ შეეძელი. მაშინვე წამოვედი, ექსპერტმა წარწერას კარგა ხანს უკირკიტა გამადიდებელი შუშით, ბოლოს თქვა: მანგლისი, ალდეთი.

ამონაწერი საარქივო მასალიდან

1968 წლის 26 სექტემბერი.

1968 წლის 15 სექტემბერს ქ. ზუგდიდში მცხოვრებმა ვანო ბოკერიამ შინ მისვლა დააგვიანა. იგი ორმოცდაათი წლის იყო, ადრე სატვირთო მანქანის მძღოლად მუშაობდა. ცოლი ეჭვიანობდა და თუ ვანო დააგვიანებდა ხოლმე, ნერვიულობდა. იმ საღამოსაც მოუთმენლად ელოდა ქმარს. დაახლოებით პირველის ნახევარზე ჭიშკართან ქმრის „ვოლგა“ დაინახა, მაგრამ გავიდა ნახევარი საათი, ქმარი კი არ ჩანდა. ქალმა ჭიშკარი გააღო და ადგილზე გახევდა — ვანო ბოკერია მანქანასთან ეგდო უძრავად. ასფალტზე სისხლის გუბე შენიშნა. ქალის ჯიგილმა ფეხზე დააყენა მთელი უბანი. ვანო საავადმყოფოში გააქანეს. დილით ბოკერია გონს მოეგო.

საავადმყოფოში მისულ გამომძიებელი ჯერ ექიმს ესაუბრა.

— მარჯვენა ყურს ზემოთ თავი აქვს გატეხილი, — თქვა ექიმმა, — როგორც ჩანს, დაცემისას ბორდიურს დაჰკრა.

— რატომ უნდა დაცემულიყო, ნასვამი იყო?

— არა, ნასვამი არ ყოფილა. ტუჩიც დაზიანებული აქვს, მუშტის კვალი უნდა იყოს, ეტყობა, ვიღაცამ ძლიერად გაარტყა.

— ნახვა თუ შეიძლება?

— კი ბატონო, მაგრამ, მთხოვა, ეს ამბავი არ გამეხმაურებინა, ნასვამი ვიყავი, ფეხი დამიცდა და დავეცი. როცა შეიტყო, რომ მილიციას უკვე ვაცნობეთ-მეთქი, მითხრა, მაგ საქმეს მიმიხედე და ათი ათასს მოგცემო... არ მომეწონა მისი ტონი, ძალიან თავხედია, ეტყობა...

ვანო ბოკერიას მანქანის საბარგულში სამი კილოგრამი ოქროს ქვიშა აღმოჩნდა. ქვიშა საექსპერტიზოდ თბილისში გავგზავნეთ. მალე თბილისიდან უდიდეს საქმეთა გამომძიებელი ჩამოვიდა და თან ექსპერტიზის დასკვნა მოიტანა — ოქროს ქვიშა მაგადანის ოლქის საბადოებიდან ჩამოტანილი აღმოჩნდა.

იმავე დღეს მილიციის ზუგდიდის განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მოვიდა, ვანო ბოკერიას საქმეზე ვარო. იგი თბილისიდან ჩამოსულმა გამომძიებელმა მიიღო.

— იცით... არ მინდა, ჩემი დანაშაული სხვას დაბრალდეს. მე და ვანოს ქალიშვილს პირობა გვაქვს მიცემული ერთმანეთისთვის, მაგრამ მშობლები გაჯიუტდნენ. გაპარვა გადავწყვიტეთ. ორი დღის წინ შინ მივაცილე. გვიანი იყო. როცა გამოვბრუნდი, ჭიშკარს ვანოს მანქანა მოადგა, დამალვა მინდოდა, ვეღარ მოვასწარი. ხელი ჩამავლო, ჩემს გოგოსთან არ დაგინახო, თორემ გაგაქრობო. მაგინა. მაგრამ მოეუთმინე. ბოლოს ხელი მკრა, აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმაო. წასასვლელად რომ შევბრუნდი, წიხლიც მომაყოლა. ვეღარ მოვითმინე და შემოვკარი, წაიქცა. გავიქეცი, რა ვიცოდი, თავს თუ დაკრავდა ქვაზე.

ძიებამ ოქროს ქვიშა კიდევ ხუთ კაცს უპოვა: ყოფილ მსახიობს ღენტორ ალანიას, ქურდს — გიორგი ჯახუას, ყოფილ ფეხბურთელს — მიხეილ ლომთათიძეს, უსაქმურს, ორი წლის წინ ზუგდიდში ჩამოსულ ვიქტორ გნასიუკს და ეთერ კვეკვესკირს — ქმართან გაყრილ დიასახლისს.

ზუგდიდში ცხოვრობდა და ექიმად მუშაობდა ადრე ნასამართლევი, მაგადანის ოლქში სასჯელმოხდილი მარატ შავდია. იგი მაშინვე მიიმალა.

მალე „ხელის დამცლელებსაც“ მიაკვლიეს — საკმაოდ ფართო ქსელი აღმოჩნდა — ქუთაისი, სოხუმი, მოსკოვი... ძიებაში მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროც ჩაერთო. კვალი ვალუტით მოვაჭრეებსაც მისწვდა, მაგრამ კარგა ხანს ვერ დადგინდა, თუ რა არხით მოედინებოდა ოქროს ქვიშა მაგადანიდან ზუგდიდისკენ და, შემდეგ, სხვა ქალაქებისაკენ.

ძიებამ დაადგინა, რომ ვანო ბოკერია, ღენტორ ალანია, გიორგი ჯახუა, მიხეილ ლომთათიძე და ეთერ კვეკვესკირი ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენჯერმე იყვნენ ჩასული მაგადანში. ვიქტორ გნასიუკი, საერთოდ, იქაური აღმოჩნდა. ისიც მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, რომ მარატ შავდია მაგადანის ოლქის შრომაგასწორების დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს და ორი წლის წინ გათავისუფლდა.

ოლქის ტერიტორიაზე ოქროს ქვიშა უამრავი იყო, მაგრამ მისი იქიდან გამოტანა თითქმის შეუძლებელი ჩანდა. გათავისუფლებული პირები გამომგზავრებისას ისეთ შემოწმებას გადიოდნენ, ოქროს ვერაფრით ვერ წამოიღებ-

ღნენ, მითუმეტეს დიდი რაოდენობით.

ამ არხის დასადგენად აუცილებელი იყო მარატ შავდიას დაპატიმრება. იგი ოთხი თვის შემდეგ მართლაც დააკავეს, თუმცა ამ საქმეს მანამდეც მოეფინა ნათელი.

ყველაზე ადრე ვიქტორ გნასიუკი ალაპარაკდა — ნარკომანი აღმოჩნდა — ოღონდ ერთი ამპულა მორფი მომეცით, რასაც მკითხავთ, გიპასუხებთო.

— საბუთების მიხედვით კოსტრომელი ხართ. მაგადანში სასჯელი შვიდი წლის წინ მოიხადეთ და იქვე დასახლებულხართ, კოსტრომაში რატომ არ დაბრუნდით? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— „დოქტორმა“ მითხრა, იგივე მარატ შავდიამ...

— რატომ უნდა დარჩენილიყავით?

— ასეა საჭიროო. იქ მას ყველა უჯერებდა. მეც დავრჩი.

— დავალებებს გაძლევდათ?

— კი. სასაფლაოს რუკა გამომატანა გათავისუფლებისას. სასაფლაო ბანაკს გადაღმა იყო. რომელზეც გაცნობებ, იმ მიცვალებულის საფლავი ჯვრით აღნიშნეო. წინასწარ მაცნობებდნენ გამოსვენებას, ჰოდა, მეც რუკაზე აღვნიშნავდი ხოლმე, სადაც დაასაფლავებდნენ მიცვალებულს... ასე გრძელდებოდა ხუთი წლის მანძილზე... რამდენი ჯვარი დავსვი აღარც კი მახსოვს, საკმაოდ იყო...

— სად არის ის რუკა?

— „დოქტორმა“ გამომართვა, როცა გამოვიდა...

— თუ იცოდით, რატომ აკეთებდით ამას?

— თავიდან არ ვიცოდი, მერე კი მივხვდი... როცა „დოქტორი“ ჩამოვიდა, მეც ჩამოვყევი... მერე, ისევ იქ გამაგზავნა, ოთხი საფლავი მიმინიშნა, ჩუმად ამოთხარეო. მეც ჩავედი და ამოვთხარე გვამები, გავჭერი და მუცლიდან ოქროთი სავსე ბოთლები ამოვიღე...

— რამდენჯერ იყავით ასეთ საქმეზე მაგადანში?

— ხუთჯერ.

— რამდენი ბოთლი ჩამოიტანეთ?

— ბევრი, ზუსტად არ მახსოვს... საფლავებს მარტო მე ვთხრიდი, ბოთლები კი სხვასაც მიჰქონდა ხოლმე, ვინ იყვნენ, არ ვიცი; „პაროლით“ მიკავშირდებოდნენ. „დოქტორმა“ ბორჯომი გამოგიგზავნა, ცარიელი ბოთლი უნდა დავუბრუნოთო“.

— როგორ ახერხებდა მიცვალებულის მუცელში ბოთლების ჩადებას...

— ბანაკში ექიმად მუშაობდა „დოქტორი“, მიცვალებულებსაც ის კვეთდა ხოლმე... ცუდად ვარ, ერთი მორფი მაინც მომეცით...

ბიძინა ფეხზე წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და, თითქოს განაჩენი გამოაქვსო, გამოაცხადა:

—რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ გააასამართლა დამნაშავეთა ეს ჯგუფი. მარატ შავდიას სავალუტო ოპერაციების დარღვევის და სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისთვის თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განჩინებით მარატ შავდია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად იქნა ცნობილი.

— სავალუტო ოპერაციების დარღვევა რაღაა?

— იკითხა მამიამ.

— სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა სახელმწიფო დანაშაულად ითვლება. ამ დანაშაულისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კოდექსის 89-ე მუხლი, ზეპირად არ მახსოვს, ახლავე წაგიკითხავთ: „სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, აგრეთვე სავალუტო ფასეულობების და ფასიანი ქაღალდების სპეკულაცია — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე. ქონების კონფისკაციით ან კონფისკაციის გარეშე, სავალუტო ფასეულობების და ფასიანი ქაღალდების აუცილებელი კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, აგრეთვე სავალუტო ოპერაციების შესახებ წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ამ მუხლის პირველი ნაწილით იყო მსჯავრდებული, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ან სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“. ასე რომ, ჩემო მამია, ის ოქროს ქვიშა, შენ რომ შეგეძინა, შენც დაისჯებოდი სავალუტო წესების დარღვევისთვის.

— თუ ოქროს საათი ვიყიდე...

— ოქროს ნაკეთობების ყიდვა შეიძლება, რადგან ბრუნვიდან ამოღებული არ არის, მაღაზიაშიც იყიდება და, შეიძლება, შეიძინო, მაგრამ ოქროს ზოდები, ფხვნილი, ოქროს მონეტები ბრუნვიდან ამოღებულია და მისი შესყიდვა, ჩუქება, გაცვლა და ა. შ. სავლუტო ოპერაციების წესების დარღვევა არის... ახლა ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს ძირითად ამბავს. ერთ ამონაწერს წაგიკითხავთ კიდევ და ამით დავამთავროთ...

გამომძიებლის ჩანაწერიდან

1982 წლის 24 ოქტომბერი

ღამის ოთხ საათზე ოპერატიული რაზმი გარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოერტყა თეთრი წყაროს რაიონის მიტოვებულ სოფელ ალდეთში სახლს, სადაც იმალებოდა მარატ შავდია, „დოქტორი“ სამ თანამზრახველთან ერთად.

დამნაშავენი ხმის გამაძლიერებლით გააფრთხილეს და ოცდაათი ავტომატის ჯერით ამცნეს წინააღმდეგობის გაწევის უაზრობა. ორიოდე წუთის შემდეგ გაისმა ერთადერთი საპასუხო გასროლა. ჩაგვბარდა სამი დამნაშავე, მარატ შავდიამ თავი მოიკლა. მის გვამთან პისტოლეტი ეგდო, პისტოლეტის გვერდით კი ცარიელი ვაზნა. პისტოლეტში ტყვია აღარ იყო.

ბიძინამ ხმაურით დახურა საქაღალდე: — ასე დამთავრდა ეს საქმე!

— რატომ მოიკლა თავი, კაცის მოტაცებაზე ხომ დახვრეტა არ არის, თანაც ციხეში ჯდომას მიჩვეული იყო, —გაუკვირდა გოჩას.

— დახვრეტა არა, მაგრამ საკმაოდ დიდი სასჯელია, კერძოდ: „ვინმეს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, რომელიც ჩადენილია ანგარების, ან სხვა ქვენაგრძნობით, ანდა თექვსმეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანის მიმართ, ანდა განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ანდა დაზარალებულის სიცოცხლის, ან ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალებით, ან რომელსაც თან ახლავს ფიზიკური ტანჯვის მიყენება ანდა მოკვლის ან დიდი ზიანის მიყენების მუქარა დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და გასახლებით ორიდან ხუთ წლამდე, ან გასახლების გარეშე“.

— ბავშვის გატაცებისთვის, მე თუ მკითხავ, დახვრეტაც ცოტაა, — გაცხარდა მამია.

— არ შეიძლება. დანაშაულის გახსნის შიშით გამტაცებელი მოჰკლავს ბავშვს, რადგან მაინც დახვრეტა მელისო. გასაგებია?

— იმ „დოქტორს“ არ ცოდნია კანონები. ათ წელზე მეტი თუ არ ელოდა, თავს რაღას იკლავდა?! — ხელები გაშალა გოჩამ.

— მან და მისმა ბანდამ რამდენიმე დანაშაული ჩაიდინეს ერთდროულად, ამიტომ მეტიც ელოდა...

— გამოძალვისთვის ხომ არის პასუხისმგებლობა? — სიტყვა ჩაურთო მამიამ.

— გამოძალვისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს 154-ე მუხლი: „გამოძალვა, ესე იგი მოქალაქეთა პირადი ქონების, ან ქონებაზე უფლების გადაცემის, ან ქონებრივი სარგებლობის მიცემის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების ან მათი სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით ოთახს მანეთამდე. იგივე ქმედობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ან განმეორებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე“. სხვათა შორის, მუქარაც ისჯება...

— ერიჰაა! რამდენ ვინმეს დავმუქრებივარ, იმდენჯერ რომ დავეჭირე, იმ „დოქტორივით“ სულ ციხეში ვიქნებოდი! — გაიცინა მამიამ.

— აქ ისეთ მუქარაზეა ლაპარაკი, რომელსაც განხორციელების საფრთხეც ახლავს...

— წამიკითხე, ერთი, ეგ მუხლიც, თუ კაცი ხარ! — დაინტერესდა მამია.

— მუქარისთვის პასუხისმგებლობას 136-ე მუხლი ითვალისწინებს. აი, რა წერია ამ მუხლში: „მოკვლის ან სხეულის მძიმე დაზიანების, ან საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების დაზიანების მუქარა პირის ან მისი ახლობლების მიმართ, როდესაც საკმაოდ საფუძვლიანია მუქარის განხორციელების საფრთხე, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით“. მაგრამ ეს დანაშაული აქ რა მოსატანია; შავდია ორგანიზებულ ბანდას ხელმძღვანელობდა. ეს უმძიმესი დანაშაულია, თანაც იგი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად იყო ცნობილი. ასე, რომ მას დახვრეტა არ ასცდებოდა.

ბიძინა ნელა წამოიმართა სავარძლიდან: — მეტი აღარ შემიძლია, მოვრჩეთ ახლა...

მამია კარგა ხანს იჯდა გაუნძრევლად. ბოლოს დაილაპარაკა:

— როგორც საქმიდან გამოჩნდა, „დოქტორი“ საკმაოდ ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი ყოფილა, მაშ, რამ აიძულა ქურდი, მძარცველი და ყაჩაღი გამხდარიყო? ბოლოს და ბოლოს, კარგი ექიმი გამოვიდოდა, იცხოვრებდა პატიოსნად... რაღაც ვერ გავრკვეულვარ... ან ბავშვი რამ მოატაცებინა? ერთი სიტყვით, რატომ ხდება კაცი დამნაშავე. კი, ვიცი, თვითონ ათას რამეს იმიზეზებენ ხოლმე, მაგრამ... — ურწმუნოდ გაიღიმა მან. ფეხზე წამოდგა და დასძინა: — წავედით, აწი ჩვენც, დილით ადრე ვართ ასადგომი...

მამიას სიტყვებმა ჩაიფიქრა ბიძინა, დიდხანს გარინდული იდგა მოგუზგუზე ბუხართან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეკულაციასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები

სპეკულაცია უაღრესად ანტისაზოგადოებრივი მოვლენაა და იგი დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა მოქალაქეთა ინტერესებს, რადგან სპეკულაცია უშრომელი შემოსავლის მიღების ერთ-ერთი წყაროა. ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ გაამკაცრა პასუხისმგებლობა სპეკულაციისათვის, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლს დაემატა მეოთხე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წვრილმანი სპეკულაციისათვის.

სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა რთული საქმეა და იგი მოითხოვს ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა ფართო მასების გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ, ერთობლივ, გაძლიერებულ ძალისხმევას. ამ თემაზე წაკითხულმა ყოველმა ლექციამ ჩვენი საზოგადოებრიობის თითოეული მოქალაქე უნდა განაწყოს სპეკულაციასთან საბრძოლველად.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველომ შეიმუშავა სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე წასაკითხი ლექციის სანიმუშო თემატიკა, რომელსაც აქვე გთავაზობთ. მიგვაჩნია, რომ იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს ამ თემაზე მომუშავე ლექტორებს.

ლექციის გეგმა:

1. სპეკულაციის ცნება და სახეები;
2. სპეკულაციის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებანი;
3. სპეკულაციასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებანი;
4. სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა, რომელიც გამიზნულია სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად.

სპეკულაცია საზოგადოებრივად საშიში ანგარებითი დანაშაულია და ხშირად, თავისი ნიშნებით, ჰგავს ანგარებითი ხასიათის სხვა დანაშაულს (მომხმარებლის მოტყუება, მექრთამეობა). ამიტომ მოცემული ქმედების დამახასიათებელ ნიშნებზე საუბრისას ლექტორმა კონკრეტული ზღვარი უნდა გაავლოს მათ შორის.

ლექციაში აუცილებლად უნდა გაშუქდეს სპეკულაციის სახეები, რათა მსმენელმა ზუსტი წარმოდგენა იქონიოს თუ რა არის მარტივი სპეკულაცია (დამაკვალიფიცირებელი გარემოებების გარეშე) და ხელობად ქცეული სპეკულაცია, ან მსხვილი სპეკულაცია და წვრილმანი სპეკულაცია. ეს მათ საშუალებას მისცემს უკეთ გაერკვნენ მოვლენაში და შესაბამისი ღონისძიებანი გაატარონ სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად.

სპეკულაციასთან ბრძოლის წარმატების გადამწყვეტი პირობაა მის ხელისშემწყობ გარემოებათა ცოდნა. სპეკულანტი ანგარებითი მიზნით საქონლის გასაღების სხვადასხვა გზას მიმართავს. ის, არც თუ იშვიათად, „ხელის დამცლელად" იყენებს ნაცნობებს, რომელთა მეშვეობითაც წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ასაღებენ სასპეკულაციო საქონელს. მართალია, სპეკულანტებთან საქონლის შეძენა დანაშაულებრივ ქმედებად არ განიხილება, მაგრამ მორალურად ეს ყოვლად შეუწყნარებელია და ეწინააღმდეგება საბჭოთა მოქალაქის კონს-

ტი ეუციურ მოვალეობას — ყოველთვის შეურიგებელი იყოს ნებისმიერი სამართალდარღვევის მიმ რთ.

მსმენელებს აუცილებლად უნდა გავაცნოთ დასჯის ის ღონისძიებები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული სპეკულანტთა და მათ ხელშემწყობ პირთა მიმართ.

სპეკულაციასთან ბრძოლის პრაქტიკაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ სახის დანაშაულის პროფილაქტიკას, სპეკულაციის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას, ლექციაში უნდა აღნიშნოს, რომ სპეკულაციის თავიდან აცილებაში მონაწილეობენ ადმინისტრაციული ორგანოები (პროკურატურა, მილიცია, სასამართლო), საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კონტროლის ორგანოები (სავაჭრო ინსპექციები, სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები), წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები, ამხანაგური სასამართლოები, რიგითი მოქალაქენი.

სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად აღნიშნული ორგანოები და ორგანიზაციები იყენებენ საერთო და ინდივიდუალური პროფილაქტიკის სპეციალურ ღონისძიებებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ პროპაგანდას, სპეკულაციის საქმეებზე სასამართლო პროცესების გამსვლელი სესიების ორგანიზაციას, სპეკულაციასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ საბჭოთა და პარტიული ორგანოების ინფორმირებას, ვაჭრობის წესების დაცვაზე კონტროლის გაძლიერებას, დეფიციტური საქონლის სწორად და გეგმაზომიერად რეალიზაციას და სხვ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სპეკულაციის ხელშემწყობი პირობების მრავალფეროვნება, მათი თავიდან აცილების სირთულე მოითხოვს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომპლექსურ საქმიანობას, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემატურობასა და ქმედითობას.

ლიტერატურა:

ვ. ი. ლენინი. სახალხო კომისართა საბჭო სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს, თხზ., ტ. 26.

ვ. ი. ლენინი. „მემარცხენე“ ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ, თხზ., ტ. 27.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, თბილისი, 1986.

„უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, გაზ. „კომუნისტი“, 1986, № 123.

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი“, თბ., 1984.

გ. ფარულავა სპეკულაციის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1982, № 4, გვ. 31-35.

Вольфман Г. И. В. И. Ленин о борьбе со спекуляцией, «Советская юстиция», 1969, № 24, стр. 2—3.

Поленов Г. Ф., Поленова Н. Г. Наказание неотвратимо: Закон в борьбе со спекуляцией, Алма-Ата, 1985.

Михайлов М. П. Уголовная ответственность за нарушение правил о валютных операциях и спекуляцию валютными ценностями по советскому уголовному праву, М., «Юридическая литература», 1964.

Кардава А. Квалификация спекуляции, «Социалистическая законность», 1977, № 1, стр. 76—77.

Пашковский В. Изучение и профилактика спекуляции, «Советская юстиция», 1976, № 1, стр. 11—23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ჯ. რუსიაშვილის მოხსენება „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების პრაქტიკის შესახებ“.

რესპუბლიკის სასამართლოები, თქვა მომხსენებელმა, პრაქტიკულად ანხორციელებენ რა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 7 ივლისის დადგენილებას „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების მკაცრად დაცვის შესახებ“, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს სრულად და ობიექტურად იკვლევენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ყოველმხრივ იცავენ კანონსა და ზემდგომი ორგანოების მითითებებს. მაგრამ ისიც შეიმჩნევა, რომ ზოგიერთმა სახალხო სასამართლომ მიზანსწრაფულად და თანმიმდევრულად ვერ გარდაქმნა თავისი საქმიანობა, შეასუსტა მუშობა და აი შედეგიც — დაირღვა საქართველოს სსრ სსსკ-ის მე-18, 59-ე და 591 მუხლების მოთხოვნები. ამას კი შედეგად მოჰყვა ცალკეულ საქმეებზე ობიექტური ჭეშმარიტების დაუდგენლობა, უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენების გაუქმება და ა. შ. სასამართლოთა საქმიანობის ამგვარი ხარვეზები კი არყევს მართლმსაჯულების ავტორიტეტს, ლახავს საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალისტური ორგანიზაციების, მოქალაქეების უფლებებსა და ინტერესებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევის მომწესრიგებელ ნორმათა დარღვევა ჩვენს რესპუბლიკაში სასამართლო შეცდომათა ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ 1986 წელს გაუქმებულ განაჩენთა თითქმის ნახევარი საქართველოს სსრ სსსკ-ის მე-18, 59-ე და 591-ე მუხლების დაუცველობამ გამოიწვია.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ისიც ცხადყო, რომ სასამართლოები ყოველთვის სრულად, ამომწურავად არ იკვლევენ და შესაბამისად, არც ადგენენ დანაშაულის შემთხვევას, მისი ჩადენის დროს, ადგილს, ხერხს, მოტივს, მიზეზობრივ კავშირს დანაშაულებრივ ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის, ზედაპირულად განიხილავენ ბრალეულობის საკითხს, სრულყოფილად არ ადგენენ განზრახვისა თუ გაუფრთხილებლობის შინაარსს, ქმედობის მოტივსა და მიზანს, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მსჯავრდებულის, უფრო მეტიც, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლას, ყოველთვის სათანადოდ არ ითვალისწინებენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.

პლენუმზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს სსრ სსსკ-ის მე-18, 59-ე და 591-ე მუხლების გამოყენებისას დაშვებული შეცდომების უმრავლესობას ძირითადად ხუთი კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს ჰქონდა ადგილი. ასეთებია: პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები, სახელმწიფო და პირადი ქონების გატაცება, თანამდებობრივი დანაშაულობანი, ხულიგნობა.

„დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 23 მარტის №1 დადგენილების შესრულების მიმდინარეობა“, — ასეთი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის რ. ხმალაძის მოხსენება.

რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ თქვა მომხსენებელმა, გარკვეული მუშაობა ჩაატარა დანაშაულის გზით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის. გატარებული ღონისძიებების შედეგად უკანასკნელ 4 წელიწადში უმაღლესი სასამართლოს ინიციატივით სახელმწიფო ბიუჯეტში თითქმის მილიონნახევარი მანეთი ჩაირიცხა, გააქტიურდა კონტროლი განაჩენთა აღსრულებაზე, უფრო მჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო კონტაქტები დამყარდა შრომა-განწორების დაწესებულებებთან.

უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სპეციალურმა სექციამ შეისწავლა ქ. თბილისისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სახალხო სასამართლოს სააღსრულებლო საქმიანობა და შედეგები მუშა ჯგუფის სხდომაზე განიხილა.

მიუხედავად ამისა, ზოგგან ჯერ კიდევ არ ასრულებენ კანონის სავალდებულო მოთხოვნებს და თითქმის არაფერს აკეთებენ სამოქალაქო სარჩელების უზრუნველსაყოფად, არ ზრუნავენ განსასჯელთა ქონების აღმოჩენაზე, არ რეაგირებენ წინასწარი გამოძიების დროს დაშვებულ ხარვეზებზე, სრულყოფილად არ იკვლევენ და არ პასუხობენ კითხვას იმის შესახებ, რომ დანაშაულებრივი გზით ხომ არ არის შეძენილი ესა თუ ის ქონება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი თუ როგორ სრულდება ხაშურის და ბოლნისის სახალხო სასამართლოებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 7 ივლისის დადგენილება „სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების ზუსტად დაცვის შესახებ.“

მოხსენებებით გამოვიდნენ ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ო. მუღალაშვილი და ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ს. არუთინიანი. ხელმძღვანელობენ რა სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ სკკპ XXVII და საქართველოს კპ XXVII ყრილობების სადირექტივო მითითებებით, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, აღნიშნული სასამართლოები ძირითადად სწორად იყენებენ სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, უზრუნველყოფენ საქმეთა სწორ გადაწყვეტას, მაგრამ ამავე დროს, ხაშურის სახალხო სასამართლოში შეიმჩნევა ზედაპირულობა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს, რადგან ხშირად სრულყოფილად არ მზადდება მასალები. ამ შეცდომებში ბრალდებობს დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს სსრ სსსკ-ის მე-18, 59-ე და 255-ე მუხლების მოთხოვნათა შეუსრულებლობასთან.

ნაკლოვანებები შეიმჩნევა ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს საქმიანობაშიც. აქ უმეტეს წილად ადგილი აქვს შეცდომებს სასჯელის დანიშვნისას, რადგან სასამართლო ყოველთვის სწორად არ იყენებს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, ადგილი აქვს სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების შესახებ საქართველოს სსრ სსსკ-ის 37-ე მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობას. ხშირად სასჯელის განსაზღვრა არ ხდება პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის, ბ. ბახტაძის მოხსენება: „სასამართლოების მიერ შრომის ხელშეკრულების შესახებ კანონმდებლობის გამოყენების და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში მათი როლის ამაღლების თაობაზე“.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ყოლბაია, უმაღლესი სასამართლოს წევრები: ო. გეგია, თ. დონჯაშვილი, მ. ისაევი, რ. ცინცაძე, ზ. ფაფიაშვილი, ა. ხონიაკინა, ო. ჯიბლაძე, ბ. ხაბულიანი, უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭოს წევრი ი. გონჯილაშვილი, ჟურნალ „საბჭოთა სამართალის“ მთავარი რედაქტორი ლ. თალაკვაძე, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსი მ. ძურდაძე, ხაშურის რაიონის სახალხო მოსამართლე კ. კოპეორიძე.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. შარაშენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე ი. ჩიქოვანი.

მსაჯულთა სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი მოქმედებს

ჩვენი რესპუბლიკის მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოსთან, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან, შექმნილია და მოქმედებს სახალხო მსაჯულთა სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ყოლბაია), რომელიც 125 სახალხო მსაჯულს აერთიანებს. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო უნივერსიტეტის მსმენელები არიან მუშათა კლასის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები.

სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტში სახალხო მსაჯულები სწავლობენ საბჭოთა სასამართლოს საქმიანობისა და ორგანიზაციის პრინციპებს, საქმეთა განხილვის პროცესუალურ წესებს, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, შრომის სამართლის, საბინაო სამართლის კანონმდებლობათა ძირითად საფუძვლებს. მოქმედი კანონების ცოდნა და მისი ზუსტი დაცვა მართლმსაჯულების განხორციელების დროს იმის აუცილებელი პირობაა, რომ რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ წარმატებით შეასრულოს დაკისრებული ამოცანები. სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა დიდად ეხმარება სახალხო მსაჯულებს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს, ამაღლებს სასამართლო პროცესების საერთო და სამართლებრივ კულტურას, ააქტიურებს სახალხო მსაჯულის მონაწილეობას სასამართლო სხდომებში, ზრდის მათ ბრძოლისუნარიანობასა და ავტორიტეტს.

სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია კვალიფიციური ლექტორებით. აქ ლექციებს კითხულობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, უმაღლესი სასამართლოს წევრები და სხვ.

მდიდარი და მრავალფეროვანია ჩატარებული ლექციების თემატიკა. „სახალხო მსაჯულის როლი მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში“, „სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში“, „სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში“ — ასეთი იყო ა. კარანაძის, ვ. ედიშერაშვილისა და გ. დევდარიანის გამოსვლათა თემები.

სკკპ XXVII ყრილობის მასალების შესწავლას მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების გ. ფირცხალავას, გ. გამსახურდიას და გ. ადეიშვილის ლექციები და მოხსენებები, რომლებიც მსმენელთა აქტიური მონაწილეობით ჩატარდა.

წაკითხული იქნა ლექციები საბჭოთა მართლმსაჯულების ისეთი კონსტიტუციური პრინციპების შესახებ როგორიცაა: საქმის განხილვის კოლეგიურობა და სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობა და მათი დამორჩილება მხოლოდ კანონისადმი, მართლმსაჯულების განხორციელება კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე, საქმის ღია სასამართლო განხილვა, განსასჯელისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად ცნობა და სისხლის სამართლებრივი სასჯელის გამოყენება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით და სხვ.

ხშირად გამოდიან სახალხო უნივერსიტეტის მსმენელების წინაშე ცნობილი მეცნიერები: აკადემიკოსები ა. ზურაბაშვილი, ვ. ჭავჭანიძე, პროფესორები: ს. ჯორბენაძე, შ. ჩიკვაშვილი, თ. ლილუაშვილი, ა. ფალიაშვილი, ა. გაბიანი და სხვ.

ლექციებსა და საუბრებს მსაჯულებთან სისტემატიურად ატარებენ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ედიშერაშვილი, გ. დევდარიანი, გ. ყოლბაია, უმაღლესი სასამართლოს წევრები. სამართლებრივი ცოდნის სახალხო მსაჯულთა უნივერსიტეტში ლექციების პარალელურად ტარდება სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობები, წარმოებს მზაჯულთა ჭოლექტიური დასწრება საინტერესო სასამართლო პროცესებზე, ეწყობა შეხვედრები ცნობილ მეცნიერ იურისტებთან და პრაქტიკოს მუშაკებთან.

სერიოზული ყურადღება აქვს დათმობილი სახალხო მსაჯულთა საკანონმდებლო აქტებით უზრუნველყოფას. უნივერსიტეტის მსმენელებმა შეიძინეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის კოდექსები. სახალხო მსაჯულები ფართოდ იყენებენ მასობრივი ინფორმაციის ისეთ საშუალებებს როგორიცაა პრესა, ტელევიზია, რადიო.

სამართლებრივი ცოდნის ამაღლების საქმეში მართლმსაჯულების განხორციელების დროს წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების სწორად გაგებასა და გადაწყვეტაში სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებს დიდად ეხმარება საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ალ. შუშანაშვილის მონოგრაფია „სახალხო მსაჯულის წიგნი“, რომელიც ყველამ შეიძინა.

სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტში, სასწავლო გეგმის შესაბამისად, სისტემატურად იკითხება ლექციები აგრეთვე თანამედროვე აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე, ისწავლება პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, აღინიშნება ისტორიული მნიშვნელობის თარიღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც წესი, მეცადინეობები ტარდება თვეში ერთხელ. მსაჯულთა დასწრების ორგანიზაციას უზრუნველყოფს უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭო.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა უმრავლესობა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მსაჯულის საპატიო მოვალეობას და თავის ძირითად შრომით საქმიანობას კარგად უხამებს უმაღლეს სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას. ამით ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ ამომრჩეველ ორგანოთა განაწესს, მონაწილეობენ განმწესრიგებელ სხდომებში, სასამართლო განხილვებში, სახალხო მსაჯულთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებში, სახალხო მსაჯულთა საბჭოს ცალკეულ სექციებში, სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში და ა. შ.

ასეთი მსაჯულები არიან: გ. ალექსანდრია და ო. ბაქანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, გ. გასიტაშვილი სახელმწიფო მუზეუმიდან, ვ. გრიგოლავა — ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან, ს. გამრეკელი — საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარე, ჩ. ლეზგიშვილი — ჟურნალისტი, ფ. შურღაია — მეტეოროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, გ. ხუნწარია — მესამე სტამბის წარმომადგენელი, ლ. ჩხაიძე — წიგნის ფაბრიკიდან, ვ. ქკადუა — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან და სხვა.

სიხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაში სახალხო მსაჯულების მონაწილეობის შემდგომ აქტივიზაციას რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში ხელი შეუწყო სახალხო მსაჯულთა სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტმა, სადაც სახალხო მსაჯულები ეუფლებიან სამართლის მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს. სამართლის უნივერსიტეტში სახალხო მსაჯულები სწავლობენ მართლმსაჯულების მთავარ დანიშნულებას, რომ არცერთი დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი და არც ერთი უდანაშაულო დასჯილი.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა ხუთასკაციანი მებრძოლი რაზმისათვის კარგად არის ცნობილი სკკპ XXVII ყრილობის ტრიბუნიდან ნათქვამი სიტყვები, რომ კვლავაც უცვლელ ამოცანად რჩება საბჭოთა კანონების მთელი ძალის გამოყენება დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად, ადამიანები ყოველ დასახლებულ პუნქტში უნდა გრძნობდნენ სახელმწიფოს ზრუნვას მათი სიმშვიდისა და ხელშეუხებლობისათვის და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვერც ერთი სამართალდამრღვევი ვერ წაუვა საკადრის სასჯელს...

უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტში რეგულარულად იმართება შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებმა გასული წლის 24 მარტს შეხვედრა მოუწყეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობის დელეგატს, პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ და მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კარანაძემ, უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ო. ბაქანიძემ, მწერლებმა: გ. გვერდწითელმა, გ. ფანჯიკიძემ, თ. ბუაჩიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა თ. გოგსაძემ.

ყოველი მეცადინეობა უნივერსიტეტში ტარდება დიდი ენთუზიაზმითა და ინტერესით. იგი ხელს უწყობს სამართლის მეცნიერებისა და მოქმედი კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების ათვისებას, რომელიც ასე აუცილებელია სახალხო მსაჯულის პრაქტიკული საქმიანობისათვის მართლმსაჯულების განხორციელების დროს.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულებად არჩეულნი არიან ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, პარტიული, საბჭოთა სამეურნეო ორგანოების საუკეთესო წარმომადგენლები. ისეთები, როგორიცაა თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე, ელმავალმშენებელი ქარხნის მუშა გ. ჩადუნელი, თბილგვირაბმშენის მუშა მ. კოკოლაშვილი, დიმიტროვის სახელობის ქარხნის მუშა ი. ძოძუაშვილი, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა ა. ჭეიშვილი და სხვები. აქვე არიან მწერალი გ. ნატროშვილი, პოეტი მ. ფოცხიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. ტრიპოლსკი, ცნობილი კინორეჟისორი თ. აბულაძე, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ე. ამაშუკელი. აკადემიკოსები: გ. ჭოღოშვილი, ჯ. ლომინაძე, ნ. სხირტლაძე, ო. ღუდუშაური. პროფესორები: ვ. გომელაური, რ. გორდეზიანი, ო. ბაქანიძე, ზ. ზურაბაშვილი, კ. ჯაფარიძე, ვ. ლორია, კ. მახარაძე, ვ. მოსიძე, ს. ნათაძე, ს. ხუნდაძე, ლ. ჯომარჯიძე და სხვები.

მიუხედავად ამისა, მსაჯულთა სამართალმცოდ-

ნეობის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში მაინც შეიმჩნევა ზოგიერთი ნაკლოვანებანი, რადგან მსმენელთა მცირე ნაწილი პასუხისმგებლობით არ ეკიდება ამ საქმიანობას, აცდენს მეცადინეობებს, ნაკლებად ზრუნავს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, დაინტერესებული არ არის შეიძინოს და აიმაღლოს სამართლებრივი ცოდნა და კულტურა, ზოგიერთ მათგანს გამოწერილი არ აქვს იურიდიული პრესა, არ ცდილობს მოიპოვოს იურიდიული ხასიათის ლიტერატურა და საკანონმდებლო მასალა. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის კვლავაც გაატარებს ღონისძიებებს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობა.

პროფესიული ორიენტაციის ამაღლების მიზნით ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები სისტემატურად იგზავნებოდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ რესპუბლიკურ კურსებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა შემადგენლობას ღრმად აქვს შეგნებული მოვალეობის ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მათ დააკისრა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ და აირჩია ისინი რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში სახალხო მსაჯულებად.

დავით ცინცაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

იურიდიული სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ შეისწავლა და კოლეგიაზე განიხილა ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომის იურიდიული სამსახურის მუშაობა (თავმჯდომარე ა. დანელია, იურისკონსულტი მ. კიკნაძე).

სამართლებრივი მუშაობის უკეთ მოწყობისა და იურიდიული სამსახურის გასაქტიურებლად ხაშურის რაიონულ აღმასკომში გარკვეული ღონისძიებებია გატარებული. მის აპარატში 1978 წლიდან ფუნქციონირებს იურისკონსულტის საშტატო ერთეული. როგორც წესი, აღმასკომის სხდომებზე გასატან საკითხებს და სამართლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტებს წინასწარ უკეთდება იურისკონსულტის ვიზა. ამით პრაქტიკულად მთლიანად უზრუნველყოფილია მოქმედ კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობა.

იურიდიული სამსახურის აქტიური სამართლებრივი დახმარების შედეგად რამდენადმე გაუმჯობესდა აღმასკომთან არსებული მუდმივი კომისიების მუშაობა (ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო, არასრულწლოვანთა და სხვ.)

აპარატის თანამშრომლები და შესაბამისი სასოფლო თუ სადაბო საბჭოების ხელმძღვანელები თითქმის მთლიანად არიან უზრუნველყოფილნი კვალიფიციური იურიდიული დახმარებით, ხოლო ზოგიერთი აქტიური სამართლებრივი ხასიათის საკითხი აღმასკომის სხდომებზეა განხილული.

მიუხედავად ამისა, ხაშურის რაიაღმასკომის სამართლებრივი მუშაობა ყოველმხრივ მაინც ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს, იმას, რაც სკკპ XXVII ყრილობამ დაუსახა სახალხო მეურნეობის იურიდიულ სამსახურს.

უპირველესი ნაკლი ხაშურის იურიდიული სამსახურის მუშაობისა ის არის, რომ იგი არ იგეგმება. ამ მიზეზით სამართლებრივი ხასიათის ღონისძიებები უსისტემოდ, არარიტმულად მიმდინარეობს. თუ 1985 წელს აღმასკომმა სამჯერ იმსჯელა სამართლებრივი ხასიათის საკითხებზე, გასულ წელს ისინი საერთოდ არ განუხილავთ. იურიდიული სამსახურის ღონისძიებებს აღმასკომის სამუშაო გეგმაც არ ითვალისწინებს.

სამწუხაროდ, იურისკონსულტი ყოველთვის არ ამოწმებს ქვემდგომი სასოფლო საბჭოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა კანონიერებას, არ აყენებს საკითხს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ნორმატიული აქტების გაუქმების შესახებ, არ ახდენს ამ საქმიანობის განზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებასა და ანალიზს, არ სწავლობს სამართლებრივი მუშაობისა და შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობას რაიონის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მათი უმეტესობა კი, საერთოდ, იურიდიული მომსახურეობის გარეშეა დარჩენილი. დებულების დარღვევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იურისკონსულტი არ მონაწილეობს რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოსა და მისი აღმასკომის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების სისტემატიზირებულ აღრიცხვაშენახვის საქმეში. სამინაო, საოჯახო და მიწის კანონმდებლობებს იურისკონსულტი იცავს მხოლოდ შემოსული საჩივარ-განცხადებების მიხედვით, კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. თითქმის მთლიანად უგულისყუროდ არის დატოვებული კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ და სხვ.

არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე იურიდიული სამსახურის მონაწილეობა უშრომელი შემოსავლის შესახებ მიღებული კანონის პროპაგანდასა და შესრულებაში, ნაკლები ყურადღება ექცევა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ამ უკანასკნელ პერიოდში არც ერთი ღონისძიება არ განხორციელებულა ამ მხრივ.

ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომში არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულება და დღემდე არ შეუქმნიათ შტატგარეშე იურიდიული განყოფილება, არ ფუნქციონირებს იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბჭო. სამართლებრივ მუშაობაში არსებულ მრავალრიცხოვან ნაკლოვანებათა მთავარ მიზეზად კი ისინი იურიდიული სამსახურის სიმცირეს ახასიათებენ.

არაჯეროვანი ყურადღება აქვს დათმობილი რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას. ამის გამო სისტემატურად იზრდება ამ საწარმოთა ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანებები. 1986 წლის ექვს თვეში ეს თანხა ქალაქვაჭრობაში 344,7 ათასი მანეთიდან 457,3 ათას მანეთამდე გაიზარდა, მექანიკურ ქარხანაში 52 ათასიდან 72 ათას მანეთამდე, ხოლო აგროსამრეწველო გაერთიანებაში 359 ათასი მანეთით.

სამართლებრივ საშუალებებს წარმოებადწესებულებები სუსტად იყენებენ სახელშეკრულებო დისციპლინის განსამტკიცებლად და მნიშვნელოვან თანხებს იხდიან ამ სახის დარღვევისათვის. მაგალითად, საგალანტერეო ფაბრიკამ 1985 წელს 39 შემთხვევის გამო გადიხადა 117 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 19 შემთხვევის გამო 44 ათასი მანეთი. ამავე მიზეზით დიდი ზარალი განიცადეს ბურთულა-საკისრებისა და შუშის ქარხნებმა.

შეუწყნარებლად დაბალია სამართლებრივი პროპაგანდის დონე. აქ საერთოდ არ არსებობს ასეთ ღონისძიებათა გეგმა, არ ტარდება ლექცია-საუბრები და კითხვა-პასუხის საღამოები, არ იწვევენ მეცნიერ-იურისტებსა და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს, თვითონ იურისკონსულტსაც არასოდეს ჩაუტარებია ლექცია, ან საუბარი აპარატისა თუ ქვემდგომი საბჭოების მუშაკთათვის, არ გამოსულა პრესითა და ადგილობრივი რადიოკვანძით, არავითარ დახმარებას არ უწევს, საერთოდ არც მონაწილეობს სახალხო რაზმეულთა შტაბისა და ამხანაგური სასამართლოების საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობაში.

აქვე ის ფაქტიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომი არ ასრულებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 15 თებერვლის № 76 დადგენილებას „იმ თანამდებობათა ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, რომლებიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებს უნდა ეკავოთ". ამ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ მასში ჩამოთვლილი თითქმის ყველა თანამდებობა ახალი მუშაკებით დაკომპლექტდა, მაგრამ მათგან მხოლოდ ორს — იურისკონსულტსა და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსს აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ მკაცრად შეაფასა ხაშურის რაიონის იურიდიული სამსახურის მდგომარეობა, აღნიშნა ამ მუშაობის არასათანადო დონე და შეიმუშავა მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები.

მონოგრაფიის ავტორია გამოჩენილი

საქართველოს სსრ პროკურატურის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის ინიციატივით მოეწყო რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის **მ. ქურდაძის** მონოგრაფიის „მტკიცების ფარგლები წინასწარ გამოძიებაში“, განხილვა.

განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ პროკურატურის, სასამართლოს, ადვოკატურის, იურიდიული ფაკულტეტისა და ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ თანამშრომლები, შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველმა **ვ. შარაშენიძემ.** მან აღნიშნა, რომ განსახილველი წიგნის ავტორია საგამოძიებო-საპროკურორო დარგის გამოცდილი მუშაკი, რომელიც კარგად უთავსებს პრაქტიკულ საქმიანობას სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ორ ათეულ წელზე მეტია მუშაობს პროკურატურის ორგანოებში, არის სსრ კავშირის პროკურატურის საპატიო მუშაკი და კონკრეტულ საქმეებზე სრულყოფილი, ობიექტური გამოძიების ჩატარებისათვის ბევრჯერ იყო წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და რესპუბლიკის პროკურორის გრძანებით. მ. ქურდაძე დიდი ხანია მუშაობს წინასწარი გამოძიების პრობლემებზე, ხოლო წელს მივიღეთ მისი ახალი შრომა, რომელიც მტკიცების თეორიის ისეთ პრობლემატურ საკითხს ეძღვნება, როგორიცაა მტკიცების ფარგლების დადგენის, მისი თეორიული და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობანი.

მონოგრაფიის განხილვაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი **რ. ჭოღოშვილი,** საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **დ. ჩიტლოვი,** რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ი. ხიონიდი,** განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი **ე. ხარშილაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **შ. ფაფიაშვილი,** ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი **ლ. თალაკვაძე** და სხვ.

ავტორის აზრით აუცილებელია მოკვლევის, გამოძიების და სასამართლო ორგანოების მუშაკები ზედმიწევნით კარგად ფლობდნენ დამტკიცებელი საბუთების შეკრების, შემოწმებისა და შეფასების განსეოლოგიურ პრინციპებს, იცნობდნენ მოკვლევისა და გამოძიებისათვის დამახასიათებელ ხარვეზებს, რომელთა განზოგადება მტკიცების თეორიის საგანია. მტკიცების თეორიის მონაცემების ჭეშმარიტება კი პრაქტიკით უნდა იყოს განმტკიცებული. სწორედ ამ პრინციპზეა აგებული მონოგრაფია და ავტორი სასურველ შედეგსაც აღწევს, როცა განმარტავს წინასწარ გამოძიებაში მტკიცების ფარგლების არსს, მნიშვნელობასა და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხებს.

განხილვის მონაწილეებმა გამოთქვეს აგრეთვე ცალკეული სახის შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებაც შემდგომში კიდევ უფრო სრულყოფს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებასა და პრაქტიკულ გამოყენებას.

თავის გამოსვლაში მ. ქურდაძემ ძირითადად გაიზიარა გამოთქმული შენიშვნები და აღნიშნა, რომ მათ აუცილებლად გაითვალისწინებს საკვლევი პრობლემის შემდგომი დამუშავების დროს.

* * *

ამჟამად მ. ქურდაძე მუშაობს ქ. თბილისის პროკურორის პირველ მოადგილედ.

მეშვიდასე ანგარიშზე

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრთა კონფერენციის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად მეშვიდასე ანგარიშზე გადაირიცხა კოლეგიის თითოეული წევრის ხუთი დღის ხელფასი, რაც წინასწარი გამოანგარიშებით 10 000 მანეთზე მეტს შეადგენს. გარდა ამისა, ადვოკატთა კოლეგიის ფონდიდან ამავე ანგარიშზე გადაირიცხა 4000 მანეთი.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1986 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

მოწინავე სარედაქციო სტატიები, ოფიციალური ცნობები და საინფორმაციო მასალები

ახალი მიღწევებისათვის, № 1, გვ. 3-6.

გავაძლიეროთ ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ, № 1, გვ. 7-8.

არასრულწლოვანი და დანაშაული № 1, გვ. 58-60.

სკკპ XXVII ყრილობა და ჩვენი ამოცანები, № 2, გვ. 3-6.

სოციალიზმის იდეალია უომო, უიარაღო მსოფლიო, № 2, გვ. 28-29.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, № 3, გვ 3-6.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, № 3, გვ. 7-9.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, № 3, 10-11.

ა. არსენაშვილი, გ. ბერძენიშვილი — რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, № 3, გვ. 12-19.

დიდი და გადაუდებელი ამოცანები, № 4, გვ. 3-4.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლას — შემტევი სულისკვეთება და პრინციპულობა № 5, გვ. 3-5.

ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონი № 5, გვ. 6-8.

მართლწესრიგისათვის ბრძოლას — შეტევითობა, უკომპრომისობა, № 5, გვ. 10-12.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ, № 6, გვ. 3-7.

სკკპ XXVII ყრილობა და სამართლის მეცნიერების ამოცანები, № 6, გვ. 8-10.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება, № 6, გვ. 20-26.

საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესები, № 6, გვ. 51-55.

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1985 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი, № 1, გვ. 78-80.

სამართლის თეორია, ისტორია, სახელმწიფო, საერთაშორისო სამართალი

ე. ახვლედიანი — სოციალისტური დემოკრატია და სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია, № 1, გვ. 23-26.

ტ. შჩეგლოვა — უცხოეთის წარმომადგენლობა საბჭოთა გამომგონებლობის სამართლის მიხედვით, № 2, გვ. 46-49.

ვ. გეწაძე — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, № 3, გვ. 28-33.

ი. აქუბარდია — საქართველოს სსრ პროკურატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, № 3, გვ. 46-50.

ა. კარანაძე — ნიურნბერგის დავიწყება არ შეიძლება, № 4, გვ. 35-41.

გ. ერემოვი — პირველი საბჭოთა კონსტიტუცია — № 4, გვ. 42-46.

ს. ჯორბენაძე — იურიდიული აქსიომები, № 5, გვ. 26-31.

ი. ფალიაშვილი — საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების არსი და სახეები, № 5, გვ. 49-52.

მ. მამნიაშვილი — ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი, № 6, გვ. 16-19

შ. ფაფიაშვილი — დანაშაულის გახსნის მეთოდიკის ცნება, № 6, გვ. 27-31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი მასალები, სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის პრაქტიკა, დანაშაულის პროფილაქტიკა

პ. გილაშვილი — ყველაფერი დისციპლინითა და წესრიგით იწყება, № 1, გვ. 9-14.

ნ. საჯაია — ვენდოთ, მაგრამ გავაკონტროლოთ, № 1, გვ. 15-16.

ვ. რაზმაძე — დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, № 1, გვ. 17-19.

დ. სტურუა — წინსვლის ლენინური სტრატეგია, № 2, გვ. 7-13.

გ. შათირიშვილი — დისციპლინა და მომთხოვნელობა ჩვენი წარმატების საწინდარია, № 2, გვ. 14-17.

გ. ბერძენიშვილი — ჰიათურის შრომითი კოლექტივების გამოცდილება, № 2, გვ. 30-34.

ა. რეკუნკოვი — მართლწესრიგისა და სოციალური სამართლიანობის სადარაჯოზე, № 2, გვ. 18-27.

ა. ლაპშინი — მუქთახორობასთან ბრძოლის ქმედითობისათვის, № 2, გვ. 40-42.

ვ. რაზმაძე — საპროკურორო ზედამხედველობის როლის ამაღლებისათვის, № 4, გვ. 5-13.

ა. შუშანაშვილი — სკკპ XXVII ყრილობა და იუსტიციის ორგანოების და სასამართლოების ამოცანები, № 4, გვ. 14-21.

შ. გორგოძე — მართლწესრიგის განმტკიცების მთავარი და საიმედო გარანტია, № 4, გვ. 22-27.

საუბარი პატიოსანი და უპატიოსნო მანეთების შესახებ. № 4, გვ. 28-34.

ა. არსენაშვილი — დაისაჯნენ კანონის შესაბამისად, № 4, გვ. 60-61.

ი. გაბისონია — სკკპ XXVII ყრილობა და პროდუქციის ხარისხზე საპროკურორო ზედამხედველობის აქტიური საკითხები, № 5, გვ. 13-18.

კ. ნარმანია — კანონისა და საზოგადოებრივი აზრის ძალით, № 5, გვ. 19-25.

გ. დევდარიანი — განუხრელად დავიცვათ კანონი სამოქალაქო საქმეთა აცილების დროს, № 5, გვ. 32-33.

სამოქალაქო სამართალი, შრომის, საოჯახო, სამეურნეო სამართალი, პროცესი, ადვოკატურა, კანონის კომენტარი.

გ. როინიშვილი — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძველების განმტკიცებისათვის, № 1, გვ. 20-22.

ვ. ფარქოსაძე — შრომითი კოლექტივი — სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედი, № 1, გვ. 27-32.

გ. იოსავა — შრომითი კოლექტივების როლი და ამოცანები, № 1, გვ. 33-36.

თ. საბიაშვილი — სამართლებრივი დახმარება შრომითს კოლექტივებს, № 1, გვ. 37-40.

ვ. ალანია — სიახლე სამოქალაქო სამართალწარმოებაში, № 1, გვ. 45-47.

გ. სულხანიშვილი — ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების კანონმდებლობის სრულყოფისათვის, № 1, გვ. 48-53.

თ. ლილუაშვილი — პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალებები, № 2, გვ. 35-39.

ზ. ახვლედიანი — ზოგიერთი შენიშვნა სამოქალაქო სამართლის კოდექსის ახალი გამოცემის გამო, №3, გვ. 57-58.

ო. კონსტანტინოვა — სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამართლებრივი მდგომარეობა, № 5, გვ. 39-44.

ლ. ჩორგოლაშვილი — საცხოვრებელი სადგომების გაცვლის სასამართლო პრაქტიკა, № 6, გვ. 56-61.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა, ექსპერტიზა, კანონის კომენტარი, სასამართლო პრაქტიკა

მ. სილაგაძე — საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები და მათი გავლენა მტკიცების ფარგლებზე, № 1, გვ. 54-57.

მ. ქურდაძე — მტკიცების ფარგლების საკითხისათვის, № 2, გვ. 43-45.

ლ. გარსევანიშვილი — მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა, № 2, გვ. 50-52.

ბ. ასრიევი — სისხლის სამართლის სამართალწარმოების საოქმო ფორმის თეორია და პრაქტიკა, № 3, გვ. 34-37.

ო. ულენტი — ექსპერტიზის სამართლებრივი საფუძვლები, № 3, გვ. 38-45.

თ. ანდრიაშვილი — ხელწერის სასამართლო ექსპერტიზა მართლმსაჯულების სამსახურში, № 4, გვ. 55-59.

გ. რამიშვილი — მეტყველება და პიროვნების იდენტიფიკაცია, № 5, გვ. 34-38.

ვ. ხიონიდი — პროკურორის უფლებამოსილებანი დანაშაულობათა გახსნის საქმეში, № 5, გვ. 45-48.

გ. გელოვანი — ავტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცების მაკვალიფიცირებული ნიშნები, № 5, გვ. 53-56.

ვ. ჯაოშვილი — სასამართლო-საექსპერტო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი, № 6, გვ. 32-35

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. დემეტრაძე — სრულვყოთ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ხელახალი აღზრდის პრაქტიკა, № 6, გვ. 36-40.

კანონის ძალა — ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, ნარკომანიასთან ბრძოლა

გ. გურული — სიმთვრალე დანაშაულს ამძიმებს, № 1, გვ. 41-42.

ა. არსენაშვილი — სიფხიზლე — ცხოვრების ნორმა, № 1, გვ. 43-44.

ა. გაბიანი — ალკოჰოლიზმის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი, № 3, გვ. 21-25.

ს. რახმონოვი — საბინაო-კანონმდებლობა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში, № 3, გვ. 26-27.

დ. მეტრეველი — ნარკომანიასთან ბრძოლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის, № 5, გვ. 57-60.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, დისკუსია, პოლემიკა, რეპლიკა

გ. ინწკირველი — ქართული იურიდიული ლიტერატურის კარგი შენაძენი, № 1, გვ. 63.

თ. ნინიძე — ნორმატიული აქტების კრებული, № 1, გვ. 64.

ზ. მესენგისერი — კრებული სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, № 1, გვ. 65.

მ. ლეკვეიშვილი — სახალხო მსაჯულთა სამაგიდო წიგნი, № 4, გვ. 62-64.

რედაქტორის ჩანაწერებიდან, № 5, გვ. 63-65.

ო. გამყრელიძე — დამატებითი განმარტება, № 6, გვ. 41-46.

დ. სულაქველიძე — მეცნიერთა თანამშრომლობის თვალსაჩინო შედეგები, № 6, გვ. 62-64.

საიუბილეო და სადღესასწაულო თარიღები, მხატვრული ნაწარმოებები, ჩვენი პროფესიის ადამიანები, თარგმანები, ნეკროლოგი, ინფორმაცია

ა. ფალიაშვილი — ღვაწლმოსილი, № 1, გვ. 61-62.

ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა“, № 1, გვ. 66-72. № 2, გვ. 69-74; № 3, გვ. 59-71; № 4, გვ. 68-75; № 5, გვ. 66-75, № 6, გვ. 65-72.

ქალთა საერთაშორისო დღისადმი, № 2, გვ. 53-56.

ს. ჯორბენაძე — ივანე ჯავახიშვილი და იურიდიული ფაკულტეტის დაარსება თბილისის უნივერსიტეტში, № 2, გვ. 57-60.

გ. ნადარეიშვილი — ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი, № 2, გვ. 61-66.

გ. ინწკირველი 60 წლისაა, № 2, გვ. 67-68.

გ. გურული — კვლავაც ვაქკაცური შემართებით, № 3, გვ. 20.

რენე დავიდი — თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, № 3, გვ. 51-56.

დ. თამაზაშვილი — აპარის პროკურატურის კარგი ტრადიციები, № 4, გვ. 47-49.

კ. გარდაფხაძე — სოციალური უზრუნველყოფის გზები და ამოცანები, № 4, გვ. 50-54.

ვ. ყვანია — ილია — ელისაბედ ჭავჭავაძის მეურვე, № 4, გვ. 65-67.

მგზნებარე რევოლუციონერი, № 5, გვ. 9.

ა. არსენაშვილი — კაცი — მუდამ მართალი გზით მავალი, № 5, გვ. 61-62.

ვ. შადური — ოქტომბრის პირმშო, № 6, გვ. 11-15.

გ. გურული — ხალხის ნდობა № 6, გვ. 47-48.

გ. ბერძენიშვილი — მოვალეობის მაღალი გრძნობით, № 6, 49-50.

ნეკროლოგი № 2, გვ. 79-80, № 6 გვ. 80.

იუმორესკა, № 4, გვ. 80.

ინფორმაცია, № 1, გვ. 73-77; № 2, გვ. 75-78; № 3, გვ. 72-80; № 4, გვ. 76-79; № 5, გვ. 76-80 № 6, გვ. 73-79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორთა საყურადღებოდ!

1. სტატიები და სხვა მასალები რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტორის მიერ ხელმოწერილი, ორ ეგზემპლარად, მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილი;

2. თეორიული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდ 14 გვერდს, სხვა მასალისა — 8 გვერდს;

რედაქცია დაინტერესებულია მიიღოს მოკლე ცნობები და შენიშვნები ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაზე;

3. სტატიაში გამოყენებული ციტატები აუცილებლად უნდა იყოს პირველწყაროსთან შედარებული და ავტორის მიერ ვიზირებული. სქოლიოში უნდა აღინიშნოს ავტორის გვარი, წიგნის გამოცემის წელი, აგრეთვე, ციტირებული მასალის გვერდი;

4. სტატიები და სხვა მასალები დამუშავებული უნდა იყოს ლიტერატურულად და თან დაერთოს ანოტაცია რუსულ ენაზე;

5. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;

6. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ;

7. სამეცნიერო-კვლევითი გეგმით შესრულებულ ნაშრომზე ჰონორარი არ გაიცემა;

8. სხვა პერიოდულ გამოცემაში უკვე გამოქვეყნებული მასალები ჟურნალში არ დაიბეჭდება;

9. სტატიებს თან უნდა დაერთოს ავტორის სახელი, მამის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, თანამდებობა, მისამართი, სამსახურისა და ბინის ტელეფონის ნომრები.

ამ პირობების დაუცველად გამოგზავნილი მასალა არ გამოქვეყნდება.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» (Советское право»), № 1, 1987 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тоилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

65/60

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76185